

866  
4

F 756



საქართველოს უმჯობესობა კავშირი

ქურონაღ ,,შეგარდენი № 1"-ის დამატება

სოსო ასლანიშვილი.

# უმჯობესობა გავრცელება

პირველი წიგნი

დედა ქალაქი

პოლიგრაფიულ განყოფილების შესაქე სტამბა.

1922 წელი



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

Н. Я. НИКОЛАДЗЕ

868  
4  
F-1

შეპარღმთა გჳრჳინი ტჳახჳმელაჳმ.

აპრილის შუა რიცხვებში უკანასკნელ გადაწყვეტილების მიხედვით, სამუდამოთ გადმოვსახლდი ტფილისში და ჩამოსვლის დღესვე გავემგზავრე ჯუსთელოს ქუჩაზე, რათა პირველად მენახა ტფილისის თებერვლის ამბების შემდეგ. დილის ათი საათი იყო სასახლეს რომ მიუახლოვდი და ფიქრებში გადავარდნიდი საქართველოს მომავალ ცხოვრებას ვითვალისწინებდი. ნაცობ ხმებმა ფიქრებიდან გამომარკვიეს; ჩემს წინ იდგნენ გიორგი და თამრო. მოვიკითხეთ ერთმანეთი. მათი ჩაცმულობიდან და ლაპარაკიდან გავიგე, რომ ტფილისელი შევარდნები სწორედ იმ დღით გაფრენისათვის ტაბახმელისაკენ ემზადებოდნენ. მეუცხოვა პირველად სიტყვა „გაფრენი“. ეს არის ნაძღვლი-ქართული შევარდნული სახელსახი, რაც ნიშნავს ექსკურსიას, მოგზაურობას, გასეირნებას. სიტყვა „შევარდენ“-ს პირდაპირ ეფარდება სიტყვა „გაფრენი“. შევარდენთა გაფრენი მართლაც მშენიერია. იმ ხანებში ეს სიტყვა ტფილისის შევარდნებში ახალი იყო. რასაკვირველია გიორგია მისი შემქმნელიც.

„ხომ წამოხვალ ჩვენთან ერთად ტაბახმელაზეო“ — ერთხმად მკითხეს თამრომ და ვიორგიმ.

მიუხედავით იმისა, რომ გამოწყობილი ვიყავი ახალ ტანისამოსში და სრულიად არსად ვეპირებოდი წასვლას იმ დღეს და მით უმეტეს ტაბახმელაზე, გიორგის და თამროს ხელახალ შეკითხვაზე: „მაშ წამოხვალო?“

„წამოვალ მეთქი“ — უპასუხე.  
„მაშ წავედეთ რაღა, მეორე შევარდენში, იქ იკრიფება ყველანი, ალბათ ჩვენ გველოდებიანო“. წავედით მეორე შევარდენისკენ.

შევარდნები დანიშნულ დროსათვის მოდიან თავიანთ გულა ნაბადით მომზადებულნი გაფრენისათვის. ყველას მოაქვს საუზმეულობა, ვის ჩანთაში, რომელიც ზურგზე წამოუკიდია, ვის კალათაში, ვის სალფეთკში. ეს არის პირველი გაფრენი, რომელსაც ასე გაფაციკებით უცდიდენ შევარდნები.

მართლაც და ავიღოთ ისეთი გაფრენები. რა დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ შევარდენთა ცხოვრებაში. გაფრენების საშვალებით შევარდენთა საზოგადოებებში თავმოყრილი ახალგაზდობა ეცნობა უფრო ახლო ერთი მეორეს, მკადრო კავშირით იკვრება ამდაგვარ მთელი შევარდენი, რომელიც გაფრენების დროს სწავლობს მშობლიურ ბუნებას, თავის ქვეყნის გეოგრაფიას და ისტორიას. გაფრენების დროს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში დაწვრილებით საცხებით ეცნობა

და ეთვისება თავისთავად ყოველი შევარდენი იმ კუთხის თვისებებს. მის მსოფ-  
რებლებს, ხალხის ზნე ჩეულებს. ბუნება — ეს ცოცხალი წიგნია, რომლის  
ფურცლებზეც იშლება და იფურჩქება ჩვენი ნორჩი ახალი თაობა. ჩვენ უნდა  
ვეცადოთ, რაც შეიძლება ახლო დეაყენოთ ეს ახალგაზღვრა ბუნებასთან,  
თვით ბუნების წიაღშივე გადავიროლოთ, გადაეტყვორცნოთ მთელი მისი ფიქ-  
რები, მთელი მისი არაება: ბუნება მისცემს მას ცოცხალობას, სიმკვირცხლეს,  
აზრთა გახსნა-განვითარებს.

გარდა ამისა, გაფრენები ხომ თავისთავად გაჯანმრთელებია ახალგაზღვრის;  
მათში, მინდვრებში, გაშლულ ადგილებში ადამიანის გულ მკერდს ეძლევა გასა-  
ქანი, ფილტვებს ემატება სუფთა ჰაერი — ყველაფერი ეს თავისთავად აკაქებს,  
ამაგრებს ახალგაზღვრას. ის ეჩვევა სიარულს შორს მანძილზე, მთებში ჩანთით  
და წაოსასხაპით ზურგზე მოკიდებული; მზას სხივების მის ტანს და გაშიშვლებულ  
ფეხებს არ ეშინიან. შევარდენი ეჩვევა უქუდოთ სიარულს და ვერავითარი მზის  
ძლიერი სხივები ვერ მოუტანს მას ვნებას. მისი ტანი დამწვარია მზისაგან,  
გაშავებული.

არც ღამის სიცივე მთებში, არც ზამთარში თოვლი არ აშინებს მას. ის დარწ-  
მუნებულია თავის სიჯანსაღეში, ის დარწმუნებულია შევარდნულ კაკაქებაში.  
საქართველოს შევარდენთა კავშირს განზრახული აქვს ყოველწლიურად ზაფხუ-  
ლობით მოაწყოს გაფრენები სხვა და სხვა ადგილებში. მაგალითად 1921 წელს  
რამოდენიმე თვის განმავლობაში კავშირმა მოაწყო ასეთი გაფრენები ტაბახმელა-  
ზე, კუსტაზე, ლისის ტბაზე, აგქალაში, შენაბადის მონასტერში, უძოზე, კი-  
კეთში, კახეთში და სხ. შევარდენთა გაფრენს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ  
უწოდებთ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ჩვენი ხალხის ცხოვრებაში  
მნიშვნელოვან ადგილზე გამგზავრებას-ექსკურსიას შევარდენთა დიდ კრებული-  
სას, რომელიც მიზნით ისახავს დაათვალიეროს და შეისწავლოს ესა თუ ის ის-  
ტორიული და მნიშვნელოვანი ადგილი; გარდა ამისა ყოველი შევარდენი საგან-  
გებოთ ჩაკმულა მხატვ და გაშლილ ტანსაკმეღში ახლოა ბუნებასთან, ახლოა  
მზის სხივებთან, რომლის წყალობითაც ჯანსაღობა ემატება მას, მაგრდება და  
კეთდება მისი სხეული, რის გამოც ის ხდება კარგი მებრძოლი ყოველივე სნეუ-  
ლების დასახვედრათ.

შევარდენთა გაფრენები უმთავრესად იმითია კიდევ მნიშვნელოვანი, რომ შევარ-  
დენთა ფრთის ქვეშ ჩვენი ხალხის შეილები ნახულობენ მკადრო და-ძმურ ნამ-  
დულ ამხანაგურ კავშირს, სადაც ერთნაირი ტანისამოსებში არ ირჩევა შევარ-  
დენთა სოციალური მდგომარეობა, ერთია ყველა: მოწაფე, მუშა, ინჟინერი, მკურ-  
ნალი, მასწავლებელი; და ასეთ გაფრენების დროს შევარდენები აწყობენ ვარჯიშო-  
ბას, თამაშობებს და თავის თავისუფალ მოძრაობებში ერთგვარ აღფრთოვანებას  
იწვევენ მოქალაქეებში, როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში ასეთ მოძ-

რაზების დროს სუფევს მშვენიერი წესმორჩილება, რაც თავის თავად სილამა-  
ზით მოსახსნის ისედაც მშვენიერ შევარდნებს.

გაფრენების დროს შევარდნები იკრებენ თავის ირგვლივ მრავალ ხალხს, და იქვე  
თება მზიარულება: ცეკვა-თაშაში, სიმღერები, ბურთაოხა, ტანვარჯიშობის მნიშ-  
ვნელობაზე საუბრები.

აი ყოველივე ეს აძლევს დიად მნიშვნელობას შევარდნთა გაფრენების დროს.  
თვით შევარდნების განვითარებას, მათ დაახლოვებას ხალხთან, ხალხის თვალშიც  
იზრდება ამავე დროს შევარდნთა მნიშვნელობა საერთოდ საქართველოს მშრო-  
მელ ხალხისათვის, თუმცა „მეშჩანიზმი“ დღესაც ძლიერია ჩვენი ხალხის დიდ  
ნაწილში, რომელსაც ყოველივე ეს მიაჩნია აბსურდათ, მაგრამ შევარდნთა იდეის  
განვითარებასთან და მის მოქმედებასთან უძლეურია ყოველგვარი მეშჩანიზმი, რომელიც  
სრულიად ვერ უძლებს შევარდნთა სიმტკიცეს, შევარდნთა სიქლიერეს.  
თვით ბუნებაც, რომლის სილამაზესაც ასე სწრაფათ სწვდა საქართველოს შევარ-  
დნთა კრებულის და რომლის წილშიც იზრდება დღეს შევარდნული აზრი—  
შევარდნული იდეა, ეს ბუნებაც შევარდნთა მხარეზეა. არაბუნებრივობა, ბუნე-  
ბასთან დაშორება—არ სჩვევია საქართველოს შევარდნს. საქართველოს ნაწი  
და მძლავრი ბუნება მთავარი ღერძია შევარდნობის იდეის განვითარებისა. ეს არის  
სწორედ მაშენი, რომ საქართველოს ბუნების მქონე ხალხმა მოკლე მნიშვნე-  
რულ შევარდნე, რომელიც შეეთვისა, შეეხორცა თავის მშრომელ ხალხს, საშრო-  
მლოს მშვენიერ ბუნებას, რაც უმთავრესად გამოიხატება საქართველოს შევარ-  
დნთა გაფრენებში.


„ადექ“—გაიხსნა გაფრენის უფროსის ბრძანება, უფროსობდა გიორგი, მსწრაფად  
ყველა მწკრივებში იდგა. ხელად მოეწყო შევარდნა.

„მომღერლები წინ“—ისმის ბრძანება. უმაღლ მომღერლები იკავებენ წინა რიგებს,  
ქალ-ვაჟთა მწკრივები, ბრძანებისამებრ, სიმღერით გამოდიან ქუჩაში და „მომ-  
ღვითისაკენ“ მიმავალნი ყურადღებას იპყრობენ ირგვლივ. მამა დავითთან, ბრძა-  
ნებისამებრ, დაიშალა მწყობრი და თავისუფლად ყველანი ჯგუფ-ჯგუფად ელვის  
სისწრაფით მოედინენ მთაწმიდის კალთას. კარგია მთაწმიდა თავისი ისტორიული  
საფლავებით, იქ არიან დასაფლავებულნი ჩვენი ერის სიამაყენი ილია და აკაკი,  
იქვე არის რუსეთის დიდი მწერალი გრიბოედოვი.

კარგია მთაწმიდის კალთა, საიდგანაც მთელი ტფ-ლისის ლამაზი სანახაობა იშ-  
ლება.

საქართველოს დედა ქალაქი ლამაზად გადაქიმული მტკვრის ორივე ნაპირას თავის  
ციხე-კედლებით და მრავალ მნიშვნელოვან ადგილებით მართლაც რომ  
მშვენიერობაა. ლამაზია ბუნება საქართველოსი, ლამაზია საქართველო მთელი  
თავისი მიდამოებით.

და აი მთაწმიდა, რომელიც გადაგვიშლის ჩვენ ასეთ სურათს, ერთგვარად სვდის  
მომგვრელიც არის. მოვივონოთ დიდებული მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი,



რომელიც თანაგრძობას ბუნებაში ეძიებდა და მასვე უზიარებდა თავის სევდას, რაც გამოხატა კიდევ 1836 წელს თავის ლექსში „შემოღამება მთაწმიდაზედ“:

„ჩი მთაწმიდავ, მთაა წმიდავ, ადგილნი შენნი,  
დამაფიქრელნი, ვერანანი და უდაბურნი,  
ვით არ შეენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,  
ოღეს სალამას, დაშთენ ამოს, ციაგნი ნელნი“.

„იღუმლობას“ დაუსადგურებია მთაწმიდის არე-მარეში,—ამბობს პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი (იხ. მისი „ქართული სიტყვერების ისტორია“—ნიკოლოზ ბარათაშვილი. გვ. 39),—მის ძირს გაშლილია ყვავილოვანი ველი, რომელიც სუნელიანს აკმევს, ვითარცა „სამადლობელს გუნდრუქს“. ერთს საამოდროს, წაღვლიანი მგოსანი, მწუხარი და სევდიანი, ვით „წყნარი სალამა“, შეეშურება ბუნდოვანის კლდის ბილიკად; ხედავს ლამაზს, მინაზებულს ბუნებას და შეკვნისის ულონობის სიმწვაფითა“:..

ასეთი ყოფილა ერთ დროს მთაწმიდა; მართალია ერთგვარად მისი არე მარე შეიცვალა, მაგრამ ბუნება, მისი სილამაზე და მასთანვე ჩვეული იღუმლობა კვლავ სუფევს მთაწმიდაზე, კვლავ სევდას გვრის ის ადამიანს.

შეფარდნები უახლოვდებიან მთის მწვერვალეს, ვიწროა ბილიკი, ერთი მეორეს მისდევენ.

ფუნქიკულიორი ხელათ გამხიარულდა. მხიარული სტუმრების ქრიაშული მოედო უცბად ფუნქიკულიორის არე მარეს. ფანჩატურებში ხელად დაღვადენ ჯგუფ-ჯგუფათ შეფარდნები. ქარი ქრის, ვითომ წვიმასაც აპირებს, ცინცქლავს კიდევ, მაგრამ ურყევა გადაწყვეტილება შეფარდენტ გუნდისა. ცოტა დასვენების შემდეგ ფუნქიკულიორიდან, სადაც ცეკვა იყო გამართული და აგრეთვე უფასაღებოთ დიდი არღანიც კი მოვმართეთ, რომლის ახმაურებამაც ძლიერ გაამხიარულა შეფარდნები, მხოლოდ იქაური მოხუც დარაჯის გულსწყრომა გამოიწვია, რომელიც ჯოხით გამოგვიდგა სუყველას, გაესწიეთ ზევეთკენ სწრაფი ნაბიჯით. გზა გზა რასაკვირველია ერთი მეორეს უსწრებს, აგერ გოორგის ჯგუფი, ეგერ კოლასი, უკან გზა მოჩანჩალობს, იმისათვის, რომ მას არიერგარღობა ხედა და ჩამორჩენილ შეფარდნებს ერეკება. კარგა მანძილი რომ გავიარეთ, დავეშვით მარცხნივ კოჯორ-წაყვისის გზატკეცილის მიმართულებით, სოფელი ტაბახმელაც გამოჩნდა; გავედით გზაზე, საიდანაც დაიწყო აღმართი, ნაგრამ სულ რამოდენიმე ვერსი გეკონდა განსაღვლი და აღმართი სრულიადაც არ გვაწუხებდა. მიუახლოვდით ტაბახმელას მიდამოებს. „აი, ამ ადგილზე იყო შემხვევი რაზმი, სადაც ყუმბარა დაეცა და მოკლა ჩვენი მარო“—ამბობდენ შეფარდნები.

ჩვენი მწერლის კოტე მაყაწვილის ასული მარო, რომელიც შეფარდენტში ვარჯიშობდა, ამის დროს წითელი ჯვრის შემხვევი რაზმში მუშაობდა მოწყალების და და მოწინააღმდეგე ბანაკდან გამოკროლილ ყუმბარამ იმხვევრბლა ის.

ენ-ადგილი ხიდის ზემოთ მწარე ფიქრებს იწვევს და ყველა დაღონებული მივიწვევთ

წინ. აგერ დანგრეული სახლი, სადაც კონსერვების მრავალი ლურჯი ყუთები ყრია. იქვე ნახავთ ტყვიებს. სოფელი ტაბანმელა მარცხნით გვრჩება. ამ კალთაზე იყო ბრძალა — გვეუბნება ერთი მიწის მუშა, რომელიც გზის ნიშნად გვიერთდა და გვიხსნიდა ომის მსვლელობის ვითარებას.

ძლიერ მოგვწყურდა სუყველას. წყარო მოსჩანდა და ჩვენც იქით მივეშურებოდით. წყაროს ანკარა წყალი ყველას აკმაყოფილებს. ვისვენებთ იქვე წყაროს მახლობლათ წინდორში, ამინდი კარგია. ყველანი საუზმეა შეექცევა ჯავახ ჯავახად დაბანაკებული. ისმის სიმღერა, იქით ვილაც ჰილაოზს.


ლამაზია შევარდენი ჯგუფებით მინდვრათ დაფენილი. მათში ვხედავთ ჩვენს საუკეთესო ქვეყნის შვილებს. მათშია ჩვენი ქვეყნის მომავალი. ჯანსაღ ახალთაობას აძლევს შევარდენი საქართველოს.

აგერ რამოდენიმე შევარდენი უკვე მთაზე ასულან და მორბიან იქიდან ახალი ამბით. მოაქვთ სავსე ტყვიები, ზარბაზნის ტყვიის ნაგლეჯები. ზევით ყოფილა სანგრები. აიშალა შევარდენი, გავსწიეთ ზევითკენ. ხუთბეტ-ოც წუთში ზევით ვიყავით. გავყვით ქედს. ჩვენ წინ ნათლათ გადიშალა ბრძოლების მთელი სურათი იმ მიდამოებში უკანასკნელ ომის დროს. მრავალი ტყვიები, რომელიც სანგრებთან ყრია, მაჩვენებელია იმ ტრაგედიისა, რომლის მოწამეც ტაბანმელის მიდამოები შეიქნა. რამოდენიმე ხელით სასრული ყუპბარა იპოვნეს შევარდენებმა. აუარებელი ტყვიები შეკრიფეს ყველამ. ერთხანს მთელი ჰიდის მიმართულებით ვეცნობოდით წარსულ ამბების ვითარებას, მარჯვნივ გადმოგვცქეროდა კოჯორის მთა, ქვემოთ კი პირდაპირ გავსცქეროდით კუმისის ტბას და ყარაიას მიდამოებს; უკან მარცხნით დაბლა ჩვენი ტფილისი, რომელიც აგრეთვე თებერვალში მოწმე გახდა თოფ-ტყვიისმფრქვეველ-ზარბაზნების ქექა-ქუხილისა.

კარგა ნასადილევი იყო, რომ დავეშვით ტაბანმელის მთიდან და გამოვსწიეთ ტფილისისაკენ. დიდათ კმაყოფილი მოვდიოდით, მაგრამ დიდათ ჩაფიქრებული ნანახ სურათით. დაღამებული იყო, ტფილისის ქუჩებში სიმღერით რომ შეიქრა შევარდენთ კრებული მეორე შევარდენისაკენ მიმავალი. მეორე შევარდენის ეზოში დავიშალეთ და დაღალულები გავეშურეთ სახლებისაკენ.

შევარდენთ მეორეი კიკეთის ახალშენის მიდამოებში.

1. თანახმად კავშირის მოწოდებისა 9 ივლისს, შაბათს ნასადილევის 4 საათზე უნდა შევეკრეთლიყავით მხოლოდ უფროსები მეორე შევარდენში, სადაც დაჯვრიგდებოდა შევარდნული ტანისამოსები. მიუხედავად ღრუბელისა, რომელიც მზეს გადაფარებოდა და წვიმას გვიქაღიდა, 4 საათისათვის იწყო ვაჟთა პირველ გიმ-



ნაზიის ეზოში დენა შევარდნებისა. თანახმად ბრძანებისა დატრიოდენ კავშირის და მეორე შევარდნის მოურავები და იწყეს ტანსაცმელის დარიგებამ. შევარდნი-  
 თავივე მოაწყეს თავიანთი შევარდნები და რიგრიგად მიდიოდნენ ტანსაცმელის  
 მისაღებათ ჯერ 1 შევარდნი, მერე 2, 3 და სხ. 5 საათი იყო, როდესაც დაირაზა  
 შევარდნები და მწყრივში მდგომი. ისმენდა ძმა გ. ნიკოლაძის სიტყვას ამ გაფრენის  
 შესახებ; ეს იყო პირველი გაფრენი, როდესაც სამი დღით გვიხდებოდა წასვლა.  
 „მარჯუნისაკენ, ბიჯებით იარ“ — გაისმა ბრძანება და დაიძრა შევარდნთ ლაშაზი  
 გუნდი. წინ დოლი და სალამური, უშაში მომღერლები. წინ ვაყები, უკან  
 ქალები. სიმღერებით გავემართეთ ფუნჯულიორისაკენ. სანამ რომოდნა ყველანი  
 აღყვანა ზევით, ერთმანეთს უტყვიდით და სრული 6 საათი იყო გზას რომ  
 შეუღებეთ უძოს მიმართულებით მთებზე. სამი დღისათვის მომარაგებული სურსათი  
 და მასთანვე ლამის დროს დასახურავი ყველას ზურგზე ქონდა ჩანთებში, მაგრამ  
 მიუხედავად ამისა მარდათ მიდიოდა სუყველა. უძოს მთამდის სულ მალღა-  
 მალღა გვაქვს სასიარულო ექვსი ვერსის მანძილზე. ვინაიდან დღე ღრუბლიანი  
 შეგვჩნდა და ისიც სალამოს, ამისათვის ირგვლივ მშვენიერ მიდამოთა სილამაზე  
 ვერ ვიხილეთ. გამოჩნდა მთაზე უძოს ეკლესია, რომლის მახლოვლათაც წყაროს-  
 თან უნდა შეგვესვენა და ყველასათვის დაგვეცადა.  
 კარა დაღამებული იყო, როდესაც უძოს ეკლესიის ძირში წყაროს ახლოს შევ-  
 ჩერდით შესასვენებლად. მართლაც ანკარა წყალმა, რომელსაც ირგვლივ შე-  
 შორისხედით, შეგვმატა ახალი ცოცხალი ძალა. შევარდნებმა ხელათ მოძებნეს იქ-  
 ვე ტყეში ფიჩხები და რამოდენიმე ადგილას დაინთო ცეცხლი. ზოგი ჩაის  
 ადუღებდა, ზოგი სიმღერით ერთობოდა. ზოგიც საუბრეს შეექცეოდა.  
 „გიგა ჩამოგვჩა, გიგა ჩამოგვჩა“ — გაისმა ხმები და შეწუხებულნი ყველანი  
 კითხულობდნენ ძმა გიგას ჩამორჩენის მიზეზს. მოგვხსენებათ, ხოლგობის დრო  
 იყო და ყოველივე პაწია მიზეზი ერთგვარ შიშს იწვევდა. თურვ ნუ იტყვით,  
 ჩვენს გიგას, რომელიც შევარდნის მხიარულების ღერძია, ცოტათი მსუცელი  
 ასტკივია, მაგრამ შევარდნებს, რომელთაც ცოტა ოდენი ღვინოც აღმოჩენიათ,  
 ხელდახელ მოურჩენიათ გიგა და მშინ როდესაც ჩვენ მის ცდაში ვიყავით, გიგა  
 შორაახლოს ჩამოძვლარი ქვაზე გვიტყვიდა სუყველას. შეიქნა ოხუნჯობა,  
 მხიარულობა, ვიღაცას შალი შემოაკრეს გიგას წელზე და გიგაც რასაკვირველია  
 მარდათ გამოიყურებოდა.  
 შევისვენეთ წყაროსთან ერთი საათი და ბრძანებისამებრ, მეთე საათი იყო გზას  
 რომ გაუღებთ, დანიშნული იყვნენ ავანგარდში მორიგეები და აგრეთვე არიერ-  
 გარდში, რომლებს შუა უნდა ეარათ ყველას, რათა არავინ ჩამორჩენილიყო.  
 ათ წუთში გავედით მანგლისის გზატკეცილზე და ხშირად ავანგარდს არიერგარ-  
 დი აძლევდა ნიშანს სტვენით, რომ ყველ-ფერი რიგზეა და შექძლო გზის გაფ-  
 რქლებს; მივდიოდით სიმღერით. გაშლილი გზა სიმხნეს გვმატებდა მივიწყო-  
 დით თეთრ დუქნისაკენ, საიდანაც ვერსნახევარია კიკეთის ახალშენამდის.



ქართული  
ენების  
სწავლის  
სამეცნიერო  
სამსახური

„შენ ხარ გურგელ, თამრო სად არის?“

„აუ, გიორგი, ვანო ხომ არ დაკარგულა?“ — ისმის ხმები.

ვარაუდით უძო ნახევარი გზაა, ისე რომ როდესაც პირველად მიიღწა უტენობა ადგილას და ისიც ღამე და არაფერი მოსჩანს ირგვლივ, ასე გგონია გზა გრძელდება.

გიორგი გადაწყვეტით გვეუბნება, სრულ თორმეტის ნახევარზე შეიძლება კიკეთში, კოლა კი (ჩვენი მოსურავი) გვახსენებს, აი აგერ ერთი ვერსი დარჩა სულა, მაგრამ კოლას ერთ ვერს ორი საათი მივდიოდით.

ჩაუარეთ თეთრ დუქანს, რამაც ძლიერ გაგვახსენა. შევარდნებს უკვე დაღლილობა ეტყობათ. ვითომ წვიმასაც ებრება; აი გამოჩნდა ჩირაღდანი, გაისმა „აუ“-ს ძახილი, როგორც ჩანს კიკეთის აგარაკიდან. ექვნი იყვნენ ჩვენი გოგი და ჭიჭიკო, რომელნიც წინაღობით წასულნი კიკეთში, გვიმზადებდნენ ბინას; შემოგვეგებნენ მათთან ერთად სხვა შევარდნებიც — ქალები, რომელნიც სკოლებში მუშაობდნენ კიკეთში.

ერთი სიტყვით, რადგან გვიანი იყო, ყველა ბინას კითხულობდა. როგორც იქნა დავლაგდით. ვაქები — ნაწილი დიდ კარავში, რომელიც საგანგებოთ გაშლილი იყო ერთ ერთ ეზოში, ნაწილი კი ერთ სახლის აივანზე; ქალებიც ერთ ერთ სახლში. კარგა ნაშუალამევი იყო, კიდევ ისმოდა შენელებული ხმაური შევარდნებისა.

გიორგი ნიკოლაძე კი, როგორც უფროსი დადიოდა ხან აქეთ, ხან იქით, „ყველა მოეწყო, თუ არა“-ო. მიეცა ძილს შევარდნები და მიწყნარდა ისედაც მშვიდობიანი და ჩუმი ლაპაზი კიკეთის მიდამოები.

2.

დიდ გაფრთხილდა შორის, გაფრენი კიკეთში იყო პირველი, ვინაიდან სამი დღით წასულნი შევარდნები ტკბებოდნენ ამ დროის განმავლობაში საქართველოს ერთ ლამაზ კუნძულის სიმშვენით.

კიკეთის ახალშენი, პირდაპირი ხაზით რომ ავიღოთ, მდებარეობს ტფილისიდან ვარაუდით 15 ვერსის მანძილზე, თუ მეტი არა, მანგლისის გზატკეცილის მარცხენა მხარეზე ირგვლივ ტყე, გაშლილი ადგილი, მშვენიერი სანახაობა ყველგან, ტყეში გაფანტული საგარაკო შენობები, რომელიც ეკავათ სხვა და სხვა საბავშვო სასწავლებლებს და ბაღებს — ყოველივე ეს მყუდრო სილამაზეთ გეჩვენებათ. მართლაც ცოტა ხნით მოცილებული ახმაურებულ ტფილისს, იქ კიკეთის მიდამოებში სამოცხეში გრძნობთ თავს, ვინაიდან ტყე, წყაროები, სუფთა ჰაერი, რომელიც ორ დღეში სრულიად გარდაქმნას გიქადისთ, ცდილობს შეგაცუროს საქართველოს ბუნების წიაღში.

აბა რა მოასვენებდათ შევარდნებს. გათენდა თუ არა, ახმაურდა ირგვლივ მიდამო შევარდნათა მოძრაობით. ყველა მიდის წყაროსაკენ. დღით კარგა სიციფვა.

ზოგს საბანი მოუხურავს, ზოგსაც პალტო ჩაუცვამს. წყაროსთან ცალცალკე შევარდნები ვარჯიშობენ, სიცივეს უმკლავდებიან: იხდიან პერანგებს, ებანენ ტანს. ხმაურობაა კარავთანაც, სადაც იკრიფება ყველანი, ზოგი ჩაის მზადდება, სწრაფი უზიიოთ შეექცევა საუზმეულობას. დილიდან ედება შევარდნები კიკეთის მიღამოებს, ათვლიერებს სანახევებს, ეცნობა არე-მარეს.

თანხავად ბრძანებისა 11 საათისათვის ყველანი კარავთან არიან. მწყობრით სიმღერით და ზურნით უნდა გავიაროთ კიკეთი და მივიდეთ ყოფილ ვილარტის აგარაკთან. მსწრაფლ გუნდი შევარდნებისა მზათ არის და მივდივართ დანიშნულ ადგილას. მომღერლები ყოჩხალთ არიან. სიმღერის დამწყები ძმა მიშა ამხნევეს მომღერლებს, უკანასკნელნი კი მთელ შევარდენს. ერთ სიმღერას მგორე მოსდევს, „ვარალალო კლაკნიას“ „მადლობზე გადმომდგარიყო“, არ სდუმს ლაღო მელოლეც.

ადგილზე მისვლისას „დიდება“-ს შემდეგ ერთ მწყვრივად შევარდენი შედის ფიქვნარში და იხლართება ხეებში, რის შემდეგაც იმართება ცეკვა-თამაში. კიკეთელებიც იქ არიან. აგერ გოგიას მოყავს კიკეთში მყოფი ბავშვები, რომელთათვისაც ის დღე დღესასწაულად გადაიქცა. თამაში, სიმღერები ახარებს ბავშვებს. ფიქვნართან გაშლილ მინდორზე იმართება სხვა და სხვა თამაშობანი, რაც ერთგვარად იტაცებს როგორც შევარდენთ, აგრედვე მაყურებლებს. აგერ ერთ გაქცევის დროს ეკლიან მავთულზე დაჯახებით ოთხი ქრილობა მიიღო მარამ, მაგრამ იოდი და ბანდი ხომ თან გვაქვს და სწრაფ სამკურნალო დახმარების შემდეგ მარო თავის შეხვეულ ფეხით ისევ ჩვენ მწყვრივებშია. შევარდენს არ ჩვევია შეკრობა და სიმხდალე, ის ვაჟაკია სულით და გულით. დაბრკოლებანი შევარდენს არ აშინებს. ის თავის ლამაზ დროშით ყოველთვის სძლევს ცხოვრების სიმრულდეს და მუდამ საუკეთესო გზის გამკვლევი იქნება ჩვენი მშრომელ ხალხის და საქართველოს სიყვარულს ვერავინ აღმოუფხვრის მას გულიდან.

ნაშუადღევს 2 საათამდის შევარდენთა მხიარულება ამხნევებდა მთელ კიკეთს. შევარდნების მიერ აღფრთოვანებულნი კიკეთელები თავის სილაღეს და სიმარდეს გრძნობდენ. დღევანდელ ცხოვრების ღუბჭირ პირობებში მყოფი ადამიანი გადაგვარების გზაზე დამდგარი ვერ გრძნობს თავს საცხებით კმაყოფილად. ჰადის და საქმლის ძიებაში ის იძულებული ხდება უარყოს ყოველივე რაც ლამაზი და კარგია ქვეყანაზე, ამაზე საფიქრებლად აღარ სცალია არავის. მინელდა მხიარულება, მიყუღდა ღებნა, რაც საერთოდ სიცოცხლეს აძლევს ადამიანის ცხოვრებას და რაც სხეულის განვითარებისათვის ისეთივე საჭიროა, როგორც პური და ჰაერი.

და თუ კი ასეთ შემთხვევებში შევარდენთ კრებული ცდილობს რაიმე გამხნეება და სიხარული მისცეს ხალხს, ეს მისი ვალია, ამაში შევარდენი ხედავს საქართველოს მშრომელ ხალხის საუკეთესო მომავლისაკენ ტრფობას.

მესამე საათი იყო, რომ დავიშალეთ, რათა 4 საათისათვის ყველა კარავთან

ვეოფილიყავით. სასადილოთ წასულნი ხეებს ქვეშ ჯგუფჯგუფათ შევიქცეოდით, ვისაც რა ჰქონდა. სურათი მოგაგონებდათ სოფლის დღესასწაულს, სადაც ნაწილობრივ რებელი ხალხი იკრიფება და ყველანი თავის სუფრასთან თავის მეგობრებს შეიქცევა საუზმეს. ნასადილევს ვითომ შინელდა ხალხი შესასვენებლათ, მაგრამ ვინ მოგასვენებს, აგერ ერთი მოვა, ხუმრობას დაგიწყებს, იქით მეორე გექაჩება და კვლავ სიმხიარულე არღვევს მყუდროებას.

4 სათზე ყველანი მოწყობილნი მწყობრში იღვენ, ვინაიდან გიორგის რაღაც სათქმელი ჰქონდა. საქმე შემდეგში იყო: რადგან ისეთი შორი გაფრენი პირველი იყო და ბევრმა ვერ მოიპარაგა საკმაო სურსათი, რომ მესამე დღემდის ყოფნოდა, ამისათვის ნება მიეცა ისეთ შევარდნებს, ვისაც სურსათი შემოაკლდა სურვილისამებრ გამგზავრებულყვენ ტფილისისაკენ. ასეთები გამოჩნდნენ რიცხვით 25 კაცი, რომელნიც ორი ვარჯიშთავის: ვანო და გოგას მეთაურობით დაიძრნ ტფილისისაკენ.

თანდათანობით ჩვენს ირგვლივ იკრიფებოდა მრავალი ბავშვები და მათი მშობლები ახლო სოფლიდან. ესენი იყვნენ სოფელ დიდებიდან, რომელიც კიკეთიდან ორი ვერსის მანძილზე მდებარეობს სამხრეთით. დიდების ბავშვებს ძალიან მოსწონდათ შევარდნები და გვთხოვეს კიდევ, რათა მათ სოფელშიც დაგვეარსებინა „შევარდნი“. ჩავითრიეთ დიდების ბავშვები ჩვენს მხიარულებაში. მედლოემ ათამაშა თავისი დოლი და ბავშვები ერთი მეორეს უსწრებდნენ ლეკურის ცეკვაში. ვინაიდან სოფლიდან ამოსულები უკვე მრავლად შეგროვდა ჩვენს ახლო მახლო თავის მუსიკით (გარმონით), ამისათვის იქვე ჩოგბურთის მოედანზე გავაჩაღეთ ცეკვა-თამაში. მუსიკა სოფლიდან, დოლი შევარდნებიდან, მოცეკვავენი ორივე მხრიდან. ორ საათს გასტანა ცეკვა თამაშმა, რამაც აუარებელი ხალხი შეკრიბა ჩვენს ირგვლივ. საჭირო შეიქმნა შევარდნთა პატარა გამოსვლა, რათა ხალხისთვის გვეჩვენებინა შევარდნული ვარჯიშობანი. და ეს ხომ შევარდნულ იდვის აგიტაციაა, რომელიც იზიდავ ხალხს შევარდნთა მწყრივებში. კავშირის ვარჯიშთავი ძმა გურგელი ეგნატაშვილი ჩაფიქრებულა დადის, ეს მას სჩვევია, როდესაც უნდა ხალხს შევარდნული სილამაზე აჩვენოს; ხელში უკავია წითელი ალამი. თანახმათ ბრძანებისა ჩოგბურთის მოედანი თავისუფლდება, ხალხიც უცდის გამოსვლას. მოემართებან ვაჟები მოედნისაკენ, ყველა ძმა გურგელას შესცქერის ხელში, რომელშიც ალამი უკავია.

ერთი, ორი, სამი — გაისმის ბრძანება და შევარდნები ლამაზათ იშლებიან მოედანზე. იწყება თავისუფალი მოძრაობა და ყველას ყურადღება შევარდნებისაკენაა, მხოლოდ შევარდნების გურგელასაკენ. თავისუფალ მოძრაობის შემდეგ თამრო ნიკოლაძის ასულის მეთაურობით ვაჟებს სცვლიან ქალები, რომელნიც რასაკვირველია ვაჟებს სჯობნიან თავის თავისუფალ მოძრაობით. ეს ასეც უნდა იყოს. ნაკეთურ თავისუფალი ვარჯიში საერთოდ ძლიერ ეხერხებათ ქალებს, მათი კიდურების კუნთების მოქნილობა მშვენიერად ეფარდება თავისუფალ მოძრაო-

ბებს. ქალების თავისუფალი მოძრაობა დიდ ოვაციებს იწვევს, რაც ერთგვარ ახარებს ვაჟებსაც, ვინაიდან აქ არის შევარდენი, შევარდნულ იდენს გამარჯვება. თავისუფალ მოძრაობის შემდეგ იმართება შევარდნული ფერხული, რომელშიც მონაწილეობას იღებს ყველა, როგორც ველები, ისე ქალები. საერთოდ უნდა ითქვას რომ ფერხული შევარდნულ ვარჯიშობაში ეს ერთი რთული ნაწილთაგანია, ვინაიდან გადახლართულ გადახლართულ სიარულში, დაშლა შეერთებაში, რომელსაც ასე სისწრაფით აკეთებენ შევარდნები, მართლაც რომ დიდი სილამაზე გამოსჭვივის.

თვალი ვერ ასწრობს აღლო აულოს იმ გადაჯგუფება-გადმოჯგუფებას, რომელიც ასე სწრაფად ხდება ვარჯიშთავის ხელის ჩვენებით.

დასრულდა ფერხული. ხალხი ძლიერ კმაყოფილია, მადლობას უხდის შევარდნებს. დაუღალავი შევარდნები კვლავ მართავენ ცეკვა-თამაშს. მოცეკვავეთა რიგში თქვენ ხედავთ თამრო ნიკოლაძის ასულს, გიგა ბერიძეს, კოლა შარაშიძეს. გიგა ცეკვავს და სიცილით ხოცავს ხალხს, კოლა ვილაც პატარძალს აცეკვებს, თამროს რომელი კმაწვილი ეცეკვებოდა, აღარ მახსოვს. უკანასკნელ წყვილების ცეკვას გასაკცებელი მხიარულობა შეაქვს დღესასწაულში; კარგა შელამბული იყო და ხალხმაც იწყო დაშლა, რადგან არც წვიმა ხუმრობდა. თანდათანობით უმატა წვიმამ. შევარდნები თავთავიანთ ადგილებისკენ გაემართნენ.

შევარდნთა მეთაურები მიწვეულ იყვნენ სკოლის შენობაში, რომელსაც განავებდა შოქ. ცინცაძისა და იქ მასწავლებელთა მშენიერი გუნდი საუზმით გავვიმასპინძლდა. იქვე იყვნენ ამერიკელები, რომელნიც კიკეთში არსებულ სასწავლებლებს და საბავშვო ბაღებს ერთგვარ დახმარებას უწევენ. ამერიკელებს ახლდენ ზოგიერთი მომღერლები და თავიანთი თანამოსამსახურენი, რომლებმაც კარგი სიმღერებით დაატკბეს ჩვენი სმენა,


11 საათი იყო რომ დავიშალენით და დაღალულები ძილს მივეცით.

### 3.

ორშაბათს დილით ადრე უნდა გამოვსულიყავით კიკეთიდან, რათა მზეს არ შევეწუხებინეთ და მასთანვე ადრევე ვყოფილიყავით ტფილისში, სადაც ზოგს საქმე ელოდებოდა, ზოგს სამსახური.

ვინაიდან სურსათის მხრივ ჩვენი ჩანთები საშინელ კრიზისს განიცდიდნენ, ამისათვის ესეც რასაკვირველია იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ გადაწყვეტილი გეჰქონდა გათენებისთანავე წამოსვლა. მაგრამ ჩვენი შემუშავებული გეგმა შეიცვალა, რასაც ხელი შეუწყო ღრუბლიან დილამ და ამასთანავე იმ გარემოების შეცვლამ, რომ ჩვენი სასურსათო კრიზისი შენედა ცინცაძის სკოლის წარმომდგენლის წინადადებით შევარდნებისათვის დაემზადებინათ ჩი, ქაში, რძე და პური.

ამ გარემოებამ თავის თავად შესცვალა რასაკვირველია ჩვენი მდგომარეობა და ოთხი საათის მაგიერ გამოვედით კიკეთიდან 9 საათზე. საუზმის დროს მასპინ-



ძლიერად გვიწვევდა ხ. ბერეჟიანის ასული, რომელსაც წამოსვლისას შევარდნებამ მწყობარში ჩამდგარმა „სამადლობლო“ უძღერეს.

მწყობრით გამოვდიოთ კიკეთიდან. სიმღერა და დიდი ჩვენს წინსვლას ეტანებოდა. სიმაღლეს აძლევდა. გვემშვიდობებოდნენ კიკეთელები.

ჩვენს შიკრიკს გორიანზე (ველოსაზეზე) მიეცა ტფილისისაკენ სვლიგეზი სოფელ დიდებით კოჯორზე. ავიღეთ გეზი კიკეთიდან მარჯვნივ ქორ-ოღლის ციხის მიმართულებით. გასავლელი გვაქვს სოფელი დიდება, რომლის მცხოვრებლები ბაგში თუ ქალი შევარდნების დანახვაზე გარეთ გამოეფინენ. დიდებელში ხომ ჩვენი კარგი ნაცნობებია. წინადლით ერთად ვმხიარულობდით კიკეთში. სოფლის ბოლომდის გამოგვყენენ დიდებულები. „ვარალალო, გაუმარჯოს ამ სოფელსა“ — მღერიან შევარდნები დიდებაში ვავლის დროს.

თანდათან უახლოვდებოდით როგორც კოჯორს, აგრეთვე მის მარჯვნივ მდებარე ქორ-ოღლის ციხეს. მედიდურად ამაყათ გამოიყურება ქორ-ოღლი, ის იცნობს შევარდნებს, რომლებმაც შარშან ზაფხულში იერიში მიიტანეს მასზე და ხელათ მთელი შევარდენი ასული ციხეზე, ქორ-ოღლზე გარს შემორტყმული ლამაზათ მოსჩანდა. ლამაზი სურათი იყო თურმე როდესაც შევარდნები მოთენილი ქორ-ოღლის ირგვლივ დიდის სისწრაფით აღიოდნენ ციხეზე, სადაც ციხის ერთ მაღალ კედელზე ააფრიალეს დროშა, რომელიც დიდხანს მოსჩანდა ციხეზე. მრავალი დურბინი შესცქეროდა შევარდნეთ ლამაზ იერიშს, ქორ-ოღლის ციხეზე მიტანილს.

და აი ვხლაც შევარდნეთ გუნდი კიკეთიდან მომავალი მიდიოდა კოჯორისაკენ და მათ დასცქეროდა ქორ-ოღლის ციხე. ლამაზი სურათია, ცის ლურჯ კამარზე დახატულათ მოსჩანს ქორ-ოღლი, ეს ჩვენი ძველი ისტორიის მოწამე, ეს ქართულ კულტურის მაჩვენებელი წარსულში.

სცემს დიდი და მას ბანს აძლევენ ახლად შექმნილი მეზურნეები. გვიამ და კოლამ, რომლებმაც საეარცხლებიდან მოაგვარეს დუღუკი, ისე გავიტაცა ყველანი სიარულში ჩვენი შიკრიკითურთ, რომ ბილიკს ავცდით და მივადექით ტყეს, რომელიც გადავიდა ხევში; ხევის ზემოთ კი კოჯორია, მაგრამ ვასვლა ყოვლად შეუძლებელია. ამ გზის აცდენის გამო იძულებულნი ვიყავით შეგვეცვალა სვლიგეზი და წამოგსულიყავით მარცხნივ ისევ მანგლისის ვზატკეცილზე. ოღრო ჩოღრო გზით ამოვედით ვზატკეცილზე და გავეშართეთ უძოს წყაროსაკენ. მშვენიერი ადგილია ეს უძოსთან ახლო მდებარე წყარო. ადრე აქ ყოფილა დუქნები, სადაც ისვენებდნენ და ღვინის ეძლეოდნენ გამვლელ-გამომვლელები. ამას მოწმობს ის ზენობები, რომელიც ტყის პირას გორის ფერდოზე ამართულია წყაროს ზეგით. ქვევით კიდევ ტყე. ლამაზია ბუნება უძოს წყაროსთან. აქ კარგა ხანს ვისვენებთ, ვინაიდან დასარიგებელია ორი თეთრი პური, რომელიც კიკეთიდან გამოგვყვა. დიდ ამბავშია მოურავი. მწკრივში დგება ყველანი, რათა რიგ-რიგობით მიიღონ პური. პურის შემდეგ ცეკვა-თამაში, შარადების შედგენა-

გამოცნობა და სხ. საათნახეარი ვისვენებდით, რის შემდეგაც გამოვსწიეთ. ჩამოუარეთ ისევ უძოს ძირში, სადაც ერთ პაწია ნაშენში ხის ქვეშაბუხეებს ასვენია და ხეზე კი მრავლად ჩამოკიდებულია ქინკები, რომელთაც მსხურმე მსხობი ჰკიდებს ხეზე, იგულისხმება ქალები, უშილო ქალები, რომელნიც მოდიან უძოს ეკლესიასთან და შესთხოვენ ღმერთს ძეს. აქედან წარმოსდგა უძოს სახელიც, უძეო—უძო. თვით მოხუცი, რომელიც უძოს პაწია ეკლესიას ყარაულობს და რომელიც ჩვენ ვნახეთ უძოს წყაროსთან, სასოწარკვეთილები გადმოგვცემდა: „თარებსაც კი მოქონდა უძოში შესაწირავი, ისე სწამდათ უძოს სიძლიერეო; ახლა კი წელს ეს პაწია ეკლესია გაცარცვეს ქურდ ბაცაცებმა და შიგ რაც იყო შემოწირული ისიც წაიღესო“.

უძოს მწვერვალი, რომელზედაც გაშენებულია უძოს ეკლესია, მდებარეობს ეგრედ წოდებულ სანიშნებელ მთის გვერდით, ერთი ვერსის სიმაღლეზე ხიდის ზემოთ—4.700 ფუტი.

გაფრენის უფროსს ძმა გიორგის თან ქონდა მთების სიმაღლის საზომი—ანეროიდი, რომელიც გვაჩვენებდა ამა თუ იმ სიმაღლის რაოდენობას. საერთოდ ასეთ გაფრენების დროს იმდგვარი ხელსაწყოები აუცილებელ საქირებებს წარმოადგენს მოფრენალ—ექსკურსანტებისათვის, რომელნიც ვალდებული არიან გაფრენებს მიუდგენ აგრეთვე მეცნიერულის თვალსაზრისით. ანეროიდი ისეთივე საქირო ხელსაწყოა, როგორც მაგალითად საქიროა ასეთ შემთხვევებში კოჩასი, დურბინდი, ფოტოგრაფიული აპარატი და სხ.

დავეშვით უძოდან. კოჯორის ქედი დაგვრჩა უკან და მარჯვნივ, მხოლოდ წინ მარჯვნივ, გამოჩნდა სოფლები წავკისი, ტაბახმელა და შორს იმავე მიმართულებით მთაზე შეენაბადის მონასტერი; ტაბახმელა და მისი მეზობელი კოჯორი ისეთივე ისტორიულ ადგილებათ შექმნა საქართველოს მშრომელთათვის, როგორიც არის მათვე ახლობლათ მდებარე კრწანისის ველი. ტაბახმელა, კოჯორი, კრწანისის ველი. ეს წმინდა ადგილებია ქართველ ხალხისათვის, სადაც ქართველთ საუკეთესო შვილებმა წმინდა სისხლი დაღვარეს თავის სამშობლოს დსაცავათ, თავის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. და აი სწორედ ამისათვის მათი ხილვა ნაზ და მწარე მოგონებათა ყრიალს იწვევს ყოველივე ქართველში, ვისაც უყვარს პაწია ლაპაზი საქართველო და მისი ტანჯული მშრომელი ხალხი.

ქედიდან თქვენს თვალწინ წარმტაცი სურათები იშლება, აქედან მოსჩანს მარცხნივ კუს ტბა დალისის ტბა, ვერის რუხ ხევი, ბეთანია და წყნეთი, ნახშირგორა და საკენჭაო, საგურამოს მთა და ზედაჯენის მონასტერი, შორით კი ტატნობზე თვით კავკასიონის ქედი, კარგათ გააჩვენა მყინვარს და სხვა მნიშვნელოვან მთის მწვერვალებს. კავკასიონის ქედი ხომ საქართველოს კედელია, რომელიც ფარავს ქართველთ ქვეყანას ჩრდილოეთის სუსხიდან. ამ კედელის აქეთ ხომ სხვაა ბუნება, სხვაა ზენჩეულება, სხვაა ხალხი და ჩვენც სიყვარულით

შეცქერით ამ ბუმბერაზ მთის მწვერვალებს, რომელთა კალთებს თეთრი ნაბადი ზაფხულობითაც კი არ შორდება.

ასეთი სანახაობა თავის თავად გვიმოკლებს გზას; ჩვენ ვერ ვამჩნევთ არცერთ უახლოვლებით ტფილისს. სვლი გეზი ავიღეთ მარჯვნივ გზატკეცილზე. აქ უკვე სიციხის გამო შევარდნებს—ვაყვებს ეძლევათ ნება გაიხადონ პერანგები. შვის სხივები ალამაზებს, აკაყვებს შევარდენთა გულმკერდს. ბრინჯაოსავით გამოიყურებს შევარდენთ რკინისებური კიდურები თავის მძლავრი კუნთებით.

გზა-გზა გვხვდებოდენ მოხუცი სოფლები.

„სად მივალთ შეილო, საიდან მოდიხარო?“ — არ გეშინიათ ავად გახდეთ, ხომ გაგიფუჭათ მზემ ტანი?“ — ასეთია შეკითხვები. „აგრე ჩინეთში და იაპონიაში დადიანო—ამბობს ერთი მეცხვარეთაგანი,—იქ მინახავს იაპონიის ომის დროს ეგრე მოსიარულენი“.

ჩვენც უხსნით რასაკვირველია გაკვირვებულ მოქალაქეებს შვის სხივების მნიშვნელობას ადამიანის სხეულზე, უხსნით საერთოდ ტანვარჯიშობის მნიშვნელობას კაცობრიობისათვის და კერძოდ ქართველ მშრომელ ხალხისათვის და ასეთი ახსნა-დარიგება ერთგვარად აკმაყოფილებს ჩვენს მოზაასებს.

სოლოლაკით მოუახლოვდით ტფილისს. ნასადილვეის მესუთე საათი იყო, როდესაც სოლოლაკების მყუდროება დაარღვია შევარდენთა სიმღერამ. რღება ფანჯრები, ხალხი აივანებზე გამოდის, ქუჩები ბავშვებით ივსება.

აქა-იქ შეგვიანებულ სამსახურიდან კიდევ მოდიან მოქალაქენი. აგერ ერთი მოქალაქე პორტფელით ხელში, რომელიც შეიძლება ჩვენ გასაგონათაც არა, მაგრამ მისი სიტყვები ნათლად გვესმის; ის ეუბნება თავის თანამგზავს: „კაცო, მესმის ეს ბავშვები, მაგრამ ეს მოზრდილები რამ გადარია, უსაქმო ხალხია როგორც სჩანს“. შევარდნებში შეიქნა სიცილი ამ მოქალაქის სიტყვებზე, რომლის გონებაც ჯერ კიდევ ისე არ განვითარებულა, რომ გაიგოს ტანვარჯიშობის დიდი მნიშვნელობა, შევარდნობის დანიშნულება ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა დაგვჭირდება, სანამ ხალხში სავსებით შეიქრება შევარდნული აზრი, შევარდნული იდეა.

„ჩასაწერია, სოსო, ჩასაწერი“ — მწყობრში ოხუნჯობენ შევარდნები. მეც ვეთანხმები ძმათა კრებულს.

ნ საათი იყო, როდესაც შევარდნები ზივდიოდით ნასიამოვნობი სახლებისაკენ.

შეშარდნთა მბრძანნი სემპრეზუ — სივის მითით — თელავში.

გავიგეთ რომ საგარეჯოს „შევარდენი“ გამოსვლის გამართვას ეპირებოდა ფერის ცვალებებისათვის. გადავწყვიტეთ წასვლა ათიოდე ძმამ. მაგრამ ვინაიდან ბილეთების საქმე ვერ მოგვაგვარეთ, ამისათვის ერთგვარი დაბრკოლება გვედობებოდა. ხუთ-

შაფათს საღამოს (18.VIII, 21) I „შეკარდენი-ს“ დარბაზში ვაჟთა მგვადინების შემდეგ კავშირის ვარჯიშთავი ძმა გურგელა წინადადებას იძლევა ფეხით წაიღეთ ტფილისიდან საგარეგოში—წინადადება ერთხმათ მიღებულია. გაილაყდა ის ღამე შეკარდენში გაგვეტარებინა და დილით 4 საათზე გავდგომოდით გზას. 10 საათისათვის ვარჯიშობის შემდეგ სამკურნალო განყოფილების ოთახში პოვიდნენ ღამის გასათევთ ძმები: ლადო, მიშა, „კაპრალი“. გურგელას ცძინა ეზოში. ფეხბლათ უნდა ვყოფილიყავით, რათა დილისათვის არ ჩავკინებოდა. ღამე ვდგებოდით და ვაჟვლიერებდით საათს. მაგრამ არ იქნა ძილმა თავისა ქნა, ყველას თურმე კარგათ გვეძინა, როდესაც დილით შემოსულა გურგელა ჩვენს ოთახში. „ადექით“—დაიძახა მან და სუყველანი ერთად წამოვჯექით ვინ საწოლზე, ვინ მაგიდაზე, ვინ იატაკზე, ხელათ მოვემზადეთ და სრული 4<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათი იყო რომ გაუდექით ქალაქის ქუჩებით. ისან-ნავთლულისაკენ გავედით თუ არა ისწელები გაკვირვებას ეძლეოდენ „ბერძნის ჯარია“—ამბობენ ერთ ადგილას; „არა კაცო ინგლისელებია“—ამბობენ მეორენი. ჩვენ გვეცვა შეკარდენული საგაფრენო ტანსაცმელი: მოკლე შარვალი და თეთრი მოკლე სახელოებიანი ხალათი წითელ ზოლებით, რის გამოც უცხოელები ვეგონეთ და ამასთანავე თუ მივიდეთ მხედველობაში ქალაქში გავრცელებული ხმები ინგლისელ-ბერძნების შესახებ, სულ ადვილი ასახსნილია, თუ რისთვის გენათლავდენ გზა-გზა ზოგნი ბერძნებათ, ზოგნი ინგლისელ—ფრანგებათ, სიცილიათაც არ გვყოფნიდა ყოველივე ეს, რაც ძლიერ კარგ გუნებაზე გვაყენებდა და განზრახულ ძნელ გზას—45 ვერსის მანძილს—ერთგვარ გვიადვილებდა. ნავთლულის სადგურზე ჩვენ ვნახეთ ქემალის ოსმალთ ლაშქრის ერთი ეშელონი, რამაც ჩვენი გაკვირვება გამოიწვია, გაუდექით გზას; გასავლელი გვაქვს ვაზიანამდის 13 ვერსი. გზა კარგია. გზაში გვხვება სოფლებიდან ქალაქისაკენ მომავალი მგზავრები. ყველანი გაკვირვებით შემოგვცქერის. „აჰა, ხომ ამბობდენ მოდიანო, ჩამოსულან კიდევ ბერძნები“—ეუბნება ერთი მგზავრი მეორეს, მაგრამ დახეთ მათ გაკვირვებას, როდესაც ჩვენ ქართულათ ვესალმებით და ბაასს დაუწყობთ. ჯერ კიდევ 9 საათს არ გადაცილებულიყო, ვაზიანის სადგურთან რომ შევჩერდით დასასვენებლათ. წავის-უზმეთ და 15 წუთის შემდეგ გავსწიეთ სართაქალას მიმართულებით. დაიწყო წვიმა, მაგრამ არ გავჩერდით და შეუდექით მალლობს; გავიარეთ ორი ვერსი, წვიმაც გადილო. მეოთხე ვერსზე გზა ორათ იყოფა: მარცხნივ გზა მიდის მუხროვანით გომბორის უღელტეხილზე. ამ გზის გადასახვევ ადგილიდან გომბორის მთამდის შარა გზით არის 37 ვერსი, მხოლოდ გომბორის უღელტეხილიდან თელავამდის 34 ვერსი. მეორე გზა კი მიდის სართაქალით მთელი კახეთის მიდამოებში. სართაქალაქის ვაზიანიდან 10 ვერსია. იმ ადგილიდან, სადაც გზა იყოფა, მოსჩანს სართაქალაქულ ამწვანებული. მივდივართ სწორე გზით. თვით სოფელი სართაქალა ანუ მარიენფელდი, როგორც იქაური მცხოვრებნი—გერმანელები ეძახიან, ორ ნაწილათ იყოფა. ერთი ნაწილი სოფლისა არის წმინდა გერმანული, მეორე ქართული.

განსხვავება სოფლის ამ ორ ნაწილს შორის შესამჩნევია. გერმანული კომუნა ერთ-ერთ რეზანათ და ერთ ყაიდაზე აშენებული სახლები თავის არე-მარეთი სრულიად განსხვავდება ქართულ სოფლის სახლებიდან. სართაქალაში არ გავჩერებულაერთ. გადასასვლელი გვაქვს მდინარე იორა. ცივი წყალა ისე გვაბა, რომ ფეხშიშველნი ნახევარ სათამდის ვისხედით წყლის პარას. სწორედ იმ დროს გააბრა ტუილი-სიდან მომავალ მატარებელმა ხიღზე, რომელზეც დაშორებული ვიყავით ერთი ვერსის მანძილზე ზემოთ. შეუდქით გზას; სვლიგეზი ავღეთ სოფელ პატარძელზე; სოფლამდის ხუთი ვერსია. შევედით სოფელში. დიდი, გაშლილი სოფელია; ორი კოშკი ამართულია სოფლათ. მშვენიერი ამინდია და სოფლათ დღესასწაულის გამო გამოფენილი ხალხი საზეიმო ელფერს აძლევს სოფელ პატარძელის მიდამოებს. ყველა გაკვირვებით გვიყურებს, „ჩა, ანგლიჩანები ჩამოსულან“ — ეუბნებიან ჩვენს დანახვაზე ქალები ერთი მეორეს. „არა, დიდა, ამერიკელები ვართ“ — ჩვენც ხუმრობით უპასუხებთ. ჩვენი ქართული რასაკვირველია შესამჩნევ გავლენას ახდენს და ვცილდებით რა სოფელს, ყველამ იცის თუ ვინა ვართ და რა არის შევარდენი. ძმა გურგელა ფეხშიშველა და პერანგ გახდილი მოდიოდა, ჩვენც ირგვლივ შემოვერტყათ. აგერ მოდის ერთი მოხუცი ქალი და ძლიერ გაკვირვებით შეგვცქერის სუყველას, უმთავრესათ კი ძმა გურგელს. „შეშლილია, დედი, შეშლილია“ — ვეუბნებით მოხუც ქალს, რომელშიც სიბრალულს იწვევს გურგელა და ამბობს: „უი, საცოდავი, შვილო,“ მივიღივართ მხიარულათ. უახლოვდებით სოფელ ნინოწმინდას, რომლის ცენტრშიც ხალხი შევროვებულა და ჩვენც იქ შევჩერდით წყაროსთან. ვინაიდან ნინოწმინდა ზედ ერთგვის საგარეჯოს, რომელსაც მხოლოდ რიყე საზღვრავს, ამის გამო იქ შესაფერისათ მოგვყავს წესიერებაში ტანსაცმელი და მივიწვეთ საგარეჯოსაკენ. ბაღებში ჩაფლული საგარეჯო თავისი სახლებით და ეკლესიებით კარგია, თუმცა შავ უსუფთაობა მის გარეგან სილამაზეს ანელებს ერთგვარ. 4 საათი იყო, როდესა ჩვენი პაწია გუნდი ადგილზე მივიდა თეატრის შენობასთან, სადაც ეგრეთ წოდებულ ხატი-კაკლებთან გაშლილ ადგილზე უნდა გაემართა გამოსვლა საგარეჯოს „შევარდენ“-ს ვნახეთ რა გამოსვლისათვის გამზადებული მოედანი, შევედით დასასვენებლათ თეატრის დარბაზში. იქვე მოვადენენ ის ტფილისელი ძმები, რომელნიც მატარებლით ჩამოვიდნენ საგარეჯოში, სახელდობრ კოლა, ლევანი, ვასო. გიგა კი საგარეჯოელებთან იყო და ეხმარებოდა ყოველმხრივ იქაურ შევარდენებს. გიგა ადრევე წასულა იყო საგარეჯოში, რათა საგარეჯოელებისათვის შესაფერისი ძმური შევარდნული დახმარება — დარიგება მიეცა. და ყოველოვე ეს მან კარგად შესძლო. ჩვენ მისვლისას გიგა იყო ღვთისმშობლის ეკლესიასთან, საგარეჯოს ზემო ნაწილში, სადაც გროვდებოდა შევარდნთ კრებული და საიდანაც უნდა წამოსულიყო მოედანზე საგარეჯოს შევარდენი. ცოტა დასვენების შემდეგ გამოვედით მოედანზე, სადაც უკვე თავს იყრიდა ხალხი; საგარეჯოელები მოედანზე დგამდნ ღერძს, რომელიც იმ დღისათვის გამოვ-

გზაგნეთ ტფილისიდან; მოედანი თუმცა პატარა, მაგრამ მაინც შესაფერისი იყო გამოსვლისათვის; მოედანს ამშვენებდა დიდი კაკლის ხეები და სწორედ ამის მიზეზით იმ მოედანს ჰქვია ხატი—კაკალი. თავისუფალ უქმე დღეს იქ იკრიფება ყველა.

გვამცნეს რომ მოდიან შევარდნებიო. ჩვენც იქ გავჩერდით. მარჯათ მოდის ჯერ სრულიად ნორჩი შევარდენი. ჩვენთან მოახლოებისას ისმის ბრძანება ვარჯიშთათვის: „სმენა, სალამი მარცხნივ“ ჩვენს მისალმებაზე გვიპასუხეს შევარდნებმა შევარდნულთ და შეიკრენ მოედანზე. აუარებელი ხალხი მოაწყდა მოედანს. მთელი საგარეჯო იქ იყო. სიმებიანი ორკესტრი 3 კაცისაგან შემდგარი იქ მდგომ სარტილერიაო დივიზიონის წითელარმიელებისაგან შესაფერისი იყო საგარეჯოსთვის.

საღამოს 6 საათზე დაიწყო საჯარო ვარჯიში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 105 მოვარჯიშე. საერთო სვლეობით დაიწყო ვარჯიში, რასაც მოჰყვა თავისუფალი მოძრაობა, როგორც ვაჟთა, ისე ქაღთა. ხალხი საერთოდ აღტაცებული იყო. აღსანიშნავია ერთი რამ: სწორედ იმავე დღეს თელავის შევარდენი საჯარო ვარჯიშობით გაუმასპინძლდა თურმე გურჯაანელებს.

გურგელა, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა, მეუბნება: „ახლაა დრო საავიტაციოთ, აუხსნათ ხალხს შევარდენის მნიშვნელობა მშრომელ ხალხის ცხოვრებაში“. ხელ და ხელ გადავწყვიტეთ, ვაცნობეთ ძმა კოტეს, რომელიც ხელმძღვანელობდა ვარჯიშობას, რომ სანამ დაიდგებოდა ღერძი და ჯგუფი დაიწყებდა ვარჯიშობას, კოტე გასცემდა განკარგულებას და სწორედ იმ დროს ხალხს სიტყვით მივმართავდით. გურგელასთან შეთანხმებით დავისახეთ მოკლეთ სიტყვის გეგმა და როდესაც ღერძიც ამართული იყო მოედანზე, გაიცა განკარგულება: „სმენა“ და ხალხი ისედაც სმენად გადაქცეული, ჩვენი ხელდახელ შექმნილ ასეთ ნაერთით სულ მთლად სმენად გადაიქცა. მოკლეთ მივმართეთ ხალხს სიტყვით და განუშარტეთ შევარდნობის მნიშვნელობა საერთოდ და კერძოდ ქართველ მშრომელ ხალხისათვის, რის შემდეგ მოაუწოდეთ სუყველას მიეღოს შესაფერისი მონაწილეობა შევარდნულ საქმის განვითარებაში და ყველას შეეტანა თავისი წვლილი ამ მშვენიერ და ლამაზ საქმეში, როგორიც არის „შევარდენი“.

ტაშის გრილი და ვაშის ძახილი გვახმნევენებს როგორც ჩვენ, ისე მთელ ხალხს და მასთანვე იმ მოვარჯიშეებსაც, რომელნიც ღერძზე სავარჯიშოთ გამზადებული იყვნენ.

ღერზე ვარჯიშობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე იმ ძმებმა, რომელნიც იმ დღეს ჩვენთან ერთად ფეხით 45 ვერსი გამოიარეს ტფილისიდან და სწორედ ასეთი გმირობა, შევარდნული სიმხნევე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხზე და მხოლოდ თანგრძნობას იწვევდა მათ შორის შევარდენისადმი.

კარგა დაღამებული იყო, რომ დამთავრდა ვარჯიში; ხალხი თეატრისაკენ დაიძრა, თეატრიც იქვეა ხატი—კაკალთან. მიდიოდა იმ ღამეს პიესა „მორევეში.“ მიუხე-

დავით დაღალღულობისა, რადგან მიგვიწიეს თეატრში, ჩვენ ერთსულოვნად დავესწართ წარმოდგენას. საგარეჯოელი ძმები მშვენიერი სხლით გვიმასპინძლადებოდნენ. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ დასასვენებლათ მიგვეწვიოთ. თეატრის სას იქაურ „შევარდენი“-ს თავმჯდომარემ მოქალაქე ნ. ბაზიერაშვილმა, რომლის ბინაზე ვახშმის დროს ურთიერთ შორის შევარდენულ მისალმებებით უფრო დაუახლოვდით ერთმანეთს. ვახშმის შემდეგ ორ ნაწილათ გავიყავით. ერთი ნაწილი წაიყვანა ძმა კოტემ, მეორე ნაწილი კი მასპინძელთან მოვთავსდით აივანზე, მიუხედავათ იმისა რომ იმ დამეს კარგი სიცივე იყო. მშვენივრად გვეძინა; დამე წვიმა მოსულა, რამაც გურგელა აიძულა ჩვენსკენ გამოწეულიყო თავის ლოგინით, რადგან წვიმა თურმე სახეში სცემდა. ეს ამბავი ჩვენ მხოლოდ დილით გავიგეთ, როდესაც მზე უკვე ათბობდა საგარეჯოს მიდამოებს. ღამაში სურათი იყო დილით, აივნიდან გადმოვსცქეროდით მშვენიერ ბაღებს და თვით საგარეჯოც დილით ჯერ კიდევ მოკუთლი იყო ბურუსით, რომელიც გზას უთმობდა მზის მანათობელ სხივებს.

ჩაის შემდეგ გამოვედით ბაზარში, სადაც მრავალი ნაცნობები ვნახეთ. იქვე იყვნენ ჩვენი მარდი შევარდნები, იქვე ვნახეთ მამაცი არტილერისტები თავის კომშემადგენლობით ვ. ჟურულის მეთაურობით.

საგარეჯოს წყაროები, რომელიც მრავალ ადგილასაა მოფენილი სოფლათ, ჩვენს ვაკვირვებას იწვევდა. წყაროების სათავე ყოფილა სოფლიდან ერთი ვერსის მოცილობით რიყის ვადაღმა ტყეში. საგარეჯოელებს გადაეწყვიტათ რათა სწორედ იმ სათავესთან წავსულიყავით საუზმით და მასთანვე დაგვეთვალიერებინა წყალსადენი მიღები.

შუაღღე იყო, როდესაც სათავისაკენ წავედით; გავცილდით თუ არა სოფელს და გადავედით რიყეზე, შვეიჭერთ ტყეში და მივყვეთ საგანგებოთ წყლისათვის ამოშენებულ სრუტეს. დავბანაკდით ერთ ადგილას, კიტრები და ღვინო ჩალაგდა წყალში. საშინელი ცივი წყალი, ძლივს ვყობდით წყალში ხელს. ამან არ შეგვაშინა, ვიბანეთ. შემდეგ დავათვალიერეთ „სათავე“, ის ადგილი, სადაც ამოდის წყალი საგანგებოთ მოწყობილ აუზში, საიდანაც მიღებით მიდის უკვე საგარეჯოში.

ამავე დროს სუფრა გაშლილი იყო წყლის პირას ტყეში; დიასახლისობდნენ შევარდენი დები ნუნუ და ელო. მშვენივრათ ვიმხიარულეთ. სადილის შემდეგ გავმართეთ სხვა და სხვა სახუმარო თამაშობანი და ყველანი დიდათ ნასიამოვნები დავბრუნდით საგარეჯოსაკენ. ჩამოუარეთ წისკვილებს და მივედით ისევ ხატიკაკალთან, სადაც კვლავ მრავალი ხალხი დაგვხვდა. თეატრში იღამებოდა „არშინ-მალ-ალან“ და სამწუხაროთ თამაშობდნენ ჩვენი ქართულ სცენის ცნობილი მსახიობები, სამწუხაროთ, იმისათვის რომ, ამ აზიურ ოპერეტაში გამოსვლით მათი პრესტიჟი ერთგვარათ ეცემა. ჩვენ თეატრში არ შეგესულვართ და მოედანზე გავატარეთ მთელი ის საღამო სიმღერებში და სხვა და სხვა თამაშობებში.

იქვე მოედანზე ზარბაზნების ახლო ვიწქით და შევექცეოდით სხვა და სხვა აზ-  
ბების მოყოლით, შემდეგ სიმღერებით და ისევ თამაშობებით.

წარმოდგენის გათავებ-სას წავედით, როგორც გადაწყვეტილი იყო, ~~სადაც~~  
სადაც აივანზე ყველანი დასაძინებლათ მოვეწყვეთ.

იქვე ჩვენს პირდაპირ თეატრიდან წამოსულნი, დუქანში ვახშობდნენ მსახიო-  
ბები და სიმონას თარის ნაზი ხმ-ს ჰანგების მოსმენით ჩვენ თანდათანობით ყვე-  
ლანი მივეციით ძილს.

დილით წვიმამ გამოავალღძა. კოტა არ იყოს არ გვიამა, მაგრამ არ გასულა ოცი  
წუთიც, რომ წვიმაც გადაიღო. ძმათა კრებულში შემოტანილ იქნა წინადადება  
ფეხით გადავსულიყავით საგარეჯოდან თელავში ცივის მთით. წინადადების შე-  
მოტანა და გადაწყვეტა ერთი იყო. ვინაიდან ზოგიერთი ძმები და გურგულა-  
ტფილისში მიეშურებოდნენ, ამისათვის თელავში წამსულელი დავრჩით ოთხი კა-  
ცი: მე, გიგა, საშა და ლადა; კიდევ ორი საგარეჯოელი ძმა მოგვემატა: კოტე  
და თეზი. სულ ექვსნი. ჩვენი გადაწყვეტილება ხელად მოედო საგარეჯოს ნა-  
ნობებს და ყველას უკვირდათ. წავისაუზმეთ და ნახევარი იყო თორმეტის რომ  
გაუდევით გზას. ანგარიშით სულ თელავამდის უნდა ყოფილიყო სწორი პირდა-  
პირი გზით 21 ვერსი. საგარეჯოდან გავყვევით რიყეს, რის შემდეგაც ერთი ვერ-  
სის გავლისას აუდევით მთას. მივიდოდით სულ ზევით და ზევით. ტყეებში და  
ბუჩქნარებში რამოდენიმეჯერ დაგვეკარგა ბილიკი და ვაივაგლახით გვიხდებოდა  
ბუჩქნარებშია გზაზე გამოსვლა. აგერ წამოგვეწია საგარეჯოდან ერთი მიწის მუ-  
შა ბავშვით, რომლებიც საქონელს მიერკეებოდნენ მთაში. ჩვენც მათ მივყვეით.

სამი საათის განმავლობაში გავიარეთ რვა ვერსი სულ ზემოთ მივიწვევდით მთაში.  
ავედით ამწვანებულ მთაზე. მგზავრებმა აღრევე გავგისწრეს, რადგან ჩვენ შევი-  
სვენეთ ერთ ადგილას. მთაზე შევააჩნიეთ ერთ ქოხს და შორიდანვე შევხედეთ  
მწყემსს. წავედით მწყემსისაკენ. დიდი მურა ძილლები ჩვენსკენ მოჰქროდნენ, მა-  
გრამ მწყემსის მუჭარამ ძაღლებისადმი გასქრა; ჩვენსკენ გამოქანებული ძაღლები  
შეჩერდნენ და მხოლოდ ყფას განაგრძობდნენ.

ის ადგილი, სადაც ჩვენ მეცხვარე ვნახეთ, იყო თურმე კოდის მთა, მხოლოდ  
იქიდანვე მიდიოდა ბილიკი ცივის მთაზე. ვინაიდან ძალიან გვწყუროდა, მეცხვა-  
რემ მიგვიართთა იქვე ახლო წყაროზე, სადაც კოტათი შევისვენეთ და დავეშვიეთ  
ტყით დელეში, საიდანაც კვლავ მალლა სასიარულო გვექონდა კლდეზე.

ირგვლივ გადავსცქერით ლამაზ მიდამოებს. შუა გზაზე კვლავ შევისვენეთ. შო-  
რიდან მოგვესმა სალამურის ნაზი ხმა. ბევრი ვათვალიერეთ და ბოლოს თვალი  
მოვკარით მარცხნით მთაზე უფესკრულთან ხის ქვეშ მეცხვარეს, რომლის სალა-  
მურის ტბილი ხმა მთელ მიდამოს რაღაც საზღაპრო ქვეყნად ხდიდა. გამახსენ-  
და აკაკის „პატარა კახი“, როდესაც წარმოდგენის დროს მართლაც წარმოვიდ-  
გენდი ჩემს თავს იმ ნამდვილ ბუნების წიაღში, სადაც ყველაფერი ლამაზი და  
მშვენიერია, სადაც თავისუფლათ სუნთქავს ყოველივე, სადაც ბუნება გელერს-

ბა, მაგრამ ასეთი წუთები ოცნება იყო, ოცნება მხოლოდ, რომელიც კვლავ თეატრში მყოფ ხალხის ხმაურით იცვლებოდა და ოცნება, ლამაზი ოცნებაა და თავად ქრებოდა.

და აი ცივის შთისაკენ მიმავალნი სალამურის ხმაზე კლდეებზე მყოფნი, ჩვენ ყველანი ამ დამატკობელ პანგებს, რომელსაც ბუნების შვილი—მეცხვარე სალამურით გადმოგვცემდა, ერთხანს უსმენდით მოჯადოვებულნი, ისე დიდი იყო შთაბეჭდილება, რომელიც ემოთაღნიშნულ სურათმა ჩვენზე დასტოვა. ავედით მთაზე. მეცხვარე კი განაგრძობს სალამურზე დაკვრას. აღარ ვიცით საითკენ წავიდეთ, მარცხნით თუ მარჯვნივ. გზაშიც არავინ გვხვდება. დაღალულები ვართ. შთის გრილი სიო საგრძნობელია. შეჩერდა სალამურიც. ჩვენ „აუ“-ს ძახილით მივიპყრეთ მეცხვარის ყურადღება. შევძახეთ მას თუ საით წავიდეთ ცივის მთაზე. მეცხვარემ ვერ აგვიხსნა, საით უნდა წავსულიყავით. ჩვენ ავიდეთ სელიგეში მარჯვნივ ისევ ზევით. ავედით ზევით მთაზე, წინ კიდევ ორი ქედი, გულზე შემოგვეყარა. იმედს გვაძლევდა მწვანეთ ახვევრდებული შთის ფერდოები. მივდივართ ფეხშიშველი ჩქარი ნაბიჯით. გზა გზა დანარჩენ საუზმეს შევექცევით, ჰური გვაქვს ცოტა და რამოდენიმე კიტრი. მივდივართ მიხვეულ მოხვეულათ, რათა პალა არ მოგვიხდეს სიარული, ხან მარცხნით მოუხვევთ, ხან მარჯვნივ. დავეშვით ლელეში, სიდიდანც კარგა დიდი მანძილი გვაქვს ასასვლელი მთაში. „ამას იქით კიდევ თუა ასასვლელი, ველარ წამოვალთ“—სასოწარკვეთილებით ამბობენ ძმები.

პართლაც და არ მოველოდით თუ ასეთი ძნელი გზა იქნებოდა. მასთანვე 10 ვერსიანი რუქა გვექონდა და გზაც კარგათ არ ვიცოდით. მთაზე მოსჩანს საქონელი, რაც ძალიან გვახარებს; ვიკრებთ ძაღლონეს და მივიწვევთ მთაზე, გზა გზა ვისვენებთ. როგორც იქნა მივაწევით. გიგა წინ არის.

„აბა გიგა, გადიხედე, თუ მოსჩანს ალაზანი, ხომ კარგი, თუ არა და დაეგორდეთ უკანვე ლელეში“—ვეუბნებით გიგას.

ჩვენ ვზივართ; ასე ასი ნაბიჯი გვიკლია მწვერვალამდე; გიგა ავიდა, აღარ მოსჩანს, რამოდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდა, სახე უღიმის და გვეძახის: „ალაზანის ველი, ალავერდი, კავკასიონის ქედი“.

ერთბაშათ ავდექით და სულ სირბილით ავედით გიგასთან. არ გვეგონა ჩვენზე ბედნიერი თუ კიდევ იყო ვინმე ქვეყანაზე, ისე გაგვეხარდა ცივზე ასვლა.

ის დიდებული სანახაობა, რომელიც ჩვენს წინ გადაიშალა, აუწერელია. მარცხნით გომბორის მთა და ზედ ჩამომავალი ტფილის—თელავის გზატკეცილი და მის მიდამოებში გადმოსულ თუშების სახლები, მარცხნით დაბლა ხევი და აქეთა გვერდზე უღრანი ტყე, სადაც ერთ მაღლობზე რალაც ეკლესიის თუ ციხის ნანგრევები მოსჩანს. წინ კავკასიონი, მის ძირში თუშ-ფშავ-ხევსურეთი, უფრო ქვევით კი ალაზნის ველი და კახეთის ბუნება. უკან გამოიხედები—მთელი საქართველო. დიდი სანახაობაა, ვართ 8513 ფუტის სიმაღლეზე, თვით გომბორიც კი

ჩვენ ქვემოთ არის, ასე რომ ვართ ორვერს ნახევრის სიპაღლეზე. სულ დავგა-  
ვიწყდა გამოვლილ გზის შეწყობება. ვტრიალობდით ცივის მწვერვალზე, <sup>სიცივის</sup>  
ალარ გვეშინოდა, ამინდიც კარგი დაგვიდგა. მარცხნით წამოსულ ბურუსს ვგვერდ-  
იგვიარა და ღელეებისკენ ჩაიწია, მზის სხივებმა აჯობა. სიოც თავის თავად  
ფანტავდა ბურუსს. ვტრიალობდით ცივზე, ხან კავკასიონს ვეტრფობით განსა-  
კუთრებით, ხან კი ილაზნის ველს და ალავერდის მონასტერს, ხან მთელ საქარ-  
თველოს მიდამოებს საერთოდ. ცივის მთამდის საგარეჯოდან მოგვიხდა ხუთმეტრი  
ვერსის გავლა სულ 4 საათის განმავლობაში და ისიც მთებში და ღელეებში  
გადმოსვლით. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით რომ ცივიდან სულ ცოტა გზა  
გვქონდა გასავლელი, მაგრამ მოვტყუვდით. დავეშვით ცივიდან, უკვე ვაკე გზით  
მივდივართ თვით მთაზე გავიარეთ ხუთი ვერსი. მთაში ცხვრის ჯოგებია. კლდეზე  
შევაქმჩიეთ ერთ მეცხვარეს, რომელიც თოფს დაყრდნობოდა და თავის დარაჯებით,  
რომელთა მოვალეობასაც ძაღლები ასრულებდნენ, ყარაულობდა ცხვარს. ჩვენს  
დანახვაზე აიშალენ ძაღლები, მაგრამ მეცხვარის ნიშანზე შეჩერდნენ და მეცხვარეც  
ჩვენსკენ წამოვიდა. ერთმანეთს უახლოვდებოდით. მისალმების შემდეგ, ჩამო-  
ჯექით იქვე მინდვრათ და გავაბით ბაასი მეცხვარესთან, რომელიც გამოდგა  
ახათელი თათარი. ცხვარი რომელსაც ის ყარაულობდა ყოფილა სხვისი, ის კი  
ქირით ყოფილა ცხვრის პატრონთან. გულაში, რომელიც მეცხვარეს ზურგზე  
წამოკიდებული ჰქონდა, გვიამ შეაქმნა პურს და ცოტა მოტეხა. ჩვენმა მასპინ-  
ძელმა აპოილო გულიდან ყველი და პური და გავგიმასპინძლდა. მართლაც რომ  
ძალიან გვშოიდა და მეცხვარემ შეგვატყუარა, უფრო და უფრო გვიმასპინძლდებოდა.  
„მე აქვე ახლო მაქვს ქოხი, როდესაც მივალ, იქ ვივახშმებ, თქვენ გზაზე ხართ  
და მიირთვითო“. ჩვენც, ვისაც კი ქონდა თუთუნი, სულ დაუტოვეთ მეცხვარეს,  
რადგან დაიმედებული ვიყავით ჩავიდოდით შუამთის მონასტერში და იქ ბერების  
იშვლი გვქონდა. ის აღვილი, სადაც ჩვენ მეცხვარესთან ვბაასობდით იყო თურმე  
კლდების მთა, ხუთი ვერსით ცივის მთიდან წინმდებარე. ცივიდან კლდების  
მთამდინ სულ პირდაპირ მივიდოდით და შეუქმნველათ ვეშვებოდით, მარცხნით  
კი გომბორი თავის მიდამოებით თანდათან უკან გვრჩებოდა. გომბორს რომ  
გასცქერი, მისი სახე უნაგირის, უფრო კეხის მავგარია.  
მეცხვარემ მიგვითითა პირდაპირ მარჯვნივ მთის მარცხენა ფერდობზე მიმავალ  
ბილიკზე, რომელიც გადადიოდა სერზე, საიდანაც გზა ორათ უნდა გაყოფილიყო,  
როგორც რუქაზეც იყო ნაჩვენები და მეცხვარეც ასევე გვიხსნიდა, ერთი წავიდოდა  
მარცხნით შუამთაში, მეორე კი თელავში. გამოვემშვიდობეთ მეცხვარეს და სწრაფი  
ნაბიჯით გაუდექით გზას. ის რაც თვალთ მოსჩანდა, ასე ახლოს არ ყოფილა, არ  
იქნა და არა ვერ მივაწიეთ სერს, კარგა დიდი მანძილი გავიარეთ. ერთ აღვილას  
დავეშვით ქვევით, სადაც მეცხვარეთა ბინები იყო; ესენიც თათრები აღმოჩნდნენ.  
მივდივართ წინ, გზა გზა გვხდება მრავალი მეცხვარეები, მრავალი ჯოგები,  
მაგრამ ჩვენ არავის ვესაუბრებით, მხოლოდ სალაშს ვაძლევეთ. უკვირს სუყველას

ჩვენი შევარდნული ჩაცმულობა, უქუდოთ ყველანი, ფეხშიშველი. როგორც ექნა ავედით სერზე. შორიდან ტფილისის მიმართულებიდან მოისმა მძიმე გუგუნნი. ძლიერ იყო იქით მოღრუბლული, დაქექა და დაეღა. მაგრამ ჩვენგან კიდევ შორს იყო. ნახევარი საათის იმედი გვქონდა, რომ წვიმა არ მოგვისწრობდა და ჩავაწვედით შუამთაში. დავეშვიტ სერიდან, მივიღვართ. „სადაა ეს შენი შუამთა“ მეკითხებოდა ჩემი. „აქ ახლო უნდა იყოს პირდაპირ, ასე მგონია მე“ — ვეუბნები ჩემს. მართლაც ჩემის აზრით რამდენათაც მე მიმართულება თელავიდან წარმოადგენილი მქონდა, დარწმუნებული ვიყავი სწორედ მივიღოდით, თუმცა ათ ვერსიანი რუკა მაინცა და მაინც დიდათ არ გვეგვლიდა და სწორედ ამისათვის ხშირად მეკითხებოდნენ ჩემი შუამთის შესახებ. ღრუბლები თანდათან ჩვენსკენ იწვედა. ქექა-ქუხილიც ახლოვდებოდა. დაიწყო ცინცქლა, არ გვიამა. შუამთა კი არ მოსჩანდა. წინ კი კავკასიონზე მშვენიერი მოწმენდილი ცა, ნათლათ ვადმოიყურება მყინვარი, იალბუზი. ჩრდილოეთ კავკასიისკენ მშვენიერი ამინდია. გზა ტყისაკენ მიდის, დაგვცხო საშინელ წვიმამ, ქრის სასტიკი ქარი და ქექა-ქუხილიც ზედ ერთვის. სად შევეფაროთ. ტყეში საშაშა. აჰა, სადაც დაეცა მეუი. „აჰა ბაქეზო ტყისკენ ნუ მიდიხარო“ — ვეუბნებით ერთმანეთს. ღამდება, არავის წამოუღია რაიმე მოსახურავი, მხოლოდ მე მაქვს შინელი. საშინლად გავიწუწუეთ. დაქანებული მივრბივართ ქვევითკენ. ხან ერთი დასრიალდება, ხან მეორე. მგონი გიგა იყო, კინაღამ ცხვირით წავიდა მიწისკენ. შუამთა აღარ მოსჩანდა და ჩვენი სასოწარკვეთილება ერთმანეთის ყურებით სიმბიარულით შეიცვალა. ეს მარდი შევარდნები, როგორც ჩვენი თავი წარმოგვედგინა, გაწუწულ ქათმებს ვგვანდით. მეტად სასაცილო შესახედი ვიყავით. წვიმაც დაგვაიწყდა, ქარიც. სირბილითაც დავიღალეთ და მასთანვე მთიდან წამოსული ნიაღვარი გვინელებდა ნაბაჯს. არხენათ მივალაჯგბდით წყალში. რას იზამ, როდესაც სხვა გასაქანი გზა არა გაქვს.

უცბათ ბილიქა მარცხნით მოუხვია. გაგვეხარდა: „აი, ახლა კი შუამთაზე გავალთ“. მოუხვიეთ მარცხნით, გავედით ტყიდან და პირდაპირ შევამჩნიეთ ქოხებს და კვ მღს. შუამთას არ გავდა. სიხარულით გავეშურეთ ბინებისაკენ და ერთ ქოხში შევიქვრით. ცეცხლს მოსჯლომოდა რამოდენიმე კაცი, მივესალმეთ. ჩვენც ჰივედით ცეცხლთან, აკანკალებულნი, მთლათ დასველებულნი. გავიძრეთ შევარდნულ პერანგები, რომელიც ერთად ერთი დამფარავი იყო ჩვენი ზეტანის, გავწურეთ ლამაზათ და დავიწყეთ მათი გაშრობა. სულ დაფვარეთ ცეცხლი. ცოტა გავთბით თუ არა, დაუწყეთ ბაასი ჩვენს მასპინძლებს, რომელნიც ჩვენი უცაბედი სტუმრობით ძალიან გაკვირვებულნი იყვნენ. როდესაც ჩვენ აუხსენით ჩვენი ვითარება, იმათ აგვისსნეს რომ შუამთა დაგვრზა მარცხნით ცხრა ვერსით. ჩვენ გაკვირვებას საზღვარი არ ქონდა; მე სრულიად დავიბენი.

„ახლა კი სადა ვართ“ — ვეკითხები არჩილას, ჩვენს მასპინძელს.

„თხიველში, აქვე ქვემოთ თელავია, რიყით სულ 6 ვერსია“ — მითხრა არჩილამ.

საკვირველია, როგორ აგებნევია გზა, საით მივდიოდით და სად ჩამოვედით, როგორც გამოირკვა, ჩვენ მარჯვენა გზით წამოვსულვართ პირდაპირ თელავზე. რადგან უკვე დაღამებული იყო და ჩვენი წასვლა ასეთ ღამეში თელავისკენ შეუძლებელი შეიქნა და მასთანვე მასპინძლებიც დიდი გულკეთილები გამოჩნდნენ, გადავწყვიტეთ ის ღამე თხიველში გაგვეთია.

თხიველში სულ სამი თუ ოთხი ბინა იყო მეცხვარეებისა. ყველანი თათრები იყვნენ სოფელ ახათიდან, რომელიც თელავის მიდამოებში მდებარეობს. ზოგიერთ იმ თათართაგანს ვერ გავჩვენე ქართველებში, მაგალითად არჩილა ისე სუფთა ქართულით ლაპარაკობდა, რომ ექვსაც არ შეიტანდი რომ ის ქართველი არ იყო.

ხელათ დატრიალდა არჩილა, დაუძახა თავის მეზობელს და აუხსნა რაშია საქმე და არჩილას მეზობელი უკვე გვიცდიდა, რათა ჩამოდენიშე კაცი მას წაეყოლოდით თავის ბინაზე, ვინაიდან არჩილას იმდენი ადგილი არ ქონდა, რომ ყველანი მოთავსებულიყვნენ. არ გვინდოდა არჩილასგან წასვლა, რე უცბათ შევევით მას. ასეთია კარგი გულით დამზაური მასპინძელი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვინმე უნდა მაინც წასულიყო მეორე ბინაზე. გავიყავით ორ ჯგუფათ. არჩილასთან დარჩნენ გიგა, კოტე და თეზა, მხოლოდ მე, ლადო და საშა გავყვეით მოხუცს, რომელიც არჩილის ძახილზე მოვიდა ჩვენს წასაყვანათ.

დავეშვიდობეთ არჩილას ქოხში მყოფ კრებულს და გამოვეყვეით მოხუცს, რომელიც მაგვიძლოდა თავის ბინისკენ და მურიებს უჯავრდებოდა.

ბინებს შორის მოფარგლული იყო დიდი ადგილი, რომელსაც ძაღლები დასატრიალებენ ირგვლივ. „მგელი ბევრი იცის, ხშირათ მიყავს ხოლმე საქონელი“ — გვეუბნება სუშბათ ალი-ოღლი, ჩვენი მოხუცი მასპინძელი.

შევედით ქოხში, სადაც შუა ცეცხლთან ისხდნენ ჩვენი მასპინძელის ცოლი და ვაჟი.

მივესალმეთ, შემოუსხედით ცეცხლს და გაიმართა ჩვენ შორის ბასი. ჩვენ უხსნიდით შევარდენის მნიშვნელობას ხალხის ცხოვრებაში, ისენი კი გვიყვებოდნენ თავიანთ ცხოვრების ვითარებას მართლაც და კარგი სურათით; მთაში შორს, მეცხვარეთა ქოხში შუა ცეცხლთან მობაასე მეცხვარენი, რომელთა ცხოვრების ამბებს ჩვენ გულდასმით უსმენდით და თვითონაც ხედავდნენ რა ჩვენს მათდამი ყურადღებას, უფრო დაწვრილებით აგვიწერდნენ მეცხვარეთა ვითარებას.

ამ მყუდროებას ხშირად ძაღლების ყეფა არღვევდა და ძაღლების ყეფის დროს ხვას აძლევდნენ ერთმანეთს ყაჩაღლები, რომელნიც ცხვარს უღვდნენ და მასთანვე ძაღლებსაც ახალისებდნენ.

„ძალიან ხშირათ დათარეშობენ მგლები და დათვები ჩვენს მიდამოებში, ხშირად გვაქვს მათთან ბრძოლა“ — ამბობდა სუშბათა.

გამაზნენდა ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყესარის მოგონებანი“, სადაც აწერილია მეცხვარეთა ცხოვრება, რომელიც თვით ყაზბეგმა იგემა ერთ ერთ ზაფხულში

და სიამოვნებით გადმოგვეცემს თავის მოგონებებში ცხოვრებას მეცხვარეებისა, რომელთანაც რამოდენიმე თვე გაატარა.

ამ ბაასის დროს დიასახლისმა მოგვიტანა თითო დიდი ჯამი მაწონი და პურები როგორც დამშვეული ხალხი გემოთი შევექცეოდით მაწონს და პურს და უარზეც არ ვიყავით, როდესაც დიასახლისმა ერთი ჯამი მაწონის გათავების შემდეგ კიდევ მეორეჯერ მოგვიტანა მაწონი ჯამით. მოაწია ძილის დრომაც. დაღალულებიც ვიყავით. მე და ლადომ გარედ ვარჩიეთ ძილი გადმოხურულში, რომელიც ქოხზე იყო მოდგმული, რადგან შუა ცეცხლის კვამლმა ტირილამდის მიგვიყვანა. დიასახლისი ამზადებდა ლოგინებს. არჩილას ბინიდან ისმოდა მხიარული სიცილი, ალბათ გიკა თავისებურად ხურობდა ან არა და მესამე ჯამ მაწონს თუ შევექცეოდა.

დავწექით. ზევიდან საბნის გარდა დიასახლისმა ნაბადიც კი გადაგვახურა. „ხომ არ შევცივდებით შეილა“ — გვეუბნებოდა დიასახლისი. ასეთი მამა-შვილური პოპყრობა ჩვენი მხრითაც მასპინძელთადმი მხოლოდ მამა-შვილურ სიყვარულს იწვევდა. ძალან გაკვირვებული ვიყავით მათი მასპინძლობით.

არჩილას ბინიდან კვლავ ისმის ხანდახან ხარხარი; ეს უკვე ლოგინში იცინიან.

მივეცი თავი ტკბილ ძილს.

დილით ხმაურობამ გამოგვადვიდა, ჩვენი დიასახლისი კამეჩებს წველიდა. ასე გგონია საგანგებოთ, ესე იდგენ რიგში კამეჩები; მრწველიდა ერთს დიასახლისი, მეორე კამეჩი მივიდოდა და დაიქერდა ადგილს. იქვე ტომრებით რღაღო, რომელსაც რამოდენიმე ქალის დახმარებით, რომელთაც ტომარა ეკავათ, ხის ნიჩაბით ურევდა ჩვენი მასპინძელი სუმბათა. აი სად არ შემოაკლდება ხალხს მაწონი, რძე, კარაქი და ყველი. სამოთხეა ამ მხრივ. ტომრებით ღო სწორეთ რომ მაკვირვებდა, ქვაბებით მაწონი, უამრავი რძე. მზის სხივებმა მოანათა ჩვენს საწოლს, ავდექით, ხელბირი დავიბანეთ. ვისაუზმეთ მშვენერათ, დიდი მადლობა გადაუხადეთ მასპინძლებს, მოვიპატიეთ ისენი სალავერდოთ ალავერდში, სადაც ჩვენ მომავალში განზრახული გვქონდა წასვლა, დიასახლისს მივეცი ერთი ნეესი, რომელიც ჩანთაზე შემავრა, აგრეთვე ყელსახვევი, ცოტაოდენი წამალიც, რამაც ძალიან გახარა და დავეშვიდობეთ მათ. თხიველის მთელი მოსახლეობა: კაცები, ქალები, ბავშვები გვაიღებდნენ. „შევარდენი, შევარდენი“ — იძახდნენ ქალები, კაცებიც ხელს გვიქნევდნენ, ჩვენც ვემშვიდობებოდით უკვე დაშვებული რიყისკენ თელავის მიმართულებით, საითკენაც ექვსი ვერსი გვქონდა გასავლელი. თელავი კარგად მოსჩანდა. მივლიოდით ხან რიყებზე, ხან ტყეში მარჯვნივ ან მარცხნივ. ბოლოს და ბოლოს სულ ბუჩქნარებში მივლიოდით, სადაც მრავლად იყო მაყვალი, რომელსაც ძალიან შევექცეთ, ისე, რომ ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ ავცდივ ვზას და მოვხვდით თელავის მარჯვნივ წინანდალის მიმართულებით. გიყვარდეთ ბუჩქნარებზე გზის გადაქრა მარცხნივ თელავისაკენ. დიდი წყალებით ჯავდით ნადიკვარის ეკლესიასთან, სადაც შევისვენეთ. იქვე

იყო ერთი ბავშვი, რომელიც შევარდენი გამოდგა და გვითხრა რომ შევარდენი გუშინ ჩამოვიდა გურჯაან—ველისციხიდან, სადაც გამოსვლები მოაწყობდა. ნახევარი საათის დასვენების შემდეგ შევედით თელავში და ჩვეულებისამებრ მივედით ქალთა სასწავლებლის ეზოში, სადაც 12 საათისათვის ვარჯიშობა ქონდათ დანიშნული თელაველ შევარდნებს. მოვიდნენ კოლა, გიორგი და სხვა შევარდნები. მოგვიყვენ თავის მოგზაურობის ამბები გურჯაანის და ველისციხის შესახებ. ველისციხელები კარგად დახვედრიან, გურჯაანელები კი ვერ. ჩვენც ჩვენ გადმოსვლის ამბავს და შემთხვევებს უყვებოდით. ასე ბაასში გავატარეთ რამოდენიმე ხანი. კოლა მიმითითებს ერთ შევარდენზე, რომელსაც შევარდენის შესახებ ლექსი დაუწერია, დაუძახეთ იმ ძმას და ვსთხოვეთ ლექსი, რომელიც წაკითხვის შემდეგ მე გადმომცა და ამ ჩემს გაფრენების აღწერაში მინდა ჩაურთო, როგორც ჩვენ შევარდნობის დამახასიათებელი და მასთანვე შევარდენისავე დაწერილი.

## შ ე ვ ა რ დ ე ნ ი

გამორაზმულან ჩემი და-ძმანი  
თეთრს, ლურჯს და წითელს ტანისამოსში  
და მათის ცქერით ჩემი გონება  
იხრჩვება ძველის ფიქრთა ქარსში...

სწრაფათ მივარდევ პონტოის ტალღებს,  
გავვლებ ჰელესის სიბოვან კლდეებს,  
ეგეოსის ზღვას და მივადგები  
ბერძენების შეჭრილ-დაჭრილ კიდეებს...

დღევანდელის წილ აქ თვალწინ მიდგა  
ძველი ბერძენი თავისი ჩვევით;  
მზრუნველი თავის ჯანმრთელობაზე  
თვისი ამაყი გმირული ქცევით.

ფიქრობ ოლიმპის ლხინ-დღეობაზე,  
ვმზერ მოვარჯიშე ვაჟკაცებს ბერძნის:  
ალაღებულებს, შეჯიბრებულებს,  
მირთმევ-მორთმევას გვირგვინსა დაფნის...

ჩემს და-ძმათ შორის ვხედავ მსგავსებას  
იმ ხნის ბერძენების წარმატებასთან; -  
თუმც იმ დროიდან დაშორებული  
ვართ. რამდენიმე ათას წლის უკან.

დღეს კი ჩვენც ვცდილობთ წარმატებაზე,  
ფიქრობთ შევარდნულ ვარჯიშობაზე

და არც ვუმტყუნებთ, მუდამ ვიდგებით  
ამ დიად საქმის მოგონებაზე!..

ლექსს ფსევდონიმით აწერია: გ. ქართველი. მისაბაძი მაგალითია სხვა შევარდნე-  
ბისთვის.

კვლავ განვარგრძეთ ბაასი შევარდნობაზე. კოლამ რაღაც განკარგულება გასცა  
თავის შევარდნებს და უმალ ყველა დაიშალენ, მაგრამ არ გასულა ნახევარი  
საათი, რომ ისევ მოვიდნენ შევარდნები, ზოგს პური—ყველი მოაქვს, ზოგს კიტ-  
რი, ზოგს პამიდორი, ზოგს ხილი. ეს იყო თელაველ შევარდნების მიერ გულით  
და სულით და-ძმურათ მოძღვნილი ჩვენთვის საუზმე და სადილი. მართლაც გულ-  
ახილი, მშვენიერი, ნამდვილი შევარდნული დახვედრაა. გადაწყვიტეთ საღმე  
კარგ ადგილას გვესადილა.

წავედით ქადრის ხესთან იქვე მახლობლათ ეზოში, სადაც ადრე სასეირნო-გასარ-  
თობი ადგილი ყოფილა ბუფეტით, ახლა კი დაკეტილია. ვიყავით ჩვენ და თე-  
ლაველი შევარდნე-ხელმძღვანელები. ქადრის ქვეშ, რომლის ჩრდილიც გვფა-  
რავდა არამც თუ ჩვენ, არამედ იქვე მთელ არე-მარეს, ვაგშალეთ სუფრა. თვით  
ქადარი ძალიან ძველია. როდესაც შემოვერტყით ქადარს გაშლილ ხელებით  
ირგვლივ, სულ ვიყავით შვიდი კაცი. საკვირველი ხეა. მთელ ჩვენ მამა-პაპათა  
დროის მოაწამეა ის ქადარი. ნასადილევს ერთხანს იქვე ვიწექით, დაღამებისას  
გავედი, ნადიკვარზე. სადაც მზიარულათ გავატარეთ საღამო, რის შემდეგაც წა-  
ვედით სასწავლებელში დასაძინებლათ. ძმა შურას ვახშამი გაემზადებინა იმ სანო-  
ვაგიდან, რომელიც შევარდნებმა დილით მოგვიტანეს. ბლომათ იყო ყველაფერი,  
მეორე დილასაც გვქონდა საუზმე და გზაში გამოვიყოლიეთ კიდევ.

დილით კოლაშ წაგვიყვანა სოფელ კურდღელაურში თავის ვენახში, მაგრამ სამ-  
წუხაროთ კურძენი ჯერ კიდევ მწიფე არ იყო, თუმცა ერთი ტევანი მაინც ვი-  
შოვნე. თელავიდან კურდღელაურამდის ორი თუ სამი ვერსია, ზედ აკრავს თე-  
ლავს. კოლას ვენახიდან თელავის სადგურამდის ერთი ვერსია.

გადაწყვეტილი გვქონდა წინანდალში წასვლა. გავსწიეთ. სადგურიდან ოთხ ვერს  
ნახევარია. გადავედით კისის ხევი და შევედით წინანდალის სახელმწიფო მამულში.  
ორის ნახევარი იყო საათი, როდესაც მივადექით ჩემი ამზანაგის მკურნალ სანდრო  
იმერლიშვილის ბინას. დიდი ხანია სტუდენტობის დროიდან აღარ მენახა და გა-  
ვიგე რომ იქ ყოფილა და ვესტუმრეთ მას. იქ დაგვხვდნენ ნაფარეულის სახელმწი-  
ფო მამულიდან მოსული სტუმრები, რომლებს შორის ერთი ჩვენი ყოფილი შევარ-  
დენი ვასოც იყო. დიასახლისი გავვიმანსპინძლდა. სწორედ სადილზე მივედით.  
მშვენიერი აივანი, ირგვლივ მრავალნაირი ხეები ბაღში—სილაპაჷეა. სადილის  
შემდეგ სანდრო თვითონ გამოგვყვა მამულის დასათვლიერებლათ. გვიხსნიდა ყო-  
ველივეს.

დიდებული პარკია, მრავალნაირი ათასგვარი ხეხილი, მცენარეულება, ნაძვი და  
სხვა; ერთნაირობას ვერსად შეაქმნევთ. მრავალფეროვანი ყვავილები. მხატვარ-

ინჯანერს, რომელსაც 30 წლის წინად შეუდგენია იმ პარკის გეგმა, შაულია ჯილდოთ 30.000 მანეთი. დიდი თანხაა მაშინდელ დროისთვის, შემოვიარეთ პარკი, ერთ ადგილას დაწვენილია კაკლის ხე და ტოტები მაინც ამოსულა, ზედ: მიკედია სარდაფიან. იქვეა ვენახი, მრავალი ბოჩქები, რომელიც ირეცხება; რთველი ახლოვდება, ეშაადებიან. შევედით შიგ სარდაფის ზემო სართულში, ვნახეთ დიდი ბოჩქის მავგარი ღვინის ჭურჭლები. თვითონ სარდაფი ვერ დავთვალიერეთ, რადგან ორ საათზე თურმე მუშაობა წყდება და ყველაფერი დაკეტილია. დიდი მოწყობილი შენობაა.

წავედით სასახლეში. მშვენიერათაა შენახული. მაშული წარმოადგენს დ. ქავჭავაძის ყოფილ სახლს და მამულს. იმ სასახლის აივანიდან მოსჩანს პირდაპირ კავკასიონის მთის ფერდობზე ყოღარის მთა, საიდანაც წარსულში ჩამოსულან ლეკები, დაუკავებიათ ყოღარის ციხე, სადაც ტყვეთ ყოლიად დ. ქავჭავაძე, რომელიც იქიდან ხედავდა, თუ ლეკები როგორ აოხრებდენ მის მამულს, როგორ იწვოდა მისი სახლი.

სასახლეში კარგადაა შენახული ძველი დარბაზი, რომელზეც შემდგომ მიდგმულია ახალი, სადაც მოწყობილია ყოფილ მეფეთა ოთახები. სასახლიდან გავსწიეთ საავთმყოფოსკენ. პატარა კობშია საავთმყოფო თავის წამალხანი კარგად აქვს მოწყობილი სანდროს. დავთვალიერეთ საავთმყოფო და გავემგზავრეთ ეკლესიის ნანგრევებზე, რომელიც კისის ხევის უფსკრულზეა დარჩენილი როგორც ჩანს დიდათ სკოლნია აღიდება კისის ხევს და თავის კისკისით ეკლესია სულ მაღალ მოუწყვეტია. დარჩენილია კედელი ერთ მხრივ მხოლოდ. ამ ეკლესიაში დაუწერია ჯგარი რუსის მწერალს გრიბოედოვს დ. ქავჭავაძის ქალზე. იქვე ეკლესიის ნანგრევებთან ფიქვის ხეა, რომელიც შესამჩნევია იმით, რომ მთლათ გამოფუტურებულია და სწორედ ლეკების დაცემის დროს იმ ფუტურში დამალულა დ. ქავჭავაძის ცოლი, რომელიც შემდგომ მაინც დაუტყვევებიათ.

ამით დავამთავრეთ მამულის დავთვალიერება და რადგან წვიმაც დაიწყო წავედით სახლისკენ, სადაც დიასახლისი საუზმეზე და ჩაიზე გვიცდიდა. საუზმის შემდეგ აივანზე, სადაც გავვიშალეს ლოგინი, მშვენიერათ დავიძინეთ წვიმის აკომპანიმენტი.

დილით, რადგან სადგურზე მივექართვებოდით, ჩუმათ ავღეკით, არ შევაწუხებთ მასპინძლები, დაუწერეთ მალლობა ს ბარათი და გამოვედიო სახლიდან.

სადგურ წინანდლაძის ორი ვერსი გვექონდა გასავლელი. სადგურზე გავიგეთ რომ წინა დამთ მატარებელი არ ამოსულა ტფილისიდან. ბაღიაურში გადავარდნილა. ჩვეულებრივი მოვლენა კახეთის გზაზე. დავადექით ფეხით. სულ ვაჩანძიანამდის გასავლელი 12 ვერსი გვაქვს. ვაჩანძიანში ვიყავით, როდესაც მატარებელმა ამოიარა, მაგრამ მეორე დილამდის არ უნდა დაბრუნებულიყო. გავსწიეთ ისევ ფეხით მუკუზანისკენ. 2 საათი იყო რომ წამოვედით ვაჩანძიანიდან, 3 1/2 საათზე მუკუზანში ვიყავით. 4 საათი ათვის კი გადავედით ზელისციხეში. დიდი სიფე-

ლია. სულ მთლად შემოვიარეთ. ვინახულეთ ჩვენი ერთი შევარდენი ძმა სერგო, რომელმაც დავაფალიერებინა იქაური ციხის ძველი ნანგრევები. ცახე ველში, საიდანაც წარმოსდგა: როგორც ჩანს სახელი ველისციხე.

არშინ-მალ-ალანელები, რომელნიც საჯარეჯოში დავტოვეთ, იქ დაგვედნენ, შიგვიპატიეს თეატრში, სადაც ბევრი ვინმე გავიცანით. თეატრის შემდეგ ვისაუბრეთ სერგოსთან და იქვე მოვეწყვეთ აივანზე დასაძინებლათ. დილით კი ადრე გავედით ვენახში და ყურძენს შევექცეოდით, რის შემდეგ ჩაიზე ნიკვიწვიეს.

ჩაის დაღვევისთანავე გამოვქუსლეთ მუკუხანის სადგურზე, საიდანაც მსახიობების რონოდით ჩამოვედით გურჯაანში.

რადგან გურჯაანში თითქმის ერთ საათს სდგას მატარებელი, გადავწყვიტეთ ახტალის აბანოებზე ასვლა. ახტალამდის გურჯაანის სადგურიდან ნახევარი ვერსია. სირბილით წავედით ახტალაზე, დავაფალიერეთ ტალახების აბანო და ისევ სირბილით ჩამოვედით გურჯაანში.

დაღამებულზე უკვე ტფილისში ვიყავით. ეს დღე იყო 25 მარტობისთვის — საქართველოში შევარდენის დაარსების სამი წლის თავი. ასე დასრულდა ჩვენი მოგზაურობა, რომლიდანაც დიღათ ნასიამოვნები დავრჩით.

შეშარდენთა მხარისი კოჯორ — ქორქოლი — ქობულთი.

1.

თითქმის ყოველ შაბათობით აწყობს საქართველოს შევარდენთა კავშირი გაფრენებს. შაბათს ექვს მარტობისთვის დაინიშნა გაფრენი კოჯორში, მხოლოდ ამ გაფრენში მონაწილეობა უნდა მიეღოთ აგრეთვე ბავშვებს. შეუღლებით თადარიგს, რათა შევარდენები უზრუნველყოფილიყვნენ კოჯორში სურსათით. შუამდგომლობის მიხედვით განათლების კომისარიატის წინაშე, მოგვეცა სათანადო ბარათი კოჯორის ბავშვთა ახალშენის გაგესადში მიმართული, რომლის ძალითაც უნდა მოკვეთებოდა 60 შევარდენზე სურსათ-სანოვაგე.

განათლების კომისარიატს მოწყობილი ქონდა კოჯორში ბავშვთა ახალშენი, სადაც სხვათა შორის შევარდენულ ვარჯიშობას ასწავლიდნენ ჩვენი წურთნელები. ოლა და დარეჯანი, ვანო და ქიქიკო — აი ჩვენი წურთნელები, რომელნიც განათლების კომისარიატის წინადადებით გაგზავნა კოჯორში შევარდენთა კავშირმა და ჩვენც მათი იმედი უფრო გვქონდა დახმარების მხრავ, როდესაც გადავწყვიტეთ კოჯორში გამგზავრება.

სალამოს მეექვსე საათზე გავედით მეორე შევარდენიდან რუსთაველის ქუჩით და შეუღლებით სოლოლაკს, თან გვახლავს ოცი ბავში, უმთავრესათ გოგონები, რის გამოც ძლიერ ნელი ნაბიჯით მივიწვიეთ წინ. სოლოლაკის ბოლოს თითო წურ-

თნელს ჩაბარდა ორი ბავში, რომელთა ბარგიც ვალდებული იყო წაეღო წყურ-  
 თნელს, ასე რომ ამდაგვარ ჩვენს სვლებას ერთგვარი სიჩქარეც მიეცა,  
 მრავალი ავტომობილები მიქრის კოჯორის და კიკეთის მიმართულებით. დღე  
 ნახევრით მიდიან დასასვენებლათ სხვა და სხვა თანამდებობის პირები; ჩვენ კი  
 ავიღეთ სვლიგები პარდაპირ წავეკსზე. სოფელი წავეკის ტრეისიდან მდებარეობს  
 სულ 5 ვერსის მანძილზე, ასე გვიჩვენებს ბიჯზომი ანუ პედომეტრი—  
 ხელსაწყო, რომელიც გავიღო მანძილს ზომავს. სოფელი სიმღერით გავიარეთ.  
 სოფელი გამოეფინა ქუჩებზე. ჯერ ხალხს ვიღაც უცხოელები ვეგონეთ და მო-  
 გვერიდნენ, მაგრამ როდესაც გაიგეს ჩვენი ქართული სიმღერები, ქართული  
 ლაპარაკი და ჩვენც აუხსენით შევარდენის მნიშვნელობა, მოხუცი ქალები გვლო-  
 ცავდნენ. წავეკისში წყაროსთან შევისვენეთ. ცოტა ხნის შემდეგ შეუღლებით კო-  
 ჯორის აღმართს, რომელმაც ორი ვერსი გასტანა. შემოგვალამდა. კოჯორის  
 განაპირიდან სიმღერით გავიარეთ მთელი მანძილი ახალშენამდის, სადაც ვანო  
 კუკავაძე სანათურით შემოგვეგება, მხოლოდ ახალშენის ბავშები მწკრივში ჩამდ-  
 გარი ჭიჭიკოს მეთაურობით შემოგვეგება ძახილით „შევარდენს გაუმარჯოს“-ო,  
 რის შემდეგაც სიმღერებით. მიგვაცილა ბინაზე. ახალშენის ბავშვი მხიარულებას  
 მიეცა. იქვე შემოგვხვდნენ გურგელი, რომელიც დილიდანვე გაემგზავრა კოჯორ-  
 ში და აგრეთვე ოლა დარეჯანი თურთ. რადგან ჩვენი ბავშებიც დალილები  
 იყვნენ, ამისათვის მათ დაეთმოთ ოთახი, მხოლოდ ვაჟები მოვთავსდით ცალკე  
 აგარაკში, სახელდობრ საკრებულოში. სანამ დალაგდებოდნენ შევარდნები, მოუ-  
 რავი ძმა კოლა და ვანო იღებდნენ ახალშენის საწყობიდან პურს და შაქარს დი-  
 ლისათვის. პური თეთრია, ბამბასავით. ახალშენის ბავშები დიდ პატივში არიან,  
 ულუფას გირვანქა ნახევარი პური შეადგენს დღეში, ჩაი დილა-საღამოს, სადი-  
 ლი ორ ან სამ თავიდან და საღამოსაც საუზმე-ვახშამი. ჩვენც რადგან ჩავგნიშ-  
 ნეს ახალშენის ულუფაზე, მივიღეთ ნატურით ყოველივე, მხოლოდ ჩვენი მზა-  
 რეულთა გუნდი ჩვეულებისამებრ სწრაფათ და ყოჩაღათ მოქმედებდა.  
 საკრებულოს დარბაზში, რომელშიც სკამებზე თუ იატაკზე ძმები მოვთავსდით,  
 ცოტა არ იყოს ციოდა. საერთოდ კოჯორში დამე კარგა სიცივეებია. შუალამეს  
 გადასცილდა თუ არა, სიცივემ არ მოასვენა მოვარჯიშენი. მეც გამომეღვიძა.  
 ძმები გარეთ მებატყებოდნენ, სადაც დაენტოთ ცეცხლი და მას ირგვლივ შემო-  
 სხდომოდნენ და თბებოდნენ. მთელი ნაშუალამევი გათენებამდის ცეცხლთან გავ-  
 ტარეთ ხუმრობაში. გათენდა თუ არა გავეშურეთ წყაროზე, რომელიც იქვე ეზო-  
 ში იყო. აღსანიშნავია ის, რომ სახალხო განათლების კომისარიატის ბავშთა  
 ახალშენი ყოფილ შტაბის ეზოს შენობებშია მოთავსებული. დავიბანეთ თუ არა  
 პირი, წავედით იქ, სადაც დანარჩენ შევარდნთან ერთად დილის საუზმეც გვე-  
 გულებოდა. საუზმეს კი შეადგენდა ნახევარი გირვანქა თეთრი პური და შაქ-  
 რიანი ჩაი. ჩაის შემდეგ გამოვედით ისევ ეზოში, სადაც სავარჯიშო იარაღებთან  
 მოედანზე ყველა შევარდნები მოკროვდნენ. გაფრენის უფროსმა ძმა გიორგი

ნიკოლაძემ მოგვცა წინადადება, რათა მოემზადებულიყავით ქოროლის ციხეზე წასასვლელათ. ქოროლის ციხე პირდაპირ მოსჩანს ეზოდან ვერს ნახევარმანძილიზე, მშვენიერი სურათია. მართალია მხატვარი არა ვარ, მაგრამ ინტენსიური ლავრი იყო შთაბეჭდილება, რომელიც პირადათ ჩემზე დასტოვა ქოროლის სანახაობამ, რომ ხელდახელ გადმოვიღე მისი ესკიზი, თუმცა მხატვრობაში არასოდეს ნიჭი არ გამომიჩნენია.

## 2.

დაესტოვეთ კოჯორში მზარეულთა გუნდი და დავეშვით ხევისაყენ, საიდანაც იმდენივე აღმართი გვქონდა ასასვლელი. წავიყვანეთ აგრეთვე ბავშვები, რომელნიც დიდი ხალისით წამოგვეყვინენ. ყველას პირველად უნდა მისვლა, მაგრამ ძმა მაქრომ გაგვისწრო. ავედით ქოროლისთან. გვინდა აუცილებლად ასვლა ზედ ქოროლის კედლებზე. ჯერ წავიდა ასასვლელათ მცირეოდე გუნდი ავიორგი, რომელსაც თანდათანობით ყველანი მივეყვიეთ. კლდეებზე ვიდექით ერთი მეორისაგან დაცილებით უფროსები და აჰგვართ ბავშვებიც ავიყვანეთ. სულ უმაღლეს კედელზე ვანომ ჯოხზე ჩამოაცვა თავის შევარდნული წითელზოლებიანი პერანგი და კარგა ხანს ფრიალებდა ის დროშა ქოროლის კედელზე იქვე შეგროვდა ჩვენი მომღერალთა გუნდი, ლამაზი სურათი იყო ჰაერში დაცილებული ქოროლის ციხის სიმაღლე და ზედ შეუშინებელი მარდი შევარდნით კრებული. ახლა სანახაობა. ირგვლივ ჩრდილოეთით ტფილისი თავის მიდამოებით და შორს მთები, აღმოსავლეთით ყარაიას მიდამოები ადერბეიჯანის მთებით, სამხრეთით ბორჩალოს მიდამოები სომხეთის მთებით, დასავლეთით მანგლისის მიდამოები. რუქაზე რომელიც თან გვაქვს ვიკვლევთ დაწვრილებით ბორჩალოს მიდამოებს, სადაც ბრძოლები იყო ჯერ სომხებთან 1921 წელში, შემდეგ რუსებთან. აი ხრამის ხიდის რაიონი, სადაც არა ერთხელ ებრძოდა ქართველთა მამაცი ლაშქარი მუხანათურ შტერს. თვით ქოროლის მიდამოები თხრილებშია სულ. იქვე ებოვნა ჩვენს ძმა ვანოს თავის ქალა რომელიც ვინ იცის ვის ეკუთვნის. ეს თავის ქალა ათასგვარ ოცნებაში და მრავალ მოგონებათა, წარსულ მწარე მოგონებათა წყვილადისაკენ მიგვითითებს და მის შესხედვით საცოდაობას იწვევს ყოველი ადამიანი, რომელსაც ვერ აუღია ალღო ჩვენი ღუბჭირ ცხოვრებისათვის და ადამიანთა სისხლის დაქცევაში და ყოველივეს განადგურებაში ხედავს კაცობრიობის კარგ მომავალს, მაშინ როდესაც ჩვენი სამშობლოს, ლამაზ საქართველოს მშვენიერი ბუნება მოგვიწოდებს სილაღისაკენ, ძმობა-ერთობისაკენ, კაცთმოყვარეობისაკენ და სიყვარულისაკენ.

შევარდნით კრებული კი მუდამ იყო, არის და იქნება მატარებელი იმ დიად ლოზუნგებისა, რომელიც მის დროშას აწერია; „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, „სამშობლოს და მშრომელი ხალხის სიყვარული“, „ქართველ ერის ძლიე-

რება“ და მრავალი სხვა— აი ის დღეებში, რომელთაც თავიანთს სცემს საქართველოს შევარდენი.

და ეს თავის ქალა, რომელიც ადამიანის ყოფა-ცხოვრების ჩვეულებას გადასცემს. რომელიც გადაგტყორცნის ადამიანის სიცოცხლის გარეშეაში, ჩვენ ეს თავის ქალა გადავწყვიტეთ წამოგველო ტფილისში შევარდენთა კავშირის სამკურნალო განყოფილებისათვის.

ქოროლლი კი მედიდურათ დასცქერის ყოველივეს ირგვლივ და ის იღუმალობა, რომლითაც მოკულობს მისი კვალემა, წარსულს, შორეულ წარსულს, საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას გისახიერებს, როდესაც ისე როგორც აწმყოში მრავალ მტერთა საჩიჩქნი იყო ჩვენი სამშობლოს მიდამოები. ქოროლლის ირგვლივ შექმნილი იღუმალობა ბევრს ჩვენგანში გრძობათა გადახალისებას იწვევს. იბადება, იქმნება ახალი აზრები, ვასცქერი იმეღით ჩვენი მშრომელი ხალხის კარგ მომავალს, იშლება დიადი პრესპექტივები და ყოველივე ამით გატაცებული გავიწყდება ირგვლივ კაცთა შორის შექმნილი უნდობლობა, დაკნინება, გადაგვარება.

ხარობს ქოროლლი შევარდენთა სტუმრობით. ციხის ირგვლივ კედლების ძირს უფსკრულებიც აღარაა საშიში. სინხნევისაკენ მოგვიწოდებს ქოროლლის ციხე და ჩვენც ვსტკბებით ამ იღუმალობით, ვსტკბებით და ვმაგრდებით შიხის მშვენიერ სხივებით. აღმოსავლეთით ქვემოთ კუმისის ტბა და დასავლეთ ხევში ქობენის მონასტრის სანახაობა თავისკენ გვებატიეობიან მაგრამ, რადგან კუმისის ტბას უკვე გაუწევია შევარდენისათვის მასპინძლობა, ამისათვის ქოროლლის კედლებზევე გადავწყვიტეთ წასვლა ქობენის მონასტერში. დავიწყეთ ჩამოსვლა ქოროლლის ციხიდან. საშიშ ადგილებზე, საიდანაც შესაძლებელი იყო მოწყდომა კლდიდან, დადგენ წურთნელები და ფრთხილად გადაყავდათ და ჩაყავდათ ბავშვები და დები. ჩვენი ჩამოსვლა და მზესაც ღრუბელი მოეფარა ნაწილობრივად. საგანგებოდ დაიჩრდილა ქოროლლის ციხე. ჩვენც ამას რასაკვირველია მივაქციეთ ყურადღება. ეს იყო სრულიად შემთხვევითი მოვლენა. „დანადღლიან და ქოროლლი ჩვენი ჩამოსვლითა“—ამბობდენ ძმები, როდესაც ციხის ძირში ჩამოვედით. \*)

\*) 1920 წლის შევარდენთა გაფრენს შემდეგნაირად აგვიწერს ვინმე „მგზავრი“ ვაზეთ „სახალხო საქმე“-ში. № 903. 17.VIII.1920 წ.

„გასულ ივლისის 31-ს ხელმძღვანელმა მოაწყო მსმენელების მოგზაურობა კოჯორში. აღნიშნულ დღეს, საღამო 6 ნახ. საათზე, სადღესასწაულოდ გამოწყობილი შევარდენთა მწყობრი გაემართა ტფილისიდან კოჯორისაკენ. შევარდენთა ლამაზი ჩაცმულობა და იშვიათი წესმორჩილება კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებელზე. შუა გზა ექნებოდათ გავლილი, რომ დაბინდა; სამაგიეროდ ამოკაშკაშდა მთვარე და კიდევ უკეთესი სანახაობა შეიქნა; ისედაც მდიდარი ბუნება

ზემოდან სამხრეთით მოსიანდა ქობენის მონასტრისაკენ მიმავალი გზა, რომელზეც უნდა ერთი ვერსის მანძილზე ჩავსულიყავით ტყით კლდეებში. წამოხვედის სურვილი განაცხადა 23 შევარდენმა. ლამაზია ქოროღლის ციხის შედარებით, კოჯორი თავის აგარაკებით ამწვანებული, აფერადებული, შორიდან ყოველივე ლამაზათ გამოიყურება, თუმცა უკანასკნელ ომის დროს მომეტებული ნაწი-

მთვარიან ღამეში ედგმს დაემზგზავსა და ამ სანახაობით მოხიბლული შევარდენთა მწყობრი დიდის ჭრიაშულით განაგრძობდა გზას. მზავარები დიდხანს უცქეროდნენ შევარდენებს. ამნაირად საათის 11-ზე შევარდენთა მწყობრი მხიარულის სიმღერით შევიდა კოჯორში. მოაგარაკენი მათ აღტაცებით შეხვდნენ.

იმ ღამის დასვენების შემდეგ, დილით გაემართნენ „ქორ ოღლის“ ციხის დასათვალი რებლად, რომელც კოჯორის პირდაპირ მარცხნივ მალღობზეა აშართული და რომელზედაც ასვლა, თუ არა პატარა უხერხული ბეწვის ხიდისებური გზით, შეუძლებელია, მაგრამ, განა შევარდენისათვის შეუძლებელი იქნება რამე? მისვლისთანავე შევარდენი ძმა ვ. მაქავარიანი სწრაფად ციხის კედელზე პირდაპირი სვლით ციხის უმწვევრავლეს წერტილზე გაჩნდა, ხალხი დანარჩენი შევარდენები სხვა და სხვა მიმართულებით ერთ წუთში ციხის თავს მოეთინენ. „ქორ ოღლის“ თავზე ააფრიალეს საქართველოს რევოლუციონური დროშა, რომელიც ამაყად დაყურებდა გარე მიდამოებს.

ციხის ძირში მოხდა შევარდენთა გამოსვლა. როგორც კოჯორიდან დურბინდით უცქეროდნენ მოაგარაკენი. იქ დარჩნენ ნაშუადღევის 1 საათამდე; შემდეგ ჩამოვიდნენ კოჯორში, ისაუბრეს, დაისვენეს და საღამოს შევარდენები მიიწვიეს ადგილობრივ საკრებულო დარბაზში, რომლის ეზოშიც მოხდა შევარდენთა გამოსვლა; როგორც შეხვედრისას, აგრეთვე გამოსვლის დროს და ყოველ დანახაზე მოზღვაებული ხალხი დაუსრულებელი ტაშისცემით აჯილდოვებდა მათ და მათ „პაპიას“ (ხელმძღვანელს გ. ვენატაშვილს ზედმეტ სახელით „პაპია გურგელა“-ს ეძახიან). შემდეგ შევარდენები მიიწვია სადილზე მოქ. ალ. ჯაყელმა. სადილის დროს შევარდენები მოხდენილად მღეროდნენ, ოხუნჯობდნენ და სხ. მასპინძელმა და იქ მყოფ სტუმრებმა შემოსწირეს საზ. „შევარდენი“-ს სასარგებლოთ 15.000 მ. საღამოს 9 ს. 10 წ. შევარდენთა მწყობრი ტფილისისკენ გამოემზავრა. — მოაგარაკენი სურვილს გამოსთქვამდენ, რათა ხშირად იყოს მოწყობილი ასეთი მოგზაურობა. მათ დიდი დახმარება გაუწიეს შევარდენებს იქ ყოფნის დროს სანოვავის მიწოდებით და სხ. ყველაზე მეტი თანაგრძნობით და პატივისცემით შეხვდა შევარდენებს მოქ. რ. ნიკოლაძე — პოლიეტიკოსისა, რომელიც ერთ წუთსაც არ მოსცილებია შევარდენებს და არაფერს მათთვის არ იშურებდა; მანვე გამოაცოლა ისინი ძალიან შორის და დასცილდა.

კარგია შევარდენი! ნამდვილ დებს და ძმებს იქ ნახავთ! იქ შენობით ლაპარაკობენ, იქ ყველას მეტი სახელი ქვია; თვითონ ხელმძღვანელს „პაპია“ გურგელს

ლათ გაბარტახებულია კოჯორის სიმდიდრე, მისი მოწყობილობა. შესტკეირით შტაბის შენობებს და საერთოთ ლამაზათ მორთულ კოჯორის მთასკრულელი მოფენილია მრავალ ბაღებით და სახლებით.

## 3.

გაუდექით ქობენის მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე გასვლას, ძლიან გაგვიქირდა ხეებს და ბუჩქნარების ქვეშ, წვეტიან ქვებზე ჩასვლა ქვემოთ, სუყველამ დაიკაწრა გაშიშვლებული ხელფეხი, მაგრამ 20 წუთში შაინც გავედით გზაზე და ჩქარი ნაბიჯით შეუდექით ქობენის მონასტრისაკენ. გზა-გზა მრავლათაა ტყემალი, ვაშლი, შინდი, რომელსაც არხენათ შევექცეოდით. აღსანიშნავია, რომ იმ მიდამოებში სოფლების სახელებიც ეთანაბრება ხილის სიმრავლეს, მაგალითად ვიცით, რომ არის სოფლები ვაშლოვანი, შინდისი და სხვა. გზაში შემოგვხვდენ სოფელ ევანეთში მიმავალი ქალები, რომლებიც წამოგვყვენ ქობენის მონასტრამდის. მიუახლოვდით ქობენს, იქ შემოგვხვდენ ძმა ვანო მაქ-ვარიანი მეორე ძმითურთ. ჩამოსულიყვენ ჩვენდა მოულოდნელათ მთის წვერიდან კლდეებზე. ვანოს ხომ უყვარს საშიშარ კლდეებზე ცოცვა და კლდეებიც ზიანს მას არ აყენებენ, შეთვისებული არიან ურთიერთ შორის.

შეუდექით ქობენის მონასტრის დათვალიერებას. ძველი ქობენის ეკლესიის აწუქურთმებული ნანგრევი ხუცური წარწერებით ისევეა შენახული. ის არის ნაშით ძველი ქართულ კულტურულ ცხოვრებისა, ის არის წარსულ ქართულ ყოფაცხოვრების მაჩვენებელი. ქართული ხუროთმოძღვრება, ქართული მხატვრობა, რომლითაც დღესაც სარგებლობს ჩვენი მხატვარ-ხუროთმოძღვარნი, საუკეთესო მაჩვენებელნი არიან განათლებულ საქართველოს ცხოვრებისა წარსულში და ქობენის ძველი ეკლესიის ნანგრევიც მოწმეა საქართველოს საუკეთესო წარსულისა. რაც შეეხება ახალ შენობებს ქობენის მონასტრის მიდამოებში ისენი უკვე უპატრონობის გამო მინგრეულ-მონგრეულია, და ისეთი მნიშვნელოვანიც აღარაა, ვინაიდან მის აღმშენებლობაში არავითარი შესამჩნევი რამ არ არის, როგორც ხუროთმოძღვრების, აგრეთვე მხატვრობის მხრივ. რასაკვირველია ყველაფერი გაბარტახებულია ამ მონასტერში, იქ არავინ ცხოვრობს და მიჯოვებულია ყოველივე, ასე ვსთქვათ, ღვთის ანაბარათ.

ეძახიან, მერე მიჰყვება: გიგაია, კაკოია, ერბენ-ერგ-ერბენ, კროშა, ვოლოდია, გრუზოვიკი, მიტო, კუკოლის, ტრიკო და სხ. და სხ. და ყველა ეს გ. ეგნატაშვილის წყალობით არის, რომლის სიყვარული და პატივისცემა ყოველ შევარდენის გულში უკუნისამდე იქნება.

გარდა გ. ეგნატაშვილისა, არიან იქ შევარდენთ უფროსი ძმები და დები, რომლებიც არა ნაკლებ ძვირფასნი არიან შევარდენის ოჯახისათვის; ესენი არიან ირ. ლორთქიფანიძე, გ. ნიკოლაძე, თ. ნიკოლაძის ასული და სხვა.


დავთვალე ირგვლივ, აგრეთვე ხევი თავის ჩანჩქერებით, ვიხე-  
 ლით რა კაკალი, მსხალი და ტყეშალი ყველანი დატვირთულნი ამ შიმშილსა  
 ხილელობით შეუდექით გზას კოჯორისაკენ, თუმც გზაზე გასვლის ტყე  
 გვექონდა გასავლელი ბუჩქნარებით. ავედით გზაზე, გასავლელი გვაქვს მთაში 3  
 ვერსი; ასე რომ ვიარეთ კოჯორიდან ქორილლამდის 1 ნახ. ვერსი, ქორილლი-  
 დან 3 ნახ. ვერსი და 3 ვერსიც ქობენიდან, ბიჯზომიც სწორედ გვაჩვენებს სულ  
 8 ვერსს, მაგრამ ისეთი ბილიკებით და გზებთ გავლა, რომელიც ჩვენ გავიარეთ,  
 დიდი ვაჟაკობა უნდოდა და ამის გამოც დილანდელი წამოსულები ცოტა დაჩ-  
 ქარებული მივიწვედით კოჯორისაკენ, სადაც 2 საათისათვის სადილიც გვეგუ-  
 ლებოდა. სრული 2 საათი იყო, რომ ავედით დანიშნულ ადგილზე, სადაც ჩე-  
 ნიანები სადილისთვის ემზადებოდნენ. მზარეულთა გუნდის წყალობით მიცემულ  
 სურსათის მიხედვით მართლაც მშვენიერი სადილი დაგვიმზადდა: წვენი და ფლავი.  
 სადილს რომ მივირთმევდით, წამოვიდა წვიმა და ცოტა არ იყოს შეგვიქრიან-  
 დით, რადგან საღამოს გამოსვლისათვის ემზადებოდით, წვიმა კი გვემებს გვიშ-  
 ლიდა. გაჩაღდა სუფრაზე „მრავალ ჟამიერი“ და სხვა სიმღერებიც. წვიმაც შეწყ-  
 ყდა. გურგელას თხოვნით გიორგი უცხადებს შევარდნებს, რომ ხუთის ნახევრი-  
 სათვის ყველანი შეგროვდნენ გამოსვლისათვის მოსამზადებლად; გურგელს უკვე  
 მზად ქონდა ვარჯიშები, რის გამოც ძილსაც კი მიეცა. 5 საათი იყო, როდენ-  
 საც ეზოში ტყის პირას წურთნელები წვრთნიდნენ მოვარჯიშეებს, უცერათ გა-  
 მოჩნდნენ კიკეთიდან მომავალი დები: ლუბა, ნინო, ქეთო და თამროები თამრო  
 ნიკოლაძის მეთაურობით. სულ ექვსნი, მაგრამ რადგან მწკრივებში ვდებოთ,  
 ამისათვის შორიდან მივესალმეთ კიკეთლებს. გაგვეხარდა მათი მოსვლა.

ეშლებათ მოვარჯიშეებს ზოგიერთი ვარჯიშები. „საკრამენტა“ — გაიძახის გაჯავ-  
 რებული გურგელი. „ხელი სწორეთ. ფეხი უკან გსწიე“ — უსწორებს მოვარჯი-  
 შეებს. ყველანი გაჩუმებულნი არიან. უკვე ექვსი საათია. მეშვიდე საათზე გავე-  
 დით ქუჩით ახალშენის საგარჯიშო მოედანზე, სადაც ახალშენის მრავალი ბავში  
 გვიციდოდა.

სიმღერით შევედით ეზოში და ფერხულთ იწყო სვლა მოედანზე შევარდნით გუ-  
 ნდმა. ქალთა თავისუფალი მოძრაობა პირველათ იყო ნაჩვენები, შემდეგ ვაჟთა  
 მოძრაობა, დასასრულ კი შეერთებული. ახალშენის ბავშვების ყურადღებას უმთა-  
 ვრესად იპყრობდა ქიქიკო და ვანო, როგორც იმ ახალშენის მასწავლებლების  
 და ამის გამო გაისმოდა ბავშვების აღტაცებული ყვირილი: „გაუმარჯოს ქიქიკოს,  
 გაუმარჯოს ვანოს.“

თავისუფალ მოძრაობას მოყვა ღერძზე ვარჯიშობა. ღერძი საგანგებოთ წინა  
 დლით წამოიღო ტფილისიდან ქიქიკომ და გურგელიც მის დადგმას მოუწდა იმ  
 დღეს.

დასრულდა ჩვენი გამოსვლა. ბავშვები აღტაცებულები იყვნენ. აღსანიშნავია ერ-  
 თი, სწორედ იმავე დღეს გამოსვლა ქონდა საგარეჯოს შევარდნის სოფელ ჰა-

ტარძეულში — კახეთში, სადაც საგანგებოთ იყო წასული ძმა გიგა. ჩვენს გამოსვლას მოყვა ჩაი თეთრი პურით, ჩაის კი ძილი, დაძინება კი დადგინდა.  დღეობდა.

დილით ორშაბათს კვლავ ჩაი თეთრი პურით. შემდეგ მომხადება, მადლობის მღერა და გამოფრენა კოჯორიდან. ამის ნახევარი იყო — კოჯორიდან რომ დავეშვით, მხოლოდ თორმეტის ნახევარზე ტფილისში ვიყავით მეორე შევარდენის ეზოში, სადაც კოჯორის გრილი სიო შესცვალა ტფილისის შეხუთულ მარიობისთვის ჰაერმა. ასე დასრულდა კოჯორის გაფრენი, ამდაგვარ ისიამოვნა ტფილისის შევარდენმა კოჯორის მიდამოებში.

## შეპარდენთა მავრანი თელავში.

### I

თანახმათ განცხადებისა, რომელიც კავშირის საწერლოს კარგებთან იყო გამოკრული, მორიგი გაფრენი იმართებოდა 30 ივლისს ქ. თელავში და ყველანი ვემზადებოდით ამ გაფრენისათვის.

შაფათს დილით 6-საათზე უნდა შევკრებილიყავით I შევარდენის დარბაზში, საიდანაც გავემგზავრებოდით სადგურისაკენ კახეთის მატარებელზე.

6 საათი არ იყო, რომ შევარდნები ყოველ მხრიდან შამოიქრენ I შევარდენის დარბაზში, სადაც ხდებოდა ტანისამოსების განაწილება. უცდილით მხოლოდ ძმა გიორგის, რომელიც იქნებოდა გაფრენის ხელმძღვანელი.

მოვიდა გიორგიც და გამოგვიცხადა, რომ ბიძის ავადმყოფობის გამო ვერ წამოვიდოდა თელავში და უფროსად დანიშნა ძმა გიგა ბერიძე.

მოვეწყვეთ, მოვიკიდეთ ზურგზე ჩანთები და ქუჩების დილის მყუდროება დაიბრუნა შევარდნთ სიმღერებით. მივედით სადგურზე, სადაც ხელათ მატარებელს დაუბეს ჩვენთვის ორი რონოლი და შევარდნთ კარგებული, რომელსაც შეადგენდა 67 მოფრენალი, ორ ნაწილათ დაყოფილი მოთავსდა რონოლებში. მაგრამ დახეთ უბედურობას. მატარებელი ვერ მიდის. ნავთლოლში გზა გაფუჭებულა. ცდა მოგვიხდა 12 საათამდის. როგორც იქნა 4 საათის ცდის შემდეგ დავინძერით. მხიარულებამ მოიკვა რონოლები. გავსცილდით ნავთლულს და შევიჭერთ კახეთის რკინის გზი, მიდამოებში; ავერ გავიარეთ კახეთის ნავთლოლი და ვაზიანის სადგურს მიუახლოვდით. აქედან ჩვენს თვალწინ გადაიშალა ვაზიანის მინდვრები, რომლის გაგრძელებასაც შეადგენს ცნობილი ყარაიას ველი.

ლამაზი სანახავეები იშლება ვაზიანიდან: სამხრეთ-აღმოსავლეთით ყარაიას გაშლილი ველი, სამხრეთით აზერბეიჯანის მთები და ბორჩალოს მიდამოები. ავერ ბორჩალოს მიმართულებით სომხეთის კენ მიიკლავება მატარებელი. სამხრეთ

დასავლეთით კი ქაღარა ტფილისი თავის ფუნქციონირებით, მამა-დადევიანობით და ბოთანიკურ ბაღით, მის იქით კი ჩვენთვის შევარდნებისათვის ნაცნობი ადგილები—ტფილისის მიდამოები: ტაბახმელა-წაფკისი, უძოს მთა თავის ეკლესიით, კოჯორის ქედი, უფრო მარცხნივ კი შავ-ნაბადის მონასტერი, რომელიც რაც უფრო და უფრო ვცილდებოდით ტფილისის მიდამოებს, უფრო ზევიო-ზევიით ამოდიოდა და მთლიანად მოსჩანდა გორის ზემოთ, თითქოს იმ ადგილას მართლაც და შავი ნაბადი გადაგზურიათო, გატაცებული ამ ლამაზ სურათით, ვიგონებთ ჩვენს წარსულ გაფრენებს, რომელთანაც მრავალი კარგი მოგონებანია დაკავშირებული და მოგონებებში ვერც ვატყობთ, როგორ შევყავართ კახეთის ნელა მოსიარულე მატარებელს საქართველოს ამ ლამაზ კუთხის მიდამოებში. მივედით სართაქალაში, საიდანაც მიდის გზატკეცილი სოფ. მუხრანში, რომელიც სართაქალას მიდამოებიდან ნათლად მოსჩანს. იქა სდგას ჩვენი ქართულ ჯარის საარტილერიო ნაწილი. გავიარეთ სადგური იორი, რომლის ცოტა მოცილებით ჩვენი მატარებელი გადადის მდინარე იორზე და მატარებლიდან მარჯვნივ გავსტყვით ივრის ველს, რომელშიც იკარგება მდინარე იორი.

ნელა მიდის მატარებელი, რომელიც თურმე ჩვეულება კახეთს მიდამოებში ნელ სიარულს. ბევრი ლეგენდები დადის კახეთის მატარებლის შესახებ, ბევრი ანექდოტები და ჩვენც გართული ვართ მათ შესწავლაში. აგერ გამოჩნდა საგარეჯო და საგარეჯოს ჩრდილოეთით ცივ-გომბორი, რომელსაც ალაგ-ალაგ ნისლიც ჩამოსწოლია. ჩვენი განზრახული სვლიგეზი იყო ტფილისიდან—საგარეჯომდის მატარებლით, მხოლოდ საგარეჯოდან ფეხით ცივის მთაზე. რომლის სიმაღლე 5113 ფუტს უდრის. სვლიგეზი გიორგისთან ერთად შემუშავებული გეგმონდა სწორეთ ცივზე და არა გომბორზე, იმისათვის რომ გომბორი მხოლოდ 5000 ფუტს აღმატება მაშინ როდესაც ცივი ბევრათ უფრო მაღალია. ცივიდან კი უნდა გადავსულიყავით შუამთის მონასტერში და იქიდან თელავში. მაგრამ უამინდობის გამო ჩვენ იძულებული ვიყავით ეს სვლიგეზი შეგვეცვალა და მატარებლით თელავამდის ჩავსულიყავით.

ვაჩერდით საგარეჯოში, სადაც მატარებელი დიდხანს სდგას, სადგურთან ბაზარი; მრავლათ იყიდება კიტრი, მსხალი. იქვე სადგურთან მშვენიერი წყაროს წყალია. მთელი მატარებელი შეესია წყალს და ხილულობას. ტფილისიდან პირველათ მიმავალი კახეთში და ისიც ხოლერობას დროს ვრდიდები საერთოთ ხილულობას და ჩვენც ვცდილობდით ზილი არ ყოფილიყო რონოდებში და შევარდნებს ნებას არ ვაძლევდით ხილის ჰამისას, მაგრამ თანდათან შევიდიოდით თუ არა კახეთში და ვტყობილობდით რომ ხოლერის არავითარ შემთხვევას იქ ადგილი არ ქონია, უფრო თამამათ დაეწაფა ყველა ხილულობას, თუ მივიდეთ მხედველობაში აგრეთვე კახეთის წყაროების მშვენიერი ანკარა წყლები.

საგარეჯო-გიორგიწმინდით დაფენილი ცივის ძარში ლამაზ გაშლილ სურათს წარმოადგენს. მალათ ამწვანებული, საგარეჯოს მიდამოები ბაღებშია აქრელე-

ბული. იქვე არის ჩვენი ნორჩი ახლად გახსნილი „შევარდენი“. საგარეჯოდან იწყება შევარდნული შემოქმედება კახეთში. საგარეჯოს შევარდენს, ერეკლე ტფილისთან ახლო მდგომს, დიდი საქმის გაკეთება შეუძლია ფაქტის მიდამოებში და ჩვენც ამით დაიმედებულნი გადავცქერით კახეთის ლაშაზ ბუნებას.

ვცილდებით საგარეჯოს და გაფაციცებით თვალს ვადევნებთ მის მიდამოებს. აგერ მანავის ციხე, ცოტა იქით თოხლიაურის ციხის ნანგრევები. მთა ცივი გაგრძელებაც თანდათან დაბლდება და ეგრეთ წოდებული მთა მანავის ცივი უკვე უდრის 5513 ფუტს. ამის შემდეგ ჩვენ ვსცილდებით კახეთის ბუნებას, ვინაიდან ღამის წყვილადში გახვეული კახეთის ბუნება მეტ სიძლიერეს და სილამაზეს გვპირდება მეორე დღისათვის, ბადიაურში უკვე ბნელოდა. გაიცა განკარგულება, რათა მომავალ სადგურზე მომხდარიყო შევარდნთა გადაჯგუფება და დასაძინებლათ მომზადებულიყვნენ ერთ რონოდში დები, მხოლოდ მეორეში ძმები. გურჯაანში ეს გადაჯგუფება მოხდა. ჩვენ რონოდში ვიყავით 45 ძმა და მოვთავსდით ისე რომ სრულიად დაწოლა შეუძლებელი შეიქნა. ზოგი დამჯდარი, ზოგი ნახევრად დაწოლილი. აგერ ერთი ძმა ყვება ზღაპარს, მეორე სახუმარო ამბავს და ამ სიცილ-მხიარულებაში თანდათან წყდება ხმაურობა. ძილს მიეცა შევარდნთ გუნდი. მატარებელი კი მიიზღაზნება თელავისაკენ.

## 2.

ხმაურობამ გამომალღვიძა. ჩემს გვერდით მხოლოდ ვანო წევს. სხვა აღარავინაა რონოდში. სუყველა ამდგარა. ავდექი, გავალვიძე ვანოც და გავეშურეთ წყაროზე. რონოდთან გამოსვლისთანავე ჩვენ მოვიხიბლეთ იმ ბუნების სილამაზით, რომელიც ჩვენს და თელავს ირგვლივ სუფევდა. ალაზნის ველი და კავკასიონის ქედი, ქალაქ თელავის მიდამოები და ყოველივე ირგვლივ საზღაპრო სურათს წარმოადგენდა. უნდა ითქვას, რომ თვით კახეთი ზღაპარია, როგორც რომ მომხიბვლელი რამ.

სადგურს ირგვლივ სოფლებიდან ჩამოსულ ხალხს, რომელსაც სხვა და სხვა სანოვავე ჩამოეტანათ, შემოსეოდენ შევარდნები და იყო გაჩაღებული ვაჭრობა ყველანი უპირველესათ ყოვლისა სვამდა რძეს, რომელიც შედარებით ტფილისთან ძლიერ იაფათ მოგვეჩვენა, ტოლჩა 500 მანეთი. აგრეთვე ხილეულობა და პური.

სოფლელები და ირგვლივ მყოფი ხალხი გაკვირებული იყო შევარდნთა კრებულით, რომელთაც შევარდნული ტანისამოსი, ერთგვარი და ერთფეროვანი ძლიერ ალაშაზებდა. გაკვირებული იყო ხალხი მით უმეტეს, რომ იმ გრილ დილას ზოგიერთი შევარდნები პერანგებ გაძრობილი ბანაობდენ ცივ წყაროსთან, ვარჯიშობდენ, მოძრაობდენ. საუზმეულობა დილით მართლაც კარგი იყო, რის შემდეგაც ყველა გაიფანტა იქვე ახლო-მახლო მაყელის ბუჩქნარებისაკენ.

აუარეხელი მყვალნი, რომელიც საერთოთ კახეთში ყველგან არიან, შეუქნა იმ დილას შევარდნების გასართობათ.

ამვე დროს მატარებელს, რომელიც ტვილისისაკენ უნდა წასულიყო, შეეძინა ლი ხალხი მოაწყდა ქალაქ სოფლებიდან. ჯერ კიდევ მატარებელი გასული არ იყო, რომ გაისმა ბრძანება, რათა ყველანი შეგროვილიყვნენ. ყოველ მხრიდან მოდიან და დაგვიანებულები კი მოკბიან შევარდნები.

„დადექ!“.. „სწორდი!“.. „რიგზე გაითვალე!“.. — ისმის ბრძანება. შევარდნებიც მსწრაფლ დგებიან, სწორდებიან და იწყება რიგზე გათვლა: „ერთი, ორი, სამი... ცხრაშეტი, ოცი, ოცდაერთი... ოცდა ცხრა, სამათი, სამათერთი... ოთხათი, ოთხათერთი, ოთხათორი...“

შევარდნეთ მშკრივი, რომელიც თელავის სადგურის ბაქანს აღამაზებდა, გაკვირვებას იწვევდა მატარებელში მყოფ მგზავრებში, ვინაიდან ყოველი ამგვარი წესმორჩილება და მით უმეტეს ახალი გათვლა: სამათი, ოთხათი და სხ. — ეს ყველაფერი სიხსლე იყო კახათვის, სიხსლე ლამაზ საქართველოსი. დაიძრა შევარდნთ გუნდი ქ. თელავისაკენ, რომელიც ოთხი ვერსის მანძილზე მდებარეობს სადგურიდან. გაისმა სიმღერა: მრავალი თვალი მატარებლიდან ჩვენსკენაა. დაიძრა მატარებელიც ტვილისისაკენ, თითქოს იწყინა შევარდნთ მოცილება. მოვცილდით თუ არა სადგურის მიჯამოებს, შესდგა შევარდნთ გუნდი, რომელთაც წესმორჩილების შესახებ სიტყვით მიმართა ძმა ვანო მაქავარიანმა, რის შემდეგაც განვაგრძე გზა. შუა გზაში შევისვენეთ და გაჩაღდა დოღლი ცეკვა-თამაშითურთ რომელშიც ბანს გვაძლევდენ აგრეთვე თელავის სადგურიდან გამოწყოლი ხალხიც; მიუახლოვდით თელავს და ერთ უზარმაზარ კაკლის მშვენიერ დიდ ხის ჩრდილმა მიგვიწვია პარდაპარ დასასვენებლათ თავისას. შემოგვესია ახლო-მახლო სახლებიდან ხალხი და გაიპართა თამაში, ცეკვავენ კახლები, ცეკვავენ ჩვენებიც. ამ გაფრენის დროს ცოტა არ იყოს ნაკლებათ გეყავს მოცეკვავენი, მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან გვშველის ჩვენი ტასოს კარგი ლეკური. არ ინაზება, სხარტათ გამოდის საცეკვაოთ და აღტაცებასაც იწვევს.

ვისვენებთ ნახევარ საათს. მაინცდამაინც არ გვეჩქარება. აღრეა, საათის ათია. აი ავიშალენით და მწყობრით შევიღვიარე ქალაქ თელავში. ხალხი გამოეფინა ქუჩებში ჩვენს დანახვაზე. შევიღვიარე ქალაქის ბაღში, სადაც უნდა გამოვარკვიოთ თუ სად გვექნება ბინა. ველოდებით თელავის შევარდნის ვარჯიშთავს ძმა კოლა ზალდასტანიშვილს, რომელიც მაშინვე მოვიდა, დატრიალდა მსწრაფლ თავის წურთნელებით და ჩვენც წაგვიყვანეს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში, სადაც უნდა დავბანაკებულყავით. სასწავლებლის მშვენიერ ეზოში, რომელშიც ჩვენ შევედით, გავიშალეთ მინდვრაა ხეების ჩრდილ ქვეშ.

თვით სასწავლებელი და ეზოც თავის კედლებით ხომ წარმოადგენს მეფე ერეკლეს სასახლეს. რასაკვირველია ეს ისტორიული ადგილი დაწვრილებით უნდა დაგვეთვალიერებინა და სასწავლებლის დირექტორს მოქ. პეტრე ჩარექიშვილის

წყალობით, რომელიც აგრეთვე ითვლება თელავის შევარდენის საბჭოს თავმჯდომარეთ, ჩვენ დაწერილებით დავათვალეირეთ მეფე ერეკლეს ყოფილი სასამღეო-ვნახეთ ერეკლეს დარბაზი, სადაც ოდესღაც მეფე იღებდა უცხო ელჩებს, სადაც მრავალი საკითხი საქართველოსთან დაკავშირებული წყდებოდა; ~~ინახეთ~~ ~~მეფე~~ ერეკლეს ოთახი, სადაც მუშაობას ეწეოდა და სადაც გარდაიცვალა ერეკლე მეორე, დარბაზის და ოთახის სიძველეს მოწმობს მხოლოდ მისი ძველებურათ ნაშენი კედლები თაღებითურთ, აგრეთვე მთელი შენობა, რომლის ნამდვილი ქართული ძველებური მოგრძო და ვიწროთ შედრშავებული სარკმელები (ფანჯრები) ირჩევინ ახლად მიშენებულ სასწავლებლის შენობით და მესამე სართულათ დაშენებულ ბინის შენობიდან და სარკმელებიდან.

მეფე ერეკლეს ოთახში დღეს დღეობით ალაგია მხატვარ ვ. სიღამონ-ერისთავის სურათები, რომელთა შორის თქვენ შეამჩნევთ ჩვენს მსოფიან ბელეტრისტს მწერალს დავიდ კლდიაშვილს, კომპოზიტორ სულხანიშვილს, მრავალი სურათები საქართველოს ისტორიულ ცხოვრებიდან. იმავე ოთახში კუთხეში იღვა უცხო მხატვრის მიერ შესრულებული ერეკლე მეფის დიდი სურათი.

ამ ძველ დარბაზის დათვალეირების შემდეგ შეუდგეით ახალ მიშენებულ სასწავლებლის დარბაზების დათვალეირებას. ამ შენობაში აღსანიშნავია დიდი ოთხკუთხი აივანი—ვერანდა, საიდანაც მშვენიერი სანახავი გადაგეშლებათ. ალაზნის ველი, რომელზეც მიკლაკნება ალაზანი, კავკასიონის ქედი ბუმბერაზათ გადმომყურე და მის კალთებზე უღრანი ტყენი, რომელიც კახეთის ცნობილ ყაჩაღების ბუდეთ ითვლება, ჩრდილოეთ დასავლეთით დაღესტნის მთები, საიდანაც ლეკეთის მიმართულებით არა ერთხელ განადგურებულა კახეთის მხარე. იმავე მხრით დღესაც არ ისვენებენ ლეკები, და ქაზიყელები ზომ სულ იმის ჩივილში არიან, თუ როგორ ავიწროებენ მათ ლეკეთიდან გადმოსული ბრბოები.

გადასცქერი ამ სურათს, რომელიც ცოცხალი ეკრანია ჩვენთვის და მართლაც ასეთ სურათის შემყურე შეუძლებელია დავიწყებას არ მიეცე. აგერ ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით ალაზნის ველს ამშვენებს ალავერდის ტაძარი, რომელიც ამ სიმწვანით მოკულ არემარეში თეთრათ გამოიყურება.

წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი და საერთოთ თელავის საზოგადოება ამ აივანზე უმასპინძლდება კახეთის ბუნების სანახაობით თავის საუკეთესო სტუმრებს და ჩვენც ძლიერ ნასიამოვნები დაგრჩით იმ სიმშვენიერთ, რომელიც იმ აივნიდან გადაგვეშალა კახეთის ბუნების სახით.

იმ აივნიდან გავემგზავრეთ ქვედა სართულისაკენ, რომელშიც ეწყობა თელავის ტანსაცვარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“-ს დარბაზი. დიდი ყურადღებით დავათვალეირეთ ტანვარჯიშობის დარბაზი, რომელიც თელავის შევარდენთა მეთაურების წყალობით ეწყობა. გაერთიანებული სამი ოთახი, ორ ადგილას კედელი აღებულია და დარბაზი კარგა მოგრძოა, მხოლოდ აკლია სიმაღლე. მაგრამ დარბაზის გასამაღლებლათ მიღებულია ზომები და არშინახევაზე აღრმავე-

ბენ დარბაზს. მუშაობენ თვითონ შევარდნები. საერთო დარბაზმა, როგორც შევარდენის მომავალ დარბაზმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. დავათვალიერეთ რა ყველაფერი წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში, გამოვედით ეზოში, სადაც მოგველოდნენ თელაველები, უმთავრესათ იქაური შევარდნები. გავფრთხილეთ თელაველ შევარდნებში და ვეცნობოდით მათ. რათა მეტი მკიდრო კავშირი გავგება ტფილისელ და თელაველ შევარდნებს შორის, გადავწყვიტეთ ხვალ დილით წავსულიყავით შუამთის მონასტერში ანუ როგორც ჩვენ ვეძახით მოგვეწყო გაფრენი შუამთაში, რომელიც მდებარეობს თელავიდან რვა ვერსის მანძილზე. უცბათ უარზე დადგენ თელაველი შევარდნები, უმთავრესათ დები, რომელნიც ამბობდნენ, რომ შუამთის მონასტრამდის ექვსი ვერსიაო და ამხელა გზის გავლას ვერ შევძლებთო, მაგრამ როდესაც ჩვენ აუხსენით ჩვენი წარსული გაფრენების შესახებ, როდესაც გავვივლია 25—30 ვერსი დღეში და ამასთანავე თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთოთ ასეთ მთლიან შეკავშირებულ გაფრენებს, დავთანხმდნენ თელაველები, რომელნიც დილის 6 საათისათვის უნდა შეკრებილიყვნენ სასწავლებლის ეზოში, სადაც მივესალმებოდით მათ და შემდეგ გავსწევდით შუამთისაკენ. ამდაგვარ ყველაფერი რიგზე მიმდინარეობდა. თელავის შევარდენის ვარჯიშთავე დაფაცურებდა ამავე დროს, რათა ტფილელ შევარდნებს მისცემოდათ რევეკომისაგან სადილი, მით უმეტეს ჩვენ ხელთ გვქონდა სახალხო განათლების კომისარიატიდან საბუთი, სადაც კომისარიატი სთხოვდა თელავის რევეკომს აღმოეჩინათ ჩვენთვის დახმარება სურსათის და ბინის მხრივ. გვაძენეს რომ ორ საათისათვის მზათ ვყოფილიყავით წასასვლელათ საბჭოთა სასადილოში, სადაც მოგვეცემოდა რევეკომის განკარგულებით სადილი; გარდა ამისა მივიღეთ ორი ფუთი პური, რომელიც სადილისათვის დასურბდათ შევარდნებს. სრული ორი საათი იყო, როდესაც შევარდნათ გუნდი მიდიოდა მწყობრით სასადილოსაკენ. მშვენიერი წესიერებით ვისადილეთ, რის შემდეგაც კვლავ გამოვეშურეთ ჩვენს ბინაზე და ყველანი მიეცენ თავისუფალ მოქმედებას: ვის ეძინა მინდორში, ვინ ისვენებდა, ზოგი თამაშობდა, ზოგიც სიმღერას შეექცეოდა.

3.

ვინაიდან ტფილისელ შევარდნების ჩამოსვლა მოულოდნელი იყო თელაველებსათვის, რომელნიც მოელოდნენ იმ დღისათვის ტფილისელ ფეხბურთელებს, უკანასკნელნი კი არ ჩამოვიდნენ, ამისათვის ჩვენც თელავში ბევრს ფეხბურთელები ვეგონეთ. სწორეთ იმავე დღეს კვირას 31 ივლისს დანიშნული იყო შეჯიბრება ფეხბურთაობაში ტფილისელ—თელაველებს შორის და როდესაც ჩვენ უხსნიდით რომ ჩვენი ჩამოსვლა ეს არის მორიგი შევარდნათ გაფრენი, ჩვეულებრივი ხასიათის, არავის სჯეროდა, მოდიოდნენ ჩვენთან თხოვნით, რათა მოგვეწყო შევარდნული გამოსვლა, ამასთანავე თელაველი ფეხბურთელები გვთხოვენ, რათა მიგვე-

ცა მათთვის, თუ კა არიან ჩვენ შორის, მოზურთალები და გამართვლენ ფეხბურთაობს, რომელსაც არ ექნება შეჯიბრებითი ხასიათი, არამედ მხოლოდ ძველი შევარდნული ხასიათი და ორივე მხრივ შერეული იქნებოდნენ რუგორც მათთვისვე ველები, აგრეთვე ტფალისელები.

მოგახდინეთ მოლაპარაკება და გადავწყვიტეთ გაგვემართა გამოსვლა, თავისუფალ მოძრაობით და ბურთის თამაშით. მიენდო ვანო მაქავარიანს ვარჯიშების შედგენა და წურთნელთა მოწადება გამოსვლისათვის. შეუდგა ვანო მუშაობას და ნ საათისათვის ყოველივე მოწესრიგებული იყო. ამ დროისათვის ქალაქის ბაღში მზათ იყო სამხედრო მუსიკა, იქვე იყვნენ თელაველი ფეხბურთელები, მივედით ჩვენც არა წურთნელნი, რომელნიც მხოლოდ ფერხულში ვიღებდით მონაწილეობას. აუარებელი ხალხი შეგროვდა ბაღში, უცდიდით ჩვენს წურთნელთა კრებულს, რომელიც ცოტა ლოდინის შემდეგ გამოემართა ჩვენსკენ და მუსიკით ერთად გავემგზავრეთ ნადიკარზე, სადაც უნდა მოგვებინა გამოსვლა. ნადიკარი—როგორც თელავში ეძახიან იმ ადგილს, მდებარეობს ქალაქის განაპირას, წარმოადგენს გაშლილ ადგილს, იქ საღამოობ თ მრავალი მოსეირნე იყრის თავს. იქვე დაბლა გორაკზე არის ძველი ეკლესია; ეკლესიის ქვემოთ კი ისევ გაშლილი ადგილი, რომელიც ორი მხრივ შემოფარგლულია მალღობებით და ამ მალღობის ფერდობებზე დაფენილია ხალხი, რომელიც ზევიდან დაჰყურებს მოედანს. ის ადგილი ბუნებრივი სარბიელია, რომელსაც რასაკვირველია ერთგვარი შესწორება სჭირდება და ეს ბუნებრივი სარბიელი საშვალებას მისცემს კახელებს ტანვარჯიშული საშევარდნო საქმე უფრო ფართო ზომსადართ აწარმოონ. აუარებელი ხალხი—შეიძლება ითქვას მთელი თელავი იმ დღეს იქ იყო—დაფენილი მალღობების ფერდობებზე უცდიდა შევარდნის გამოჩენას, აგერ ისმის მარში და გამოდის მოედანზე მწყობრათ შევარდნი, რასაც ხალხი დიდი აღტაცებით შეხვდა. ამის შემდეგ იწყება თავისუფალი მოძრაობა, მხოლოდ ისენი, რომელნიც მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებენ, გიგას მეთაურობით რკალივით ერთ მწკრივით ერთმანეთს მოედანს, რითაც იცავენ წესიერებას, რომ ხალხი არ გადმოსცილდეს მოედნის ხაზს. ვაჟების თავისუფალ მოძრაობას მოსდევს ქალთა თავისუფალი მოძრაობა და უკანასკნელათ კი ქალ-ვაჟთა შეერთებული მოძრაობა. აუწერელი იყო ის სურათი, რომელსაც წარმოადგენდა ნადიკარის სარბიელზე ვანოს ხელმძღვანელობით შევარდნთა კრებულის ვარჯიშობა. ალაზნის ველი და კავკასიონის ქედი ეს ბუნებრივი ფარდაა, რომლის სიგრძეზე ლამაზათ ირხეოდა შევარდნთ გუნდი. ლამაზი იყო ურთიერთ შორის გადახლართული კავკასიონის ქედი, შევარდნი, ალაზნის ველი, სარბიელის მალღობების ფერდობები პატარა ეკლესიით და აუარებელ ხალხით. აქ იყო „ცა-ფორუზ ხმელეთ ზურამუხტი ჩემი სამშობლო მხარე“, აქ იყო აზურამუხტბული საქართველოს ერთი კუთხე, მშვენიერი კახეთი თავისი შვილებით. ავერცხლებული კლავნია ალაზანი, აღურჯებული ახოვანი კავკასიონი, აფერადებული ნადიკარი—ყვე-

ლაფერი ეს მხატვრის შემოქმედებას მოითხოვდა, ისეთი იყო მომხიბლავი სურათი ირგვლივ შექმნილ მშვენიერებისა. ყველანი გატაცებული იყო ამ სურათით. დასრულდა საერთო თავისუფალი მოძრაობა და დალაგებული გამოვიდა და შევარდნი მოედნიდან. ტაშის გრიალმა მოიკვა არე-მარე. დიდი იყო შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა შევარდენტთა ვარჯიშობამ ხალხზე. ისმის ირგვლივ მითქმა-მოთქმა, ყველანი შევარდენტის მნიშვნელობაზე მსჯელობს, ყველა გატაცებულია შევარდენტულ წესიერებით, მათი წესმორჩილებით.

იწყება ბურთაობა, რომელსაც თუმცა არ აქვს შეჯიბრებითი ხასიათი, მაგრამ მაინც იტაცებს მაყურებელს. შერეულნი არიან ჩვენები თელაველებში. ხან აქეთ მიდის ბურთი, ხან იქით. მაგრამ სცემს ბურთს ტრიკო, რაც გაკვირვებას იწვევს შევარდენტში, არ მოელოდნენ ტრიკოსაგან ამდენს. მაგრამ შედგრათ არის აგრეთვე თელავის შევარდენტ წურთნელი გიორგი, რომელიც ლამაზათ ეტანება ბურთს. კარგი იყო ის ფეხბურთობაც. ის იყო შევარდენტულ გამოსვლის დასრულება, რამაც საერთოთ ამ დღეს მთლიანობის ხასიათი მისცა.

31 ივლისი დღესასწაულათ ვადიქვა პირდაპირ. თელაველები ამბობდნენ, რომ შარშან 26 მაისობასაც კი არ ქონია ასეთი დიადი სადღესასწაულო ხასიათი, ამოდენა ხალხი ნადიკვარს ჯერ არ უნახავსო.

კარგა შეღამებული იყო; სიმღერით რომ იკვლევდა გზას შევარდენი ხალხით გაქედლი ქუჩებში. გზა გზა ვაშას ძახილით და ტაშით ხვდებოდა ყველანი შევარდენს.

გახარებული მიდის ვანო და ამხნეებს მოსიმღერეებს. უფრო გახარებულია ფაფრინის უფროსი ძმა გივა. გახარებულია მთელი შევარდენი, რომლისათვისაც მოულოდნელი იყო ასეთი აღფრთოვანება კახელებისა.

ჩვენ ბინადრობის ადგილზე, სადაც მივიდა გამოსვლის შემდეგ შევარდენი, გაიმართა მხიარულება, ჰაერში ისვრიან შევარდენები თავიანთ უფროსებს. აგერ და-ძაათა გუნდი მოსიმღერეებისა, იქით მოცეკვავენი. იქვე არიან თელაველი დები და ძმები. ბაასია ხვალინდელ გამზავრების შესახებ შუამთაში. შუალამეს გადაცილებულია, კიდევ არ სძინავთ შევარდენტს. თანდათანობით წყდება ხმაური და ძილი ეფუფლება შევარდენტთა კრებულს.

4.

დილის 4 საათიდან ამოდრავდა შევარდენი. ყველანი ემზადებიან შუამთის მონასტერში წასასვლელათ. დილიდან შევარდენები პირსახოცებით გაემართნენ ბატონის წყაროსაკენ, სადაც ანკარა წყალით ტანს იბანენ ვაჭები. დიდებული წყაროა. ძალაუნებურათ გავონდება ტფილისის დამყაყებული წყალი, რომელსაც იშვიათათ გვაწვდიან ხოლმე. იქ კი, თელავში უხვად მოდის ყველგან სუფთა დაწმენდილი მთის წყალი. ასეთივე წყაროა გვირაბში, რომელიც ვაჭთა გიმნაზიის დარბაზში იმყოფება. საერთოდ აღსანიშნავია მთელი კახეთი თავისი წყაროებით, რაც ერთგვარათ ინახავს კახეთს ხოლერისაგან.

ყველამ დაიბანა პირი და საუზმობენ, თელაველი შევარდნებიც იკრიფებიან. ჩვენი შევარდნები ვაჟები დილიდანვე ჯგუფ-ჯგუფათ მუშაობენ თელავის შევარდნის დარბაზში, სადაც თხრიან მიწას და ამდაგვარ დარბაზს ამბობდნენ. ამ მუშაობით, ანუ თანამედროულათ რომ ვთქვათ, ამ ორშაბათობაში მჭიდრო კავშირი დაიდვა თელავ-ტფილისის შევარდნებ შორის. თელავის შევარდნის დარბაზის მოწესრიგებაში თავისი მცირე წვლილიც შეიტანეს ტფილისის შევარდნებმა და ამაზე რასაკვირველია თავისებური მნიშვნელობა იქონია თელაველ და — ძმებზე.

ველით ორთავლას, რომელიც რევკომის განკარგულებით მოგვეცა სურსათ სა-ნოვადის გადასახიდათ. მოვიდა ორთავლა, დავტვირთეთ.

მოეწყო ეზოში ერთ მხრივ ტფილისის შევარდენი, მეორე მხრივ თელაველი შევარდნები.

„სმენა“ — გაისმა ბრძანება ორივეს მხრივ.

სიტყვით მიმართავს ერთი ძმათაგანი ტფილისელ შევარდნების სახელით თელაველებს, მიესალმება მათ და უხსნის საერთო შევარდნთა გაფრენების მნიშვნელობას და კერძოთ იმ დღის შეერთებულ გაფრენის მნიშვნელობას და მოუწოდებს მათ მედგარი მუშაობისაკენ, რათა საერთო ძალებით საქართველოს შევარდნთა კავშირი შეებრძოლოს ჩვენი ქართველ მშრომელ ხალხის სისუსტეს და დაავადებას და შეიტანოს მათში სიძლიერე და ჯანსაღობა.

საერთო „გაშა“-ს ძახილმა დაფარა ძმის სიტყვები.

დაიძრა ორივე შევარდენი და აგუგუნდა თელავის ქუჩები სიმღერებით, გავცილდით ქალაქს. სიტხვა. ვისვენებთ ერთ გაშლილ ადგილზე, სადაც მრავლათაა მაყვალის ბუჩქნარი. შევარდნები მოედო ამ ბუჩქნარებს. ბევრია იმ მიდამოებში მაყვალი. ყველანი ვერთობით მით.

გაუდევით გზას, მეექვსე ვერსზე წყაროა, ვეწაფებით წყალს და შევდივართ შუამთის მიდამოებში. შარა გზა უხვევს მარცხნით ცივ-გომბორის მიმართულებით. შევედით ტყეში. ორ მთა შუა გამოჩნდა ეკლესია — ეს არის შუამთის მონასტერი. უფრო გამხნევებულნი მივიწვეთ აღმართით მთაში. ნაწილი შევარდნებისა მეორე მხრით ავიდა მონასტერში და ზვევიდან მოისმოდა მათი სიმღერა. ესენი იყვნენ ძმები. აი ჩვენც შუამთის მონასტრის ეზოში ვართ. თანდათან დარჩენილებიც შემოდინა.

ლამაზია შუამთის მონასტრის მიდამო. მშვენიერი ახავარდებული ეზო, ცაცხვის და აღვის ხეები, ბაღი, ირგვლივ კი ტყე მთის ფერდობებზე. დავლაგვით ჩვენი ბარგი-ბარხანით ცაცხვებ-ქვეშ. ტფილისელ შევარდნებმა დაიწყეს ფეხსაცმელების და წინდების გახდა, რაც პირველში ეუცხოვათ თელაველ და-ძმებს, რომელთაც შემდეგში მოგვბაძეს რასაკვირველია.

მოურავის, ძმა კოლას განკარგულებით ხელათ შესდგა მზარეულთა გუნდი, დიასახლისათ დანიშნულია და მაშეკო, მხოლოდ უფროს მზარეულათ ძმა მიშა;

დანარჩენები მზარეულთა გუნდიდან ზოგი წყლის მომტანია, ზოგი ცეცხლისათვის შეშის შესაგროვებლათ და სხვა. ჩაბარდა მზარეულთა გუნდს სურსათ-სა-ნოვაგე, ბერებმაც მოგვცეს კართოფილი და სადილის მომზადებას მსწრაფლ მიეცა მსვლელობა.

ეროვნული

ამავე დროს კი ეზოში ზოგი თამაშობდა, ზოგი ცეკვას და სიმღერას შეგუებულია და. ზოგიც, უმთავრესად თელაველები, საუზმეს მიირთმევდა.

„თელაველებს ვესტუმროთ“ — სიმღერით დაიძრა ძმა გოგოია თელაველთა სუფრისაკენ „სიმონიკა გოცაძის“ ხმაზე; სხვებიც აუვნენ გოგიას და ვესტუმრეთ თელაველებს, რომელნიც გვიმასპინძლდებოდნენ თავიანთ საუზმით. შევარდენთ მხიარული ყიჟინა არღვევდა შუამთის მყუდროებას. გავეცანიტ ბერებს, რომლებმაც გვათხოვეს ქვაბები და ჭურჭლეულობა სადილისათვის. დრო გამოშვებით ვათვალიერებდით აგრეთვე შუამთის მონასტრის მნიშვნელოვან ადგილებს. თვით ტაძარი ნაშენია XVI საუკუნეში ქეთევან დედოფლის მეფობის დროს და როგორც ძველი ეკლესია მნიშვეილოვანია თავის მხატვრობით, თუმცა მხატვრობა წარსულ საუკუნეში რუსთა ბატონობის დროს კირით იქნა გადათეთრებული, მაგრამ კირიონის კათალიკოზობის დროს მის ბრძანებით დაიწყეს თურმე კვლების წმენდა კირისაგან და ალაგ-ალაგ ეს ძველი მხატვრობა აღადგინეს. მაგალითად აღდგენილია ეკლესიაში მარჯვენა კუთხეში უკანა კედელზე ქეთევან დედოფლის სურათი. ტაძარში აღსანიშნავია აგრეთვე ქეთევან დედოფლის საფლავი, რასაც ადასტურებს იქვე მარცხენა კედელში მარმარილოს ქვაზე წარწერა ხუცურათ, მხოლოდ იმ ქვის ზევით ნახვარზე ამოჭრილია ქართველ მეფეთა — ბაგრატიონების ღერბი.

როგორც იქაური ერთი ბერი გადმოგვცემდა უფრო ძველი ეკლესია იმყოფება შუამთის მონასტრიდან 3 ვერსით მოცილებით მთაში, უფრო მოჩუქურთმებული, მაგრამ დღეს მიტოვებულია და გაფუჭებული, უბატონოთ მივარდნილი.

შუამთიდან მიდის გზა გომბორისაკენ და აგრეთვე ცივის მთისაკენ საგარეჯოზე და ჩვენ რომ გადმოვსულიყავით საგარეჯოდან როგორც განზრახული გვქონდა, ჩამოვიდოდით სწორეთ შუამთაში.

სამრეკლოდან ისევ მშვენიერი სურათი ალაზნის ველის, რომელზედაც მოსჩანს ალავერდი.

ეკლესიის დათვალიერებაში და ბერებთან ბაასში დროც გავიდა. მზარეულებმა გვამცნეს რომ სადილი მზათ იყო. ბრძანებისამებრ გამწკრივდა ერთად სიმაღლის მიხედვით ორივე შევარდენი და პირველ მეთორმეტეზე გათვლის შემდეგ თითო განწილი 12 შევარდენის შემადგენლობით ჩაბარდა ოითო უფროსს, რომელსაც უნდა მიედო თავის განწილისათვის სადილი და პური ხორცის ულუფითურთ. სულ შუამთის მონასტრის გაფრენში მონაწილეობდა 88 შევარდენი, რომელთა შორის 34 იყვნენ თელაველები. სულ იყო შვიდი განწილი და მონასტრის ეზოში შვიდ ადგილას მოეწყვენ შევარდენები სასადილოთ. თელაველ ძმებს-შევარ-

დნებს წამოდებულთ ქონდათ თითო ოროლა ბოთლი ღვინო და ყველა განწილის უფროსს გადასცეს განწილში მყოფ შევარდენთათვის ზოგს თითო ბოთლი, ზოგ განწილს კი ორი ბოთლი ღვინო.

საღლიის შემდეგ კვლავ მრავალი თამაშობანი და მხიარულობანი. წამოსვლისას ვანომ ბერებისათვის და იქვე მყოფ ხალჩისათვის გაიმეორა თელავში ნაჩვენები ვარჯიშები-მოძრაობანი, მხოლოდ მუსიკის მაგიერობას გვიწევდა დოლი, რომელსაც ლადო მეთაურობდა. დოლის ხმაზე შეფარდებული თავისუფალი მოძრაობა შუამთის მონასტრის ალაშაზებულ მწვანე ეზოში თვისთავად რასაკვირველია კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა, რამაც ძლიერ მოახიბლა ყველა იქ დამსწრე ვარჯიშე პირები. გამოსვლის შემდეგ დაეშვა შევარდენი შუამთის მონასტრიდან და ღამის 9 საათი იყო, როდესაც ტფილისელ-თელაველ შევარდენთ მქუხარე სიმღერებზე ხალხი ქუჩაში გამოდიოდა და ტაშით ხვდებოდა შუამთიდან მომავალ შევარდენებს. თელაველ შევარდენთა სიმღერები ყურადღებას იპყრობდა, იმისათვის რომ იმათ ერთი დღის განმავლობაში შეითვისეს ტფილისელ შევარდენებიდან არამც თუ მარტო შევარდნული სიმღერები, არამედ ყველანაირი შევარდნული ტრადიციები, რომელიც კარგათ აკავშირებს და აერთებს საზოგადოთ ამა თუ იმ წრეს, ორგანიზაციას. იმ დღეს კი თელაველი შევარდენები ერთი დღის განმავლობაში მაღიანათ, საცემბით შეეთვისენ ტფილელებს და მათი სიმღერები ტფილელ შევარდენთ მავარი ერთგვარ სიამოვნებას იწვევდა ყველა შევარდენთ შორის.

მოვედით ეზოში, სადაც თელაველ შევარდენებმა „ვაშა“ შესძახეს თფილისის შევარდენს, ასევე მოიქცენ ტფილისელები და ამ მისალმებით დასრულდა ეს გაერთიანებული შევარდენთ გაფრენი, რომელმაც ასეთი მნიშვნელოვანი შედეგები იქონია ტფილისელ და თელაველ შევარდენთ დაკავშირების საქმეში.

დაქანცულები თელაველი და-ძმანი წავიდნენ თავიანთ სახლებში დიდათ კმაყოფილნი და ჩვენც რასაკვირველია არა იმათზე ნაკლები დაღალულები მივეცით დასვენებას. ასე დავასრულეთ მარიობისთვის პირველი დღე.

5.

სამშაბათს დილით მარიობისთვის 2-ს დილიდანვე ვემზადებოდით წამოსასვლელათ. წყაროს შემდეგ წავისაუზმეთ და ბრძანებისამებრ მწყობარში ვიდექით. იქვე იყვნენ თელავის შევარდენის თაყმჯდომარე ძმა პეტრე ჩარექიშვილი, შევარდენის ვარჯიშთათვი ძმა კოლა ზალდასტანიშვილი და წურთნილი ძმა გიორგი ჩიკვაძე. ჩვენი მხრით მათ მიმართ თქმული იყო სიტყვა, რომელზეც სათანადოთ სიტყვით გამოგვეთხოვა ძმა პეტრე. შევსძახეთ „ვაშა“ და „გამარჯვება“, რის შემდეგაც გამოვემართეთ სადგურისკენ. ჩქარა ჩამოვედით სადგურზე ერთი საათი მოუძლით. მანძილი ოთხი ვერსია. ზიჯზომიც სწორე აჩვენებს. მივიღეთ კვლავ ორი რონოდი და მოვთავსდით ჩვეულებისამებრ. იქვე სადგურზე ჩვენ შევამჩნიეთ მელოლეს და ღარმონისტს, რომლებმაც განაცხადეს სურვილი ჩვენს რონოდში წამოსვლისა.

გამართა შეჯიბრება თუ რომელ რონოდში მოთავსებულიყვნენ ისინი, მაგრამ რადგან მხოლოდ ორი სადგური ქონდათ მათ გასავლელი, ამისათვის და გვაწყენიეს და ჯერ ერთ რონოდში ამხიარულეს შევარდნები, მერე მეორეში. თანდათან ესტოვებდით თელავის მიდამოებს და მატარებელი მიგვასრიალებდა კახურ ღვინის სამშობლოს მიდამოებში. აი წინანდალი, ვაჩნაძიანი, მუკუხანი და გურჯაანის მიდამოები თავის ვენახებით; ავერ საუფლისწულო მამულები. შევარდნები ხუმრობდნენ, როდესაც შესცქეროდნენ ვენახებს, ისე ლამაზათ ჩამწყრივებულიყო ვაზები, როგორც შევარდნთ მწყრივები. მეტის სიმშენიერით გამოიყურება ამ მიდამოებში ლამაზი კახეთი. აქედან კიდევ უფრო გაშლილა ალაზნის ველი, მის სიდიადეს არ აქვს საზღვარი.

ზოგიერთი თელაველი შევარდნები თან არიან ჩვენს რონოდში, გვაცილებენ, ვარჯიშთავი გურჯაანამდის ჩამოგვყვა. ის იქ რჩება და მას ჩვენ სათანადოთაც ვაცილებთ. ბრძანებისამებრ მსწრაფლ ვადმოდიან რონოდებიდან შევარდნები, ერთ მწყრივთ ეწყობიან და ერთი ძმათგანი შევარდნის სახელით მიმართავს მას და მიგსალმება იმ ძმურ დახმარებისათვის, რომელიც ძმა კოლამ შევარდნულათ და მასთანვე კახურათ გაგვიწია. ისიც შესაფერის სიტყვით მოგვესალმება, რის შემდეგ თელაველი ვარჯიშთავი პაერში ფრინავს. ტფილისელები მოქმედებენ. ხალხი მრავლათ შემოესია შევარდნებს. ყოველივე ეს—სიტყვა, გამომშვიდობება, წესრიგი, სიმხიარულე ხალხზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. ხალხი მრავალი იყო, მით უმეტეს წნორის წყლიდანაც მოვიდა ხალხით სავსე მატარებელი. ისმის მეორე ზარი და შევარდული სისწრაფით ხტებიან რონოდში შევარდნები. მოვიცილდით გურჯაანს.

მიუახლოვდით ჩალაუბანს, სადაც მეტათ საშიში ადგილებია იმ მხრივ რომ მატარებელი თითქმის უფსკრულებზე მისრიალებს. იქით აქეთ უფსკრულებია და არა ერთი და ორი უბედური შემთხვევა ყოფილა თურმე ამ მიდამოებში, მაგრამ გაცილდით ამ ადგილებსაც და სანამ მელაანში შევიდოდით მიხვეულ მოხვეულათ მიდიოდა ჩვენი მატარებელი. შევიქერით მელაანის ლამაზ სადგურში, რომელიც ამაღლებულ ადგილას მწვანეშია ჩაფლული. შევარდნთა რონოდებში განუწყვეტილი ისმის სიმღერა, ცეკვა; ბაღიაურში შევხედით ტფილისიდან მომავალ მატარებელს. ჩვენს რონოდთან მოვიდნენ ახალგაზდა გლეხები, რომელნიც გვახოვდნენ რათა ისინი ჩაგვეწერა ჩვენს ჯარში. ლამაზათ მორთული შევარდნები ჯარი ეგონათ, ჩვენც აუხსენით გლეხებს, რომელნიც კაკაბეთლები გამოდგნენ, თუ რა არის შევარდნი, მისი მიზანი და მნიშვნელობა. დიდათ დაინტერესებულნი, გადაწყვეტილ პასუხს მოითხოვდნენ ჩვენგან, რათა აუცილებლათ მათ სოფელში—კაკაბეთში გაგვეხსნა შევარდნი. ჩვენც რასაკვირველია ეს მოვლენა ძლიერ გვახარებდა და დავპირდით მათ, რომ ახლო მომავალში მოვაგვარებდით ამ საქმეს. კაკაბეთის ბაქანზე დაგვიცილდნენ ისენი. სულ ქუდებს გვიქნევდნენ, ისეთი



კმაყოფილებითა მოგვეცილდნენ შევარდნულ წყობილებს და იდგეს შემდეგ, რომ ჩვენ თვითონ დიდათ კმაყოფილები ვიყავით.

ასე ვცილდებოდით კახეთს და აი ტფილისის მიღამოებიც, ჩვენი ნაცნობი ადგილები.

დალამებული იყო სიმღერით რომ შემოვედით 1 შევარდნის ეზოში, სადაც დაგვხვდა ძმა გურგელა, რომლის „გაპარჯებაზე“ ჩვენც „გაუმარჯოს“-ით უბახუბეთ.

გიგამაც მადლობა გადაგვიხადა, რის შემდეგაც შევედით დარბაზში და ვითომც არსად ყოფილიყვნენ ისე დაიწყეს ყველამ ვარჯიშობა იარაღებზე. ერთი და როიანს მოუჯდა და ვალსიც კი გავაჩაღეთ.

ასეთია შევარდნით სიპარდე, ასეთია შევარდნით სისხარტე და სიღამაზე. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს საყვარელს შევარდნის!

## შეპარდნი კახეთში\*)

1.

### სამზადისი და გამგზავრება.

დიდი ხანია, რაც შევარდნათა კავშირში ტრიალებდა აზრი, რომ ტფილისის შევარდნის საუკეთესო ძალებით მოგვეწყო მოგზაურობა კახეთში. უმთავრესი ჩვენი მიზანი იყო რასაკვირველია გავვეცნო კახეთი, მისი ბუნება, კახთა ზნე-

\*) ჩვენი სალავერდოდ მზადების შესახებ გაზ. „ტრიბუნა“-ს № 31 27 სექტემბერს დაიბეჭდა შემდეგი ცნობა მოქ. კოწია გამსახურდიასი:

„შევარდნათა ცენტრალ სავარჯიშო დარბაზში არა ჩვეულებრივი ფუსფუსია. ალავერდისთვის ემზადებიან შევარდნები. ისმის მზიარული ყიჟინა ანაღვანლობის: თამარ, გიორგი, სოსო...“

ვაბრწყინებული სახეები, მზისგან დამწვარი კუნთებიანი ტანები. გრაციოზული მოძრაობანი. ყველაფერი სიჭაბუკათ, საქმის სიყვარულით სუნთქავს.

საქართველოში ჯერ არ მინახავს არც ერთი ქართული დაწესებულება, სადაც ერთი საათის განმავლობაში ქართულად იყოს ლაპარაკი და საქმიანობა.

შევარდნში და დარჩენია ქართულს სუვერენობა.

მთელი საღამო დავყავი მათ შორის.

რა ტლანქი, ფლეგმატიური და უშინაარსო უნდა იყოს საზოგადოება, რომ ასეთ დიდ კულტურულ ფაქტორს ყურადღება არ მიექციოს.

არც მთავრობა და არც საზოგადოება არ ექცევა ჩვენ შევარდნს ჯეროვანის ყურადღებით.

და თამარი მიამბობს:

ჩვეულება და მასთანვე გვეჩვენებინა ხალხისათვის შევარდენი, შევარდენელი ვარჯიშობის მთლიანი სურათი და დაგვიხსოვებინა შევარდენი ხალხი, რომელიც არც მიზანს ჩვენი მოგზაურობისას კი შეადგენდა იმ დიდებულ დღესასწაულის ნახვა, რომელსაც საქართველო, მთელი ერი ალავერდობას ეძახის, ალავერდში წასვლა, ალავერდობის შესწავლა, ალავერდის ზეიმში მონაწილეობის მიღება — ეს ჩვენ დავისახეთ და მისი სისრულეში მოყვანა, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებებისა, შევიძლიოთ კიდევ. შარშანდელ ალავერდობას დასწრებოდნენ ჩვენი რამოდენიმე შევარდნები და სხვათა შორის თამროც, რომელმაც იქიდან ჩამოსვლისთანავე სთქვა შევარდნებ შორის, რომ „გაისათ აუცილებლათ შევარდენი უნდა წავიდეს ალავერდშიო“ და სწორეთ ეს სიტყვა თქმული ერთი წლის წინათ, მთელი წლის განმავლობაში შევარდნთა შორის დიდ აღტაცებას პოულობდა. უკვე ზაფხულშივე შესაფერისი მუშაობა კახეთში გამგზავრების გამო დაიწყო შევარდნთა კავშირმა. ორი თვე გრძელდებოდა სამზადისი, სამუშაო ბერი იყო. გურგელამ და თამრომ ვარჯიშების შედგენისთანავე შეუდგნენ შევარდნთა წრეთანს. I შევარდენის დარბაზში ამ ხნის განმავლობაში დიდი მუშაობა სწარმოებდა. საგანგებოთ ემზადებოდა ორკესტრი, ვაჟთა და ქალთა ჯგუფები თავისუფალ მოძრაობისათვის და იარაღებზე ვარჯიშობისათვის. პეტრეც ძაღოსანთა გუნდს აძლიერებდა. სამეურნეო კომისიასაც არ ეძინა. კოლამ სულ შეგვაწუხა თავის ბილეთებით, მატარებლისათვის ზრუნვით და სხვა. ვასო კომისიიდან გაქცევას ებირებოდა. ერთი სიტყვით მუშაობა ძლიერი იყო. უკანასკნელ ხანებში გამოირკვა წამსვლელთა რიცხვი: ვაჟები 37, ქალები 28, მემუსიკენი 17. უკანასკნელი დღეები იყო პირდაპირ უჩვეულო, იმისათვის რომ დილა საღამოს სწარმოებდა მზადება და მასთანვე ვანო ბერიძის ახალ ვარჯიშების ჩართვით უმთავრეს ქალ-ვაჟთა ვარჯიშში, რომელსაც სახელათ ქონდა „სამშობლო“ და

— „ქართველი დედები წინააღმდეგ ხელს გვიშლიან, ისინი ქართველ ქალიშვილებს არ უშვებენ შევარდენში“.


მერე იცის ქართველმა საზოგადოებამ, თუ რამდენი მნიშვნელობა აქვს დღეს სპორტს!

დახედეთ საქართველოში იმ თაობას, რომელსაც შევარდენის სკოლა არ გაუვლია. როგორ დადის ეს თაობა.

შევარდენში ასწავლიან ახალ თაობას „ძველ ბერძნებივით სიარულს“. საქირაა ამიერიდან მეტი ყურადღება გამოვიჩინოთ იმ დაუღალავ მუშაკთადმი, რომელნიც ასე გულმოდგინედ და უანგაროდ ემსახურებიან ქართველი ახალთაობის ფიზიკურ აღზდას.

შევარდნები კახეთს მიდიან, რომ ალავერდობას კახ-თუშ-ფშავ-ხევსურთა ყურადღება მიექციონ ევროპულ სპორტისადმი.

ერთი შევარდნელი ძმა მიამბობს: ჩვენ ვაქვს ხევსურებს უნდა დავეჭილოთო“.



სწარმოებდა სამშობლოს მოტივის თანხლებით. ფეხების გასობას ასწავლიდა ვანო და თვით გურგელა გიორგითურთ სწავლობდნენ ამ ლექურის მაგვარ ვარჯიშს. ზოგიერთ მოვარჯიშეებს გაუძნელდათ უკანასკნელი ვარჯიშის სწავლა; მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც კარგათ შეითვისეს.

მაშინ როდესაც დარბაზში ვარჯიშობა სწარმოებდა, განათლების კომისარიატის ტანვარჯიშობის განყოფილება დილით, მხოლოდ I შევარდენის საწერლო საღამოთი მთელ შტაბს წააშობდა, საიდანაც სწარმოებდა ყოველმხრივი საორგანიზაციო მუშაობა, რონოდები, ნებართა, საქგზავრო ბილეთები, პლაკატები, სურათები, პროგრამები, ფული—ყველაფერი საჭირო იყო.

კახეთში კი წინდაწინ წავიდა გიგა, რომელსაც დაწვრილებითი ცნობები უნდა ჩამოეტანა ადგილებიდან, თუ რევკომები და წითელ ჯარის ქართული ნაწილები რა დახმარებას აღმოგვიჩენდნენ მისვლისას ადგილებზე. თანახმად რეზოლიუციებისა რევკომები და ჯარის ნაწილები აღგვითქვამდნენ ყოველმხრივ დახმარებას თანახმად ჩვენი თხოვნისა შეძლებისდაგვარად.

შაბათს 24 ენკენისთვის დილით ყველაფერი მზათ იყო. ჩვენი ორი რონოდი ერთი საკლასო და მეორე საბარგო უნდა დაეშა ეგრედ წოდებულ მუშათა მატარებლისათვის, რომელიც კვირაში ერთხელ დადიოდა კახეთში, ვინაიდან სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა საერთოდ შეჩერებული იყო.

12 საათისათვის მივემგზავრებით სადგურზე. რონოდში ადგილები განაწილებულია. ყველა კუბეს თავისი წარწერა აქვს: მემუსიკენი, კომისია, ქალთა განყოფილება, ვაჟთა განყოფილება. გურგელა ნიშნავს ვაჟთა განყოფილების უფროსათ გიორგის, მხოლოდ ქალთა განყოფილების უფროსათ თამროს. მოგზაურობის დროს დიქტატორობა მე მხედა.

შევარდენთ ერთი გუნდი ალამაზებს რონოდს გარედან. სწრაფად მთელ რონოდს მშვენიერი წარწერა „შევარდენი“ ღიახათს აძლევს. პლაკატებიც ამშვენებს რონოდს; „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“. „ძალა ლომისა აღმაფრენა შევარდენისა“, „შევარდენს მოაქვს საქართველოს მშრომელ ხალხისათვის გაჯანსაღება“. ორი საათი იყო, რომ შეუდგა მატარებელი გზასა კახეთისასა.

ნელ ნელა მიდის მატარებელი. დიდხანს ვიდექით კახეთის ნავთლულში, საიდანაც გაეშვათ შპალებით დატვირთული მატარებელი ჩვენ მისვლამდე ვაზიანისაკენ. დადამებული იყო საგარეჯოს რომ მივაღწიეთ, სადაც დილამდის უნდა გაჩერებულიყავით ბრძანებისამებრ.

გათენდა თუ არა, გავემგზავრეთ. გადადის და გადმოდის მატარებელი, ასე გგონია ზღვით მოგზაურობო ისე ქანაობს, რაც მიზეზია კახეთის რკინის გზის ლიანდაგის გაფუჭებისა.

შუადღისას თელავში ვართ. გადმოვედით, გადმოვალაგეთ ტანსავერჯიშო იარაღები, მესხეთე ქვეითი ათასეულის საბარგულზე დავალაგეთ იარაღები და შეუდექით ქ. თელავს, რომელიც სადგურიდან ოთხი ვერსის მანძილზეა. გზაში შემო-

გვხვდა თელავის შევარდენი ტანსაცმელებში თავის ვარჯიშთავით კოლა ზალდა-სტანიშვილითურთ.

ზინადრობა გვეკონდა ქალთა წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიაში, სადაც დილის სი-ხარულით შემოგვეგება ჩვენი კარგი მასპინძელი, თელავის შევარდენის თავმჯდო-მარე სასწავლებლის გამგე პეტრე ჩარეჭიშვილი. ნასადილევსვე შეუდექით მუშაობას. ვიყავით ათასეულში, სადაც დაგვიბრდენ ორთავლას ალავერდისათვის. როგორც ათასეულის უფროსი მოკ. ავქსენტი აბესაძე, ისე მთელი კომუნალდგენლობა მე-ტად თავაზიანი იყვნენ. ასევე იყო რეკომის თავმჯდომარე მოკ. სამსონ ცინცა-ბაძე და სასურსათო კომისარი მოკ. ერმილე ხავთასი, რომლებმაც სამი დღის სურსათით უზრუნველგვეყვეს. ყოველივე საქმის მოგვარებაში ხელს გვიწყობდა მოკ. პეტრე ჩარეჭიშვილი. ასე რომ ალავერდისთვის მზათ ვიყავით. გამზავრება ორშაბათ დილისათვის დაენიშნეთ. ჩვენთან მოდიოდენ აგრეთვე თელაველი შე-ვარდნები.

დილის 10 საათზე გადაწყვეტილი იყო წასვლა.

2.

**ალავერდისაკენ.**

ორშაბათს 26 ენკენისთვის დილიდანვე შეუდექით სამზადისს. მივიღეთ რეკომი-დან სათანადო ბარათები პურის, ხორცის და ყველის მისაღებათ სამი დღისათვის. შევეყიდეთ ბაზარზე სხვა სანოვავეც და თითქმის მზათ ვიყავით წასასვლელათ, მაგრამ არ სჩანდა ათასეულადან დანაპირები ორთავლა.

ერთი საბარგულე კი ჩვენი თხოვნისთანავე გამოგზავნა ჩვენ ყოფილ შევარდენმა, ბრიგადის შტაბის უფროსმა მ-ხილ ფარეიშვილმა, შუადღემდის უცდილით ათა-სეულიდან ორთავლას, რის შემდეგაც ელსმენით შევეკითხეთ და მივიღეთ უარი, რამაც ძლიერ დაგვადონა და დაგვაბრკოლა კიდევც. იძულებული ვიყავით ერთ ურემის მაგვარ საბარგულზე მოგვეთავსებინა ტანსაცმარჯიშო იარაღები და ზოგი-ერთი ბარგიც. საბარგულე იარაღებით და ბარგით ჩაბარდა ვასოს, რომელსაც მიე-ცა აგრეთვე რამოდენიმე დამხმარე შევარდნები.

ორ საათზე შეუდექით გზას. გასაღვლელი გვაქვს თვრამეტა ვერსი. ამინდი მშვენი-ერია. სიცივე არ გვაწუხებს. მზის სხივებს გამათბობელი ძალა არ დაკარგვია. თე-ლავიდან გავვლით არა მწყობრით, არამედ გაფანტულათ ჯგუფ ჯგუფათ.

აგერ გურგელა ერთი ჯგუფით. მეორე ჯგუფს გიორგი მეთაურობს, მესამეს თამ-რო, მეოთხეს არჩილი და ასე ამგვარათ; ერთ ჯგუფათ მივდივართ ჩვენ, აქვე არიან კოლა ზალდასტანიშვილი, პეტრე ჩარეჭიშვილი, რომელიც ფეხით ჩვენთან ერთად წამოვიდა ალავერდში. თელავიდან და თელავის ახლო მახლო სოფლე-ბიდან მიდიან და მიდიან სადღესასწაულოთ მორთული ურმები და ეტლები, ცხე-ნოსნები და ქვეითნი, მილიციელები და წითელ არმიელები. ერთი სიტყვით დაიძრა მთელი კახეთი. ალავერდისაკენ მიდის დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

აგერ ჩავიქრიალა ორთავლამ, რომელშიაც ისხდენ ჩვენი სამშობლოს სიამყენა

შიო მღვიმელი და საშა აბაშელი. მათ მოყვება ვიღაც ჩოხოსანი „ლინიეოტი“, რომელიც ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ჩვენს შევარდნებს. მომენტს არ კარგავენ, საღ ც შესაძლებელია ეწყობან. პირველი სოფელი, რომელზეც გვირდებოდა, ვარდისუბანია. როგორც ვადმოგიცემ და ხალხსაც ასეთი თქმულება დღემდის შენახულია, როდესა მეფე ერეკლეს ამ სოფელზე გაუფლია, ყელაზე მეთრ ვარდი მეფის შესახედრათ ამ სოფლიდან გამოუტანიათ და როგორც ხანს მის შემდეგ დარქმევა იმ სოფელს ვარდისუბანი.

სოფლ ვარდისუბნის შემდეგ გადასასვლელი გვაქვს რიყე, მდინარე თურღოს კაპაპოტი, რომელშიც წვეთი წყალიც კი არ არის, რიყის შემდეგ იშლება მეორე სოფელი—რუისპაოი.

გარეთ გამოფინილა მთელი სოფელი. ხალხი ბევრი მიდის გზაზე ალავერდისაკენ და სოფელიც ხვდება მათ. ვიპყრძენი გამოუტენია ვსაყიდათ, ვის სხალი და ატაპი. ყდულლობს ყველა თუმცა შედარებით ძვირია. ყდულობენ შევარდნები ხილულობას, შეიქცევიან და თანაც მიიწევენ ალავერდისაკენ. ხან ერთი გვუფი უსწებს, ხან მეორე. ზოგიერთი ვაჟა-შევარდნები უბერანგოთ, გულ-მკერდ გაშიშვლებული მიდიან. ეტყობება სოფელს უცნაური სანახაობა შევარდნებისა: ვაჟები ნახვრით შიშვლი, ქლები კი შევარდნულ მარგლებში. მათ ვაკვარვებას არ აქვს სზღერი.

ერთ მოხუცი ქალის შეკითხვაზე:—თუ რისთვის მივდევართ ზოგი ფეხშიშველი, ზოგი ტანშიშველი, ყველანი უქულოთ, კოლა ზალდასტანიშვილმა ხუმრობით უპასუხა:

„შეთქული გვაქვს დედი, სალოცავათ მივდივართო“.

გიორგი ნიკოლაძის დანახვაზე, რომელსაც არც პერანგი ეცვა და არც ფეხსაცმელები ერთ ქლმა შეპკივლა: „უი, ეს რა ნახა ჩემ თვალებმა“—ო და ვადინარხარა, რამაც მთელ შევარდნებში მართლაც რომ ხარხარი განიოწვა, სწრაფი ნახვით მივიწეეთ ალავერდისაკენ, ალავერდის ტაძარი, რომელიც თერთრათ მოსჩანს ალაზნის ველზე, თანდათან ვვიპლოვდება, თანდათან უფრო ვარკვევით მოსჩანს. აგერ ჩავიარეთ სოფელი კოდოთი; ვაკასაონის ქელი მედღურად ვადმოყურება ალაზნის და ალავერდს. თუშეთი და ფშავეთის მიდამოები ჩვენთვის უკვე ნათელია.

კესეთის იმ მიდამოებში სლამაზეს არ აქვს საზღვარი, ტყვილა კი არ უთქვამს პოეტს:

„ვიშ, კახეო, რა ლალი ხარ, რა ნაზი და რა წარტაცი!


ქაყნაზე ვერ იპოვის მენზე ტურფა მარეს კაცა;

თვალ-ნიბლავს და ვულს იტაკეს შენი ველი, შენი მათები,

თკით სატანას აჯადოვებ, როცა მწვანეთ მოირთვები.

„ალაზანი გულ-მკერდს გირწყავს, ცუგაშპოჩი თავს დაგყურებს

მთის ნიავი დაქურჩულებს, დილის ნისლი ნამს გავყურებს,



მზის სხივები ყელს გებეწვა, ბადრი მთვარე გაიღერებს,  
მერცხალთ გუნდი დაგჭიკჭიკებს და ბულბული ვითხზავს **ლიქიბსტაქი**  
(ივ. ყიფიანი. კახეთის ბუნება) **1911**

შეუძლებელია, რომ კახეთის ბუნებამ არ მოხიბლოს ადამიანი, ისეთი კარგია მისი იდუმალობა. აი მაგალითად მყოფი ალავერდის მადამოვებში გაცქერი ირგვლივ მშვენიერ სურათს: ჩრდილოეთით კავკასიონი, მის ქვემოთ თუშ-ფშავ-ხევსურეთი. სამხრეთით ციფ-გომბორი და მის კალთებზე შუამთის მონასტერი, აღმოსავლეთით დიდოეთი და სანგილო, ქვემოთ თელავის მადამოები, დასავლეთით კი გზები მიმავალი მთებში დუშეთ-თიონეთში და ტფილისისაკენ. და ყოველივე ამის შუა მოთარგლული ალაზნის ველი და ზედ ამართული ალავერდის ტაძარი. გავსცქერით რა ამ სურათს, გავსცქერით მასთანვე ჩვენი სამშობლოს კარგ მომავალს, რომელიც ასეთ ბუნებას წიადთა ცქერაში, როგორც სიზმარში, ისე მოსჩანს და ხელდათავისუფალ კობტა საქართველოს, სადაც მის მშვენიერ ბუნებასთან ერთად თავისუფლად ნავარდობს ქართველი მშრომელი ხალხი, ვით მძღავრი, კობტა მთის ფრინველი, რომელსაც ჰქვია შევარდენი. გატაცებული [ამ ოცნებათა ბურუსში, გავიწყდება ყოველივე, მაგრამ ჩვენი შევარდენთ მოხდენილი სიმღერა გამოჯარვევით ამ გატაცებიდან და გადახედავ რა ლაღათ და სხარტათ მომავალ ჯან-ღონით სავსე ახალგაზღვობას, რწმუნდები ჩვენი მშრომელ ხალხის კარგ მომავალში, რწმუნდები საქართველოს სიღიადე-სიღამაზეში. ძალა და იმედი გემატება, გრძნობ თავს ვეჯკაცათ და მიღახარ წინ და წინ, სადაც მოგვლის დიდებული სანახაობა. ეს არის ალავერდი, ეს არის ალავერდობა, სულ ახლო ვართ ალავერდთან. აგერ მოდის ურემი, რომლის პატრონიც მოსთქვამს ურმულს და ეს ურმული დაბინდებისას თავისებურ კვალს სტოვებს მსმენელთ შორის. იმ ურმულში გამოსქვევის ჩვენი ხალხის ნაზი სული, იმ ურმულში გადაშლილა საქართველოს კობტა ვული. აღბად ამასვე გრძნობს მისი შემსრულებელი, რომელიც ურმულის თანხლებით მიერეკება თავის კამჩებს. ჩვენც მივსდევთ მას და ვერც კი ვამჩნევთ, როგორ შევდივართ ალავერდის ტაძრის მადამოვებში.

**ალავერდში.**

სალამოს სრული ექვსი საათი იყო ჩვენი შევარდენთ კრებულის მოწინავე ჯგუფები ალავერდის გაშლილ მინდორზე რომ შეიკრენ. შევჩერდით იმ ადგილს, რადგან უცდიდით ყელა და-ძმების მოსვლას. ალავერდის ტაძრის გაღავნის ირგვლივ მთელი გაშლილი მინდორი დიდებულ სურათს წარმოადგენდა. ყოველ მხრივ მოიწვედენ ალავერდისაკენ ქართველთ სხვა და სხვა ტომები: კახეთიდან მოიწვეს მთელი კახეთი, მოდიან ურმებით, ეტლებით, ცხენებით, ქვეითად; ასევე თუშეთის მიმართულებით — მოდიან თუშები, ფშავეები, ხევსურები, მთიულეები; მოდიან მრავლად არა ქართველნიც: კახეთიდან სომხები და თათრები; მთიდან

ლეკები, დიდოელები. ერთი სიტყვით მოდის ყველა, მოდის საღებნათ, მოდის  
 სავაჭროთ, მოდის სალოცავათ. სუყველა ალავერდისავენ მოდის, <sup>მოცულობა</sup> <sup>მოცულობა</sup>  
 ურმები ერთი მეორეს გვერდში დგება, ერთ ადგილას კახელები, <sup>მოცულობა</sup> <sup>მოცულობა</sup>  
 თათრები, იქით სომხები, თუშები და დანარჩენები. სუყველამ იცის თავის ადგი-  
 ლი. ყველა ურმთან მაშინათვე ანთობენ ცეცხლს, მზადდება ვახშამი; ისმის  
 ყიჟინა, ისმის ხმაური. სანამ ჩვენები ყველანი შეიკრიფებოდნენ, მე წავედი მო-  
 ნასტერში, რათა გამეგო, თუ სად მოთავსდებოდა შევარდენი. მივედი მიტრო-  
 პოლიტ პიროსთან, რომელმაც მოგვცა თავის სადგომში ერთი დიდი ოთახი,  
 მხოლოდ იმავე დროს კომენდანტს მოქ. ბარათაშვილს ჩვენთვის წინ და წინვე  
 დაუშვადებია ორი ოთახი და ამის გარდა კიდევ ვიშოვნეთ ერთი ოთახი იმ ად-  
 გილას, სადაც საერთოდ ყველასათვის არის ოთახები. წავედი ჩვენებთან, რო-  
 მელნიც უკვე შეკრებილიყვნენ და მწყობრით წამოვედით ტაძარის გალავანში,  
 სადაც შევარდენის დანაწილება მოხდა: მიტროპოლიტ პიროსის სადგომში მო-  
 ვათავსეთ ვაჟების უმეტესი ნაწილი; ორ ოთახში: ერთში ქალები, მეორეში  
 მემუსიკენი და ნაწილი ვაჟების, მეოთხე ოთახში სანოვავე, იარაღები და ზო-  
 გიერთი უფროსთაგანი. დავალაგეთ რა ჩვენი ბარგი ბარხანა და მიუჩინეთ რა  
 მორიგეები, გამოვედით გარეთ. უკვე დაღამებული იყო. სწორეთ იმ დროიდან  
 იწყებოდა ღამის თევა, დღესასწაულის გახსნა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ.  
 ჩვენც დავნაწილდით ჯგუფ ჯგუფად და შეუდექით ღამის თევის გაცნობას.  
 გალავანში, სადაც კი შესაძლებელია, ეწყობოდნენ, ლაგდებოდნენ თანდათან  
 ახალ ახალი მოსულები, მხოლოდ ის ადგილი, სადაც მეორე დღეს ჩვენ უნდა  
 გავემართა საჯარო ვარჯიში, თანახმად კომენდანტის განკარგულებისა, არ იქნა  
 დაკავებული; გარდა იმ ადგილისა კი, ყველა კუნჭული ცალკე ზემს წარმო-  
 ადგენდა.  
 ამბავი კი, ნამდვილი ამბავი გალავანს გარეთ იყო, სადაც გაშლილ ყელზე, რო-  
 მელიც მთელ ბანაკს წარმოადგენდა, რიმოდენიმე ათასი ურემი იყო მოკაზმული  
 და ხალიჩებით მოწყობილი, ყველა ურემთან კოცონი, ასიოდე ზურნა და სხვა  
 და სხვა სამუსიკო საკრავები: თარი, არლანი და სხვა, ათი-ათასობით ხალხი—  
 ყველაფერი ეს ამ ღამის დასაწყისში საუცხოვო, პირდაპირ აუწერელ სანახაობას  
 წარმოადგენდა. ვისაც ალავერდი და ალავერდობა არ უნახავს, ის საქართველოს  
 ვერ იცნობს. ალავერდობას მთელ საქართველოს მშრომელ ხალხს ნახავთ ალა-  
 ვერდში, იქ გაეცნობით საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილის ქართველთ შე-  
 ლებს, იქ გაეცნობით ქართველებთან ერთად ბევრ უცხო ერის შვილებსაც. ალა-  
 ვერდობა აერთებს, აკავშირებს სუყველას, ალავერდობა იძლევა ჩვენი ხალხის  
 ზნე-ჩვეულების მთლიან სურათს. ალავერდობას იხილავთ ქართველთ სილაღეს,  
 სისხარტეს, ქართულ ღზინს, ქართულ სიმამაცე ვაჟაკობას, საქართველოს სილა-  
 მაზეს, საქართველოს სიმბიარულეს. იქ არის მთელი საქართველო, იქ გრძნობთ  
 საქართველოს. ასეთია ალავერდი, ასეთია ალავერდობა.

საუკუნეთა განმავლობაში ალავერდობას ალავერდის ტაძართან ხალხი მრავლად იყრის თავს. მრავალ წლობის განმავლობაში ხალხი იკრიფება ამ დღეს ალავერდში. გადავხედოთ წარსულ საუკუნეს და აღვსუსხოთ მოკლეთ, თუ რა ხასიათი ქონდა წინათაც ალავერდობას. გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, 1846 წელს ასე აგვიწერს ალავერდობას:

„ხალხის მოსვლა ალავერდის დღესასწაულზე არაჩვეულებრივია. აქ ორივე სქესის 15—20 ათასი სული იკრიფება. საღამოიდანვე ღამის თვეა იწყება. ეს უძველესი ნაშთია ქრისტიანობის პირველ საუკუნის წესებისა. ამ დღესასწაულში მონაწილეობას იღებენ არა მარტო მართადადღებელი ქართველნი, არამედ სომხ-გრიგორიანები და ლეკები, დიდოელები, მაჰმადიანები, თვით თათრები, რომელნიც კახეთში მოსახლეობენ; მოდიან აგრეთვე მთიელები, თუშები, ფშავები, ხევსურები—ქართველი ტომები და შეადგენენ ერთ დიდ ოჯახს წმ. იოსების საფლავთან.

უზარმაზარი ადგილი ტაძარის ირგვლივ ამ დროს მთელ ბანაკს წარმოადგენს, მაგრამ მშვიდობიანობის, სიმშვიდის, საერთო სიხარულის ბანაკს. სარწმუნოებრივ მნიშვნელობის ამ ხალხურ მოზღვავებამ ალავერდის ტაძართან უძველეს დროიდანვე მეორე მიმართულებაც მიიღო, ძლიერ სასარგებლო: აქ იმართება იარმარკა. თუშებს ჩამოაქვთ თფილის შალის ჩექმები, ყველი და კარაქი; ხევსურები საქონელს მოდენიან; ფშავები იარაღს, შადეულობას და ნაბდებს ყიდიან; სომხები—წითელ საქონელს, ტკბილეულობას, ქუდებს, ტყავის ჩექმებს, თფილ ტანაცემელს და მრავალ ევროპიულ ნაწარმოებებს. ყველა ეს ნივთეულობა სადღეობაზე იყიდება, ან ნაღდ ფულზე“ („Алавердский Храм в Казетли“. Кавказский календарь 1846 г. гв. 152.)

ასე აგვიწერს პლატონ იოსელიანი მოკლეთ ალავერდობის დღესასწაულს მეცხრამეტე საუკუნეში, ასეთივე უნდა ყოფილიყო ის უფრო ადრეც. ალავერდის დღესასწაულზე დიდი ლიტერატურა არსებობს\*), აგრეთვე ქართველ მწერალთა თხზულებებში, შეხვედებით მის აღწერას, მაგრამ სამუხებაროა ყველა ეს ცნობები და აღწერილობა სხვა და სხვა ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებშია გაფანტული, ამდაგვარ, ალავერდი და ალავერდობა მუდამ იპყრობდა მოგზაურთა და მეცნიერთა ყურადღებას და როგორც წარსულში, აწმყოშიც ალავერდობას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

ის დიდებული სანახაობა, რომელიც იმ ღამეს ჩვენს თვალ წინ გადაიშალა, მოითხოვდა შესწავლას და ჩვენც შეუდექით ამ მოვლენობის ასრულებას. კიშკრიდან დავკვივით და დავიწყეთ დათვლიერება. რამდენიმე ათასი კოცონი ანათებს

\* 1) ს. თარხნიშვილი: „ნარევი და ნაკვესი. ალავერდობა“ („ივერია“ 1893, № 51),  
2) მათე. ს. ალავერდი (ალავერდობა) („ივერია“ 1900 წ. № 203.)

3) Иванович. Алавердский праздник. („Новое Обозрение“ 1889 г. № 5396.)

დალაშქრისას ალავერდის ტაძრის მიდამოებს. ისმის ყოცინა, ზურნის ხმა, ცეკვა თამაში, იქვე კარების გამოსავალთან ცეკვა გაუმართავთ ქისტებს. ქისტებს ქალღმერთი საგანგებოთ გამოწყობილით ცეკვავენ. ყველა მოცეკვავე და მსახურე მისსა ჯგუფი ცდილობს თავის სიმხიარულით მიიქციოს მრავალ მაყურებელთა ყურადღება. მაყურებელიც მართლაც მუდამ იქით მიიწევს, სადაც მეტი მხიარულობაა. ერთხანს ჩვენი ჯგუფიც იდგა ქისტებთან და შევარდნებიც ჯერჯერობით მხოლოდ ტაშის კვრით მონაწილეობას იღებდა საერთო სიმხიარულეში. გვიკვირდა ყოველივე, როგორც ქისტების ქალების ცოცხალი ცეკვა, ისე მათი ჩაცმულობა. ჩვენც ჩვენის მხრივ ვიწვევდით მათში ჩვენი შევარდნულ ჩაცმულობით გაკვირებებს. გადავედით მეორე გუნდთან, თუშებია. იქაც სიმხიარულე, მეტი სიმარღე, სხარტი ცეკვა. თანდათანობით ჩვენებაც ვათამამდნენ. აქა იქ უკვე ცეკვავენ შევარდნებიც, იმდერთან უკვე ხალხთან დამეგობრებულნი. მთელი შევარდნი ჯგუფ-ჯგუფათ ვაფანტული თითქმის დაიტაცა ხალხმა. დიდის პატივისცემით ეპყრობიან შევარდნებს, ყველა თავისაკენ ეპატიყება მათ.

ჩვენი გუნდი, რომელსაც შეადგენდნენ თაზრო, რიმა, ვანო, მეორე ვანო, კოლა და შე, ეცნობოდა დღესასწაულის ვითარებას. გადაწყვეტიტო ყველაფერი გვენახა. მოცეკვავე თუშების გუნდს რომ გავცილდით იქვე მთელი იარმარკა იყო გამართული, რა გინდა იქ არ ყოფილიყო. ყოველნაირი საქონელი, ყოველნაირი სასმელ საქმელი, ლატარია და მრავალნაირი ფულის მახე. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ ფანატურმა, რომლის პატრონის ძახილზეც მივედით. იქვე მოწყობილ სამხარეულოში სწრაფად ხარშავდა ვგრედ წოდებულ „ხინკალ“-ს, ცომში გაკეთებული დაფქვილი ხორცია და ჩვენც ჩაგვითრია ხინკლაობაში, მართლაც ყურადსაღები და შესანიშნავია ხინკლაობა. ხალხური ჩვეულებაა ხინკლაობაში შეჯიბრება, ნიზლაფი, მიპატიყება. ძალიან მოგვეწონა ხინკალი და მასთანვე ხინკლაობა. ხელდახელ მზადდებოდა ხინკალი და უშალვე საღებოდა, მუშტარი მუდამ ბევრი იყო. გამხიარულებული დავმორდით ხინკალის მკეთებელს. უკვე ისმის მრავალნაირი სიმღერები. კახელები თავის კარგი სიმღერით, თუშები და ხევსურნი, ყველანი მღერის, ცეკვავს; ყველა ლხინს მიეცა.

ერთ ადგილას შევარდნთ მოზრდილი გუნდი დიდ აშხავეშია. თურმე შევარდნის ყოფილი დარაჯი ვანო ამოსულა თავის ამალით და რასაკვირველია შევარდნებაც მასთან იყვნენ. როგორც გურჯაანელი დიდათ მასპინძლობდა შევარდნებს, რომელნიც ვანოსთან დიდ მხიარულობას და ლხინს მიეცნენ. როდესაც უფლიდით ალავერდობის დამის თვეის მოლხინებებს, უცბათ ერთ დიდ კოცონმა მიგვიზიდა თავისკენ. მშვენივრათ აგუზგუზებული ცეცხლი ანათებდა იმ ადგილს, სადაც რამოდენიმე კაცი იჯდა და შეექცეოდა პურდენოს. იქვე მორთულ ურემთან ეძინათ რამოდენიმე კაცი. ასეთი სურათი ჩვენთვის უჩვეულო იყო, მასთანვე ბუნებრივი, ღამაში. გაფჩირდით და შევცქეროდით ბუნების შვილთ ბუნების წიალში.

„მობრძანდით, მობრძანდით“ — წამოცინდენ კოკონთან მსხდომნი.

ჩვენ უცბათ მოგვერიდა, არ მოვილოდით ასეთ შეხვედრას. ხელახალ მიპატივე-  
ბაზე და ხვეწნაზე მივედით კოკონთან, მივესალმეთ, დავსხდით.  
დატრიალდენ ჩვენი ახალი მასპინძლები. ხელათ შეშუშუნდა ცეცხლზე წოდები,  
აიფსო ჯამები და ხელადები. გულუხუნი არიან მ. სპინძლები. დიასახლისები  
ეზაასებიან ჩვენს დებს, ნამაკანი კა ჩვენ გვეცნაურებიან. რომ გაიგეს ჩვენ  
შეგარდნები ვართ, მათი კითხვა იყო: „მაშ გაიოზის ამხანაგები იქნებიო“. გვე-  
სიამონა რომ გაიოზის ნაცნობები ყოფილან. ჩვენი მასპინძლები აღმოჩნდენ  
გაიოზის სოფლიდან, ჩუქლაყიდან. ამან ძალიან გავგახარა და სწორედ ამ  
მოვლენამ უცბათ დავგახლოვა ერთმანეთთან.

კოლამ მასპინძელში ხელად იცნო გაიოზასთან მყოფი სოფელში ვასო და შეე-  
კითხა: „თუ მიცნობო, ვახსოვს ვენახში ერთად რომ ღვინოს შეგვეცოდით შარ-  
შან გაიოზასთანო“. ამან საესებით გაამხიარულა ჩვენი სუფრა. შეიქნა სმა. სვა-  
მენ ყველანი. თამრო ჯამით ხელში სიტყვას ამბობს ქართვლო ქალის შესახებ  
და აღდგომელებს დიასახლისებს. ღვინო და მაჭარი რა თქმა უნდა კარგი იყო,  
მასთანვე ბევრი.

შულამე იყო როდესაც ჩვენ დავაპირეთ გამომშვიდობებო, მაგრამ მასპინძლები  
არ გვეცოდნებიან, არ გვიშობენ. ვხედავდით რა მასპინძლების დაღალულობას,  
ჩვენც დაქანცულები ვიყავით, მასთანვე შეორე დღეს საჯარო ვარჯიშის მოლო-  
დინში და ყოველივე ამის მიზეზით დავშორდით მასპინძლებს და მოვიპატივეთ  
შეორე დღის გამოსვლაზე.

კიდევ გაიარა-გამორიარეთ ხალხში. ლხინი გრძელდება. დუდუკის ტკბილი ხმა  
ღამის სივრცეში ჰაერზე, ლეკური და ჩაჩნური, ზურნა და მოცეკვავენი, სიძღ-  
რები — საერთო სურათი ერთი ღამით, რამდენიმე საათით გაშორებთ ქალაქის  
ცხოვრებას, ამ ცხოვრების დუხქორ პირობებს, გავწყებებს დროებით ყოველგვარ  
ჭირსა და ვარაძს და გრძნობ თავისუფლათ საქართველოს მიდამოთა მრავალ  
შვილთა შორის, რომელთანაც ბევრი აგრეთვე უკუბო ტომის შვილნი ჩამოსულან  
აქ სალაღოთ და სალხინით, თავის ზნეწვეულებათა, თავის მამა პაპათა დატო-  
ვებულ ანდერძის შესასრულებლად. და იქ იმ შრომის შევლთა შეკრებაში, იმ  
დიდ კრებულში, ხედავ მთლიან საქართველოს, ხედავ საქართველოს ზნეწვეულე-  
ბას, საქართველოს წარსულ და მის მომავალს. იქ ისვენებ სულით, ისვენებ  
გულით.

ბუმბერაზი ალავერდის ტაძარი ღამითაც თეთრად მოსჩანს მინათებულ ცეცხლი-  
დან ბუნების შავ სივრცეზე, ის არის მიზეზი ასეთ შეკრებისა, ასეთ მომენტისა.  
კვლავ შეგდევართ ტაძრის გაღაფანში. უკვე იკრიფებიან შეგარდნებიც. ნაწილი  
უკვე ეწყობა დასაძინებლად. ნაწილი კიბეებზე ჩამომსხდარა. ეზოს ერთ ადგილას  
ისმით ჩვენი ორკესტრის გრილი. ეს კომენდანტთან ერთად მხიარულობენ  
ვლოდია, გიგა, ლევანი და სხვები. აგერ არტილერისტები შემოიქრენ ეზოში.

ჩვენი ნაცნობები არიან, მთით გადმოსულნი სავარჯუოდან. დაეფინენ მინდვრათ. ჩვენც იქა ვართ. ჩემთან ერთად არიან კოლა და ვანო. შევარდნება გამოჩნდა იპყრობს მათ ყურადღებას. ერთი სიტყვით იქაც დიდი მხიარულება იყო. გათენებისას შევარდნების დიდი ნაწილი არტილერიისტებთან ეწეოდა ლხინს. არტილერიის უფროსი ვ. ჟურული ამ შემთხვევაში არაფერს ზოგავს. შევარდნებს უმასპინძლებდა. კარგა ვათენებული იყო რომ დაეშალეთ და ძილს მივეციტ.

4.

## 27 ენკენისთვის ალავერდობა.

ვალსის ჰანგებმა, რომელსაც ჩვენი ორკესტრი ასრულებდა, გამომაღიძა. ოთახში ჩემს მეტი არავინ იყო. გამოვედი გარეთ, უკვე ვარჯიშობა სწარმოებდა. ეკლესიის გალავანში სადაც საგანგებოთ წინდაწინ იყო აღვილი თავისუფლათ დატოვებული სწარმოებდა ღერძზე ვარჯიშობა. მრავალი ხალხი, რომელიც შემოფარგლულ ადგილის გარედ იდგა და შესცქეროდა შევარდნით უჩვეულო სანახაობას, ალტაცებაში მოდიოდა, როდესაც ვიორგი, ვანო, ლევანი და სხვა ძემები ღერძზე სხარტათ და ლაზათიანათ აღიოდენ და გადადიოდენ.

ეს აუარებელი ხალხი: თუშები, კახები, ლეკები—ყველანი დიდის ყურადღებით შესცქეროდენ შევარდნებს.

„ხელად ძიჯან ჩვენც ცყოფილვართ ქვეყანაზე, როგორ აცვიათ, როგორ თამაშობენ“—ისმის ორგელივ.

ღერძზე ვარჯიშს მოჰყვა თავისუფალი მოძრაობა ქალების, ვაჟების, ძალოსნების ვარჯიშობა, კრივი და სხვა. კრივს გულმოდგინებით შესცქეროდენ.

მარლათ სცემს პეტრე თავის მოწინააღმდეგეს, მაგრამ თვითონაც მიიღო მაგარი მუშტი. დაანტერესებული ხალხი ახალისებს მოკრიფებსაც.

„ჰეი, ბაქებო, თქვენი ქირიმე“.

მარშის ხმაზე გამოდის მთელი შევარდნი ქალ-ვაჟნი ერთად, იწყება ფერხული და ფერხულის დამთავრებისას თავისუფალი ვარჯიში „სამშობლო“, რომელიც მიმდინარეობს „სამშობლო“-ს ხმის თანხლებით.

„სამშობლო“—თავისუფალი მოძრაობა შედგენილი გურგელას და თამროს მიერ ვანოს ნაერთების დამატებით მართლაც შესანიშნავი რამ იყო. ეს წმინდა ეროვნული, ხალხური, ნამდვილი ქართული მოძრაობა გადმოცემული იყო შევარდნულ მთელ სულისკვეთებით. ამ მოძრაობაში გამოსახულია საქართველოს მშობლიური ჰანგები, ქართული ლამაზი მოძრაობა, ჩვენი ხალხის სულისკვეთება. მშვენივრადაა შევარდნული ყოველივე. სათითაოდ ყველა ნაერთი ამ მოძრაობისა სწვდება ხალხის გულს, სწვდება მის სულს. მას ესმის შევარდნი ქალ-ვაჟთა ნაზი რხევა.

ნაზი ქანაობა, მისი მუსიკალობა, მისი სიმშენიერე. ამ თავისუფალ მოძრაობაში გამოსკვივის ქართველ ხალხის ცოცხლობა, მისი სიმკვირცხლე, მისი სიმშენიერე. ამ მოძრაობაში გადმოცემულია თვით საქართველო თავის სიხალისად, თავის სიმარდით, სილამაზით. და მართლაც ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ისმის ძლიერი ტაშის გრილი და ვაშას ძახილი. დამთავრდა „სამშობლო“. მაგრამ შევარდნთა მეთაურთ გათვალისწინებული ჰქონდა რა ხალხის ასეთი აღტაცება „სამშობლო“-ს შესრულების დროს, პროგრამაში წინდაწინვე დასახული იყო ყველა ვარჯიშთა დასასრულ კვლავ განმეორება მისი.

მთელი პროგრამის დასრულების შემდეგ, რადესაც შევარდნები იარაღების ალაგებას შეუდგნენ, ხალხი მაინც არ იშლებოდა. ისმოდა ქება შევარდნებისა. ხალხი აგროვებდა ფულს. ჩვენდა მოულოდნელათ გადმოგვცეს ერთი ნილიონი მანეთი ხელდახელ შეკრებილი მაყურებელთა შორის. დაიშალა თანდათან ხალხი. გაიმართა ეკლესიის გალავანში და გალავნის გარეუ ქეიფობა, ნადიშები, ჯირითი. ჩვენ თანახმით გადაწყვეტილებისა სამ საათზე უნდა წამოვსულიყავით თელავისაკენ, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება ჩაიშალა, ვინაიდან ხალხი ჩვენ ირგვლივ შემოარტყმული არ გვაძლევდა საშვალებას, რათა ასე უცხად მოვცილებოდით ალავერდს და იქ შეკრევილ ხალხს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო თუშებმა. ასიოდე ცხენოსანი თავის უფროსითურთ უვლიდენ ეკლესიის გალავანს: რამოდენიმე შემოვლის შემდეგ შედგა თუშ-ცხენოსანთა გუნდი და გაიმართა ცეკვა. სწრაფათ გადმოხტა ცხენიდან ერთი ახალგაზდა თუში, გაუსვა ლეკური, გამოიძახა თავის მოძმე, რომელიც ისეთივე სისხარტით გადმოვიდა ცხენიდან. ასე ამგვართ თუშები ცხენებზე მჯდომნი იზიდავდენ ხალხის და უმთავრესათ კი ჩვენს ყურადღებას ამ ჩვენთვის მოულოდნელ ლამაზ თამაშით. ლეკურის შემდეგ კვლავ უვლიან ეკლესიას და სცილდებიან გალავანს.

ჩვენც შეუდექით ეკლესიის დათვალიერებას. ეკლესია უზარმაზარია. შემოვლებულია გალავნით ასე 600 საყენის სიგრძეზე. კედლები მაღალი და განიერია. სიმაღლე 4 საყენია. ალაგ-ალაგ კოშკებია. მრავალი შენობები ზოგი დამწვარი და დანგრეული, ზოგი კიდევ შერჩენილი, მაჩვენებელია ალავერდის დიად წარსულისა. თვით სიტყვა ალავერდი წარმოსდგა სოფელ ალვანიდან, რომელიც მდებარეობს ალაზანს გაღალმა, მის მარცხენა ნაპირზე 4 ვერსის მოშორებით ეკლესიიდან. ალვანის სიძველენიც მნიშვნელოვანია იმით, რომ იქ თამარ მყფეს ჰქონია თავისი დროებითი სასახლე. ალვანში და მის მიდამოებში ცხოვრობენ თუშები და ძველ დროიდანვე ამ ალვანის მიდამოებს ერქვა ალვანის გვერდი, საიდგანავ წარმოსდგა სიტყვა ალავერდი, და არა როგორც ბევრს გონია თათრულ სიტყვიდან „ალავერდი“: რაც ნიშნავს „ღმერთმა მოგცეს“. ასე ხსნიან ამას ძველი ისტორიკოსები პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ვახუშტი და სხვანი.

ეკლესიის სიმაღლე 32 საყენს უდრის, მხოლოდ სიგრძე 27-ს და სიგანე-კი 14-ს. გაშენებულია აგურით, ალაგ-ალაგ ქვაც აქვს ჩართული. სახურავი თლილია ქვი-

საბ, მხოლოდ გუმბათი ურთხმელიდან, ისეთ ხის ფიციტებიდან, რომელიც აღ-  
 ლპება.

პირველი საძირკველი ალავერდის ეკლესიას 445 წ. ჩაუყარა წმ. იოსებმა. ერთ სირიის 13 მამათაგანმა, მხოლოდ მეცხრე საუკუნეში, სახელდობრ 892 წელს, კახეთის მფლობელმა კვირიკემ ააშენა ტაძარი იმ სახით, რ. ნაირიცი არის ეხლა. მიწის ძვრის დროს 1530 წ. გუმბათი ჩამოანგრია და მის შესწორებაში მონაწილეობას იღებდნენ ჯერ მეფე ლეონი და შემდეგ მეფე როსტომი. მეფეთა შემდეგ საუკუნეში მიწის ძვრამ კვლავ ჩამოანგრია გუმბათი, რომელიც კვლავ აღადგინა მეფე თეიმურაზ მეორემ.

ალავერდში არის 4 შესანიშნავი ხატი წმ. გიორგის და ღვთისმშობლის და აგრეთვე 1059 წლის ეტრატზე ნაწერი ძვირფასი სახარება იმერეთიდან (კაცხის მონასტრიდან) გადმოტანილი. ალავერდში მრავალი საფლავებია მეფეთა და ეპისკოპოსთა. ასეთია მოკლე აღწერა ალავერდის ტაძარის. დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე ალავერდის ტაძარმა თავის სიმძლავრით.

გამოვედით ტაძარიდან; მე დამავალა შევარდნით კავშირმა მადლობა შეთქვა პიროსისათვის. ავედი მის სადგომში, სადაც თვით პიროსმა დიდი მადლობით მოგვებარა, რომ ალავერდობას ასეთი ხასიათი მისცა შევარდნმა. გარეთ აივანზე, სადაც სუფრა იყო გაშლილი, მრავალი ნაცნობებია, ზევიდნან გადაეცქვრივთ ეზოში მრავალნაირ სანახაობას.

გაისმა განკარგულება რათა შევარდნები მოწყობილიყვნენ. სწრაფლ ყველა შევარდნები გიორგი და გურგელასთან ვართ. მწყობრი მზათ არის. მაგრამ ამ დროს მოდის მწყობრისკენ მხედართა გუნდი დოლით და მუსიკით, მეორე მხრით ხალხის მეორე გუნდი და რამოდენიმე წუთში შევარდნები ალყა შემოარტყმულია. ავერი სამხედრო კომისარი თავის ცხენოსნებით. ყველა მოგვემართავს სიტყვებით. პიროსის ბინის აივნიდან სიტყვით მოგვემართავს მწერალი ია ეკლამე. ყოველ სიტყვაზე ისმის შევარდნით მწყობრის მძლავრი „ვაშას“ ძახილი.

„ალავერდი“—გაისმის მხედრებში, „იანშილო“ უპასუხებ თავის უფროსს არტილერიისტთა გუნდი, კვლავ სიტყვები, კვლავ ვაშას ძახილი. ისმის ცხენოსანთა სიზღერა, გაიმართა ცეკვა—თამაში. დაგვაიწყდა ყოველივე. კარგა ხანს ვიყავით ასე დატყუვებულნი მხიარულ ხალხის მიერ. მაგრამ კვლავ გიორგის განკარგულება და ურყევია ჩვენი გადაწყვეტილება. „ბიჯებით იარ“! გამოვედით ტაძრის გალავნიდან, ხალხი ვაშას ძახილით და ტაშის კვრით გვაცილებს.

გალავნიდან გამოსლისთანავე გურგელას ცხენი მიართვეს. გურგელა ცხენით წინ მიგვიძღვის. ყველანი მწყობრში ვართ, გიორგიც ჩვენთან არის. გურგელამ ცოტა წინ გავვისწრო. ხალხი კვლავ გადაგველობა. ხელიხელ გადაჰიდებული ჩვენს წინ კვლავ დაბრკოლებია. ბაღებისაკენ გვეპატოყებიან. მწყობრი გაჩერდა. გვებვეწმებიან. ჩვენც მიუთითებთ ცხენზე მჯდომ გურგელაზე, რომელიც კარგა მოსორებულია წინ. დაედევნენ გურგელას და მოაბრუნეს; ცხენიანათ გადიყვანეს გურგელა

ბაღში და ჩვენი მწყობრიც მას მიყვა რასაკვირველია. ისედაც მხიარული ბაღი უკეთეს სიმხიარულემ მოიცვა. ასიოდე სტუმარი ძნელი რამ სათქმელია, მაგრამ ალავერდი ასჯერ ასის მასპინძლობასაც შესძლებს. ძლიერ აღტაცებულვით ვართ, ძალიან გუნებაზე დადგენ ვიორგი და თამროც. გურგელაც რასაკვირველია ჩვენც არა ვართ მოწყენილი. მშვენიერი მომენტი იყო.

უკვე ღამდებოდა და ჩვენ გავცილდით კარგ მასპინძლებს. ალავერდიდან კო ლკვე გაუდგა გზას ყოველ მხრივ ალავერდში ჩამოსულები. მიქრიალობს ურმები, მიაქნებენ ცხენებს, მიდის ეტლები. თუ კი წინაღობით ყველა ალავერდისკენ მოეშურებოდა, მეორე დღეს ყველა ალავერდიდან სახლებისკენ მიეშურებოდა, მაგრამ უკვე მხიარულად, კმაყოფილად, ჩვენს შევარდნებსაც მიეცათ უფლებამუშეობროთ წასვლისა, მხოლოდ ზოგიერთ ვაყებს, რომელთაც სოფლებში ებატონებოდნენ, მიეცათ დილაშდის შევებულება. ნაწილ ნაწილათ მივდივართ არეული, ხალხში, გზაგზა ყველა გვიმასპინძლდება. ზოგი შევარდნები ურმებზე არიან, ზოგნი ეტლებში. გზაში გვაჩერებდნენ ჩვენი თანამგზავნი, გვიმასპინძლდებოდნენ თავიანთ სახლებთან და ჩვენც შეგობრულათ გვილდებოდნით მათ. ბნელი ღამე ხელს არ გვიშლიდა სიარულში, ვინაიდან შარა გზა იმ ბნელ ღამეში თეთრი ზოლივით ეგებოდა ჩვენს ქვეშ და ამის გამო ჩვენც კარგათ მივიწვევდით თელავისაკენ.

უმთავრეს კმაყოფილებას ჩვენში იწვევდა ის გარემოება, რომ ალავერდობას მთელი დღე-ღამის განმავლობაში არაფერი უბედურება და უწყსოება არ მომხდარა ალავერდში, რაც აუცილებელია თურმე ამ დღესასწაულში. და ასეთ შედეგს ყველა აწერდა იქ შევარდნათა ყოფნას, მათ თავდაქერილობას, ერთგვარ შენელების და დაწყნარების შეტნას იმ ზღვა ხალხში, რომელნიც მხიარულობით ვართულებნი, თავდავიწყებულნი მისცემოდნენ ღზინს. ეს ჩვენ რასაკვირველია გვახარებდა. მასთანვე იმ დღეს ალავერდობას დაესწრნენ ჩვენი მწერლები, რომელთა შორის იტენენ შიო მღვიმელი, ია ეკალაძე, ს. აბაშელი, ი. ყიფიანი, გ. ლეონიძე, ობოლი მუშა და სხვანი.

შიო მღვიმელს დაეწერა ლექსი, რომელიც ეძღვნა შევარდნების ყოფნას ალავერდში და ეს რასაკვირველია ძალიან გვამხნევებდა.

ასე კმაყოფილი მოვდიოდით ალავერდიდან და სრული 12 საათი იყო—შუა ღამე—თელავში რომ შევედით და დასასვენებლათ გვემგზავრეთ ჩვენს ზინაზე.

5. ისევ თელავში.

ალავერდობის შემდეგ თელავში ცოტა შევისვენეთ. ნასადილევისათვის საჯარო ვარჯიში გვაქვს დანიშნული, მაგრამ ამინდი ხელს არ გვიწყობს. ძლიერი ქარია, მასთანვე ცივი. ვსადილობთ საბჭოთა სასადილოში. იმავე დროსთვის სოფლებიდანაც მოდიან ალავერდიდან წასული შევარდნები. ქარი არ ცხრება. ხალხი ცოტა. მაგრამ მაინც მოდის. ვარჯიშს ვიწყებთ, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი

სიცივე საშინლათ აწუხებს შევარდნებს. პროგრამა, ზოგი ერთ ვარჯიშების შეტყუ-  
რულებლობის გამო, საფსებით ვერ ჩატარდა. ვარჯიშობა შეწყდა და მეორე დღი-  
სათვის გადაიდო. ხალხი დაიშალა. ჩვენთან მივიწვიეთ დარბაზში მშვიდი შიშ-  
მღვიმელი, რომელმაც ლექსი უძღვნა შევარდნებს და მწკრივის წინ მოკლე სიტ-  
ყვის შემდეგ შევარდნებმა ჰაერში აისროლეს რამოდენიმეჯერ ძია შიო.

ასეთივე მადლობით გაუმასპინძლდნენ შევარდნები რევკომის თავმჯდომარეს ცინ-  
ცუბაძეს, რომელმაც საერთოდ დიდი დახმარება გაუწია შევარდნებს კახეთში მოგ-  
ზაურობის დროს.

მეორე დღესაც ვერ მოხერხდა საჯარო ვარჯიშობის მთლიანად ჩატარება. კვლავ  
უამინდობა. მესამე დღისათვის კი გადაწყვეტიეთ წამოსვლა. ამინდი კარგი დად-  
გა, მაგრამ წამოსვლა მაინც გადაწყვეტილი იყო, თუმცა წამოსვლამდის მაინც  
გამართა ვარჯიში. უთავრესი ყურადღება მიექცა „სამშობლო“-ს. ვარჯიშობის  
შემდეგ უკვე კარგა დაღამებული იყო, როდესაც შევარდნით გუნდი ნელის ნა-  
ბიჯით, სიმღერით მიიწვიდა სადგურისაკენ, სადაც რონოდებში ღამის გათვევა  
მოელოდათ, რადგან მატარებელი დილით ძალიან ადრე უნდა გასულიყო თე-  
ლავიდან.

დილით მატარებელმა გამოგვაქროლა თელავის მიდამოებიდან და სვლიგვის მი-  
ხედვით შეეჩერდით მუკუზანის სადგურზე, რადგან ველისციხეში საჯარო ვარჯი-  
ში გვქონდა განზრახული. სამეურნეო კომისია, რომელიც მუკუზანიდან ველის-  
ციხეში გაემგზავრა, შეუღდა სადილის სამზადისს, მხოლოდ საქმისნო კომისია  
ბაქანის გამზადებას.

საში საათისათვის შევარდნი მუსიკით შემოიჭრა ბაქანზე, რომელიც ხელდახელ  
მოეწყა თეატრას ეზოში. მიუხედავად ზოგიერთ დაბრკოლებებისა, ვარჯიში მაინც  
საფსებით ჩატარდა და დაღამებისას შევარდნი კვლავ გაეშურა მუკუზანის სა-  
დგურისაკენ, მხოლოდ ფინანსიურ კრიზისის გამო სვლიგვი შეცვლილ იქნა და  
სიღნაღი საგარეჯოთურთ აცილებული, რის გამოც ორ ოქტომბერს კარგა და-  
ამკუბულზე ჩვენ ისევ ჩვენს ტფილისში ვიყავით მრავალ შთაბეჭდილებებით საფსენი.

## დამატება.

შევარდენთა კავშირში შემოდებულია გაფრენების დღიურის წარმოება. რვეულში რომელშიც იწერება გაფრენების დღიური, ყოველთვის გაფრენის უფროსი (გაფრენთავი) ვალდებულია შეიტანოს მოკლეთ გაფრენის აღწერა ვინაიდან ზოგიერთ გაფრენებს მე არ დაესწრებივარ, ამისათვის გაფრენთავის ძმა გიორგი ნიკოლაძის ნებართვით ვაღმომაქვს იმ გაფრენების აღწერა, რომელიც ჩემს გაფრენების აღწერაში მოთავსებული არ არის. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ აღწერებით ინელმძღვანელებენ პროვინციის ტენსავარჯიშო საზოგადოებებიც.

12 თიბათვე. კვირა. გაფრენი ვაკე საბურთალოსკენ. თავი მოვიყარეთ 8 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ. ვიყავით II შევარდენიდან 20; IV შევარდენიდან 3; VIII შევარდენიდან 1; სულ 24 შევარდენი. უფროსები და თამარ ნიკოლაძის ასული, დათა ბადრიძე, ვანო კუკავაძე. მიუხედავად დიდი ქარისა, გავემგზავრეთ ვაკეს „სარბიელისკენ“. სემინარიასთან ყველამ გავიხადეთ ჩულქიწინდა (ეს პირველად არის ჩვენ გაფრენებზე) ვაქებმაც, ქალებმაც. ვაკედან გადავვლით ვერაწყალზე, იქიდან საბურთალოს ბაღებში; სადაც ბევრი ხილი: ალუჩა და თუთა ვკამეთ. სახში 4 საათზე დაბრუნდით.

გაფრენთავი, მე, ე. ი. გიორგი ნიკოლაძე.

19 თიბათვე. კვირა. გაფრენი ავჭალაში. დილის 6 საათზე II შევარდენიდან 7 საათზე I შევარდენზე გაიარეს. დაესწრო: (I შევარდენი: 22 ვაჟი+15 ქალი=37); (II შევარდენი: 17 ვაჟი+15 ქალი=32); (III შევარდენი: 1 ქალი); IV შევარდენი: არავინ; (V შევარდენი: 8 ვაჟი); (VI შევარდენი: 1 ვაჟი); (VII შევარდენი: 7 ვაჟი); (VIII შევარდენი: 2 ვაჟი) ე. ი. სულ: 31 ქალი+57 ვაჟი=88 შევარდენი. უფროსი წურთნელები: ლევან პრაკოფაშვილი, თამარ ნიკოლაძის ასული, გივა ბერიძე, კოლა რუხაძე. ქალები უჩულქოთ, შარვლებით. ამინდი ხელს არ უწყობდა: დიდი წვიმა მოვიდა, მაგრამ სტირნობა მაინც მხიარულად ჩატარდა. დაბრუნდენ საღამოს ათ საათზე. გაფრენთავი ლევან პრაკოფაშვილი.

26 თიბათვე. კვირა. გაფრენი კიკეთში. დილის 6 $\frac{1}{2}$  საათზე II შევარდენიდან. შემადგენლობა: (I შევარდენიდან: 7 ვაჟი, 10 ქალი=17); (II შევ.: 5 ვაჟი+10 ქალი=15); (III შევ.: 3 ვაჟი+6 ქალი=9); (V შევ.: 6 ვაჟი); (VI შევ.: 2 ვაჟი); (VIII შევ.: 6 ვაჟი). სულ: 26 ქალი+30 ვაჟი=56 შევარდენი. ავე-

დით ფეხით ფუნეკულერიის კიბეზე.  $7\frac{1}{2}$  საათზე ფუნეკულერიდან პირდაპირ ზე-  
 ვით წავედით. 10 საათზე უძოსთან მივედით. იქიდან უკანასკნელი კუთხეებში  
 საათზე წამოვიდნენ და 1 საათზე კიკეთში მივედით. ზოგი (12 და-ძმა) მანძილს  
 და მოვიდნენ 4 საათზე, რადგან გზა აბნევიათ. უფროსი წურთნელები: გ. ნიკო-  
 ლაძე, ვანა ბერიძე, გიგა ბერიძე, გოგი ლაზარიშვილი, ლევან პრაკატაშვი-  
 ლი. მონტენსორის სკოლაში გაეჩრდილთ. ლიდა ცნობილბაძის სკოლამ მიგვიწვია  
 სადილათ და სალამოს ჩაიკ დაგვალღვინეს. ცინცაძის სკოლის ბაქანზე მოვაწყეთ  
 ბევრთა თამაშობანი, ქალთა გამოსვლა (26 მაისის ვარჯიშები), ტანჯარჯიშობა და  
 საერთო გუნდობი. ბევრი ვიმღერეთ. მონტენსორის სკოლაში დავიძინეთ სალამოს  
 10 საათზე. დები ერთ აგარაკში, ძმები მეორეში. წამოვედით ორშაბათს დილის  
 2 ს. 50 წ. უძოსთან მოვედით და მზის ამოსვლა მშვენიერ სურათს წარმოად-  
 გენდა. ფუნეკულერზე მოვედით  $7\frac{1}{2}$ , საათზე. 8 საათზე რონოდით ჩამოვედით  
 ქვევით და II შევარდენში  $8\frac{1}{2}$  საათზე მოვედით. ნელა ვიარეთ, რადგან ბევრს  
 წულა გაუცვდა და თითქმის ფეხშიშველა მოდიოდნენ. ნაწილი (10 და-ძმა) კვირა  
 სალამოსვე დაბრუნდა.  $5\frac{1}{2}$  საათზე წამოვიდნენ და ტფილისში 12 საათზე მო-  
 სულან. ქალები იყვნენ შარვლებში და წითელ ბერეტებით. ძმები—ბევრი მოკ-  
 ლე შარვლით და ტიტველა ზეტანი და ფეხები. ვაფრენტავი გ. ნიკოლაძე.  
 23, 24, 25 მკათათვე. შანათი, კვირა, ორშაბათი. სვლიგეზი: ტფილისი—  
 უძო—კიკეთი—ელზია—მანგლისის შარა ელზიას ზევით—კიკეთი—კოჯორი—ტფი-  
 ლისი. მრაცხელობა: (I შევარდ.: 4 ვაჟი+2 და=6); (II შევარდენი: 7 ძმა+9  
 და=16); (IV შევარდენი: 2 ძმა); (V შევ.: 1 ძმა); (VI შევ.: 1 ძმა). სულ:  
 15 ძმა+11 და=36 შევარდენი. უფროსი წურთნელები: გიორგი ნიკოლაძე, გ.  
 ბერიძე; ჯერ უაზინდობის გამო გადავდედით სეირნობა და მერე კი მოულოდნე-  
 ლათ გამოიდარა და წავედით. გავედით  $6\frac{1}{2}$  ს. სალამოზე განის ქუჩიდან და 9  
 საათზე უკვე უძოზე მივედით, სადაც ღამე დაგრჩით. მაგრამ სიცივის და ქარის  
 გამო თითქმის არ გვიძინია (წყაროს ზევით აივანზე). დილით გავწიეთ კიკეთში,  
 საათ ნახევარს მოუნდით გზას. უძოდან 5 უკან დავაბრუნე, რადგან ზოგს საზრ-  
 დო არ წამოუღიათ, ზოგი კი ვერ დადიოდა რიგიანათ. დილით მყინვარი და  
 კავკასიონის ქედი საუცხოვო სურათს წარმოადგენდა. კიკეთში უპრავლესობა  
 დარჩა მონტენსორის სკოლაში დასასვენებლად. ჩვენ კი (მე, მამათავრიშვილი,  
 ალიხანოვი, მახათაძე და ქინჭარაძე) გადავედით ელზიაში, იქ ვისადილეთ და  
 დავისვენეთ კიდევ. ელზიის მიღამო მშვენიერია; იქაური ტყე კიკეთისას ჯობია.  
 იქედან ავედით ზევით პირდაპირ სერზე, სადაც მანგლისის შარა ვადის და ვაბი-  
 რებდით ბეთანიის მონასტრისკენ გადასვლას (ვერის ხეობაში), სადაც ბევრი  
 თოლო ყოფილა, მაგრამ მერე გადავწყვიტეთ კოჯორში ჩვენი ძმების და დების  
 ნახვა, რის გამოც კიკეთზე გამოვბრუნდით; იქიდან ყველა ჩვენები წამოვიყვანეთ  
 და  $5\frac{1}{2}$  საათზე სალამოს ვაფეშართეთ სოფელ დიდებით კოჯორისაკენ, სადაც  $7\frac{1}{2}$   
 ს. აველით და ძმებს ვ. კუკავაძეს და ჭ. ქინჭარაძეს ვესტუმრეთ. ძალიან გვესი-

# შეპარუნთა გავრეწვა

საქართველოს რესპუბლიკის შიდაგეგმვაში 1921 წ.

საქართველოს შეპარუნთა კავშირი.



საქართველო

შეპარუნთა გავრეწვა

ტყელების შეპარუნთა ოლქი





ქუთაისის შეპარუნთა

ოფლეის შეპარუნთა

საგარეუოს შეპარუნთა

აბსტრუქტული შეპარუნთა

საგარეუოს შეპარუნთა



1. 17. IV. 113 შეპარუნთა და-მა ტაბანდელის მიდამოებში.
2. 24. IV. 380 შეპარუნთა და-მა ვაკე-გუბიაზე.
3. 8. V. 105 შეპარუნთა და-მა ლიხის ტბაზე.
4. 15. V. 186 შეპარუნთა და-მა შანაბადა მონასტერში-თელავში.
5. 22. V. 1100 შეპარუნთა და-მა ვაკის სარბ-გლეზე.
6. 29. V. 24 შეპარუნთა და-მა ავქალაში.
7. 12. VI. 24 შეპარუნთა და-მა ვაკე -სხვრთაღლაზე.
8. 19. VI. 88 შეპარუნთა: 31 და+57 შა. ავქალაში.
9. 26. VI. 56 შეპარუნთა: 26 და+30 შა კუთხის ახალშენში.
10. 9-11. VII. 93 შეპარუნთა: 40 და+53 შა კუთხის აბ-ლშენში.
11. 23-25. VII. 26 შეპარუნთა: 11 და+15 შა უბო-კიციო-გლ-მა-მანგლასის შარა ქუჩის ხეით-კიციო-კოჭოში.
12. 24. VII. 44 შეპარუნთა: 32 გოგონა+12 იქი ბოთანიურ ხაღში.
13. 30-31. VII. 1-2. VIII. 67 შეპარუნთა: 22 და+45 შა. თე-ლა ში-შუაშის მონასტერში.
14. 6-8. VIII. 57 შეპარუნთა: 27 და+30 შა. კოჯორი-ქარბო-ლი-ქიანა.
15. 19-25. VIII. 8 შეპარუნთა შა საგარეუო-კიციო-თელავი-კურდღელაური-წ. ნანდალა-გელისკიაზე.
16. 24. IX-2. X. 82=23 და+37 შა+17 შეპარუნთა ოფლეის-აბსტრუქტული-ფლისციხე.
17. 14. X. 93=27 და+44 შა+20 შეპარუნთა. მცხეთის მონასტერში.

18. ბაიონში.  
19. ხონში.  
20. წყალწი-ოქლიზე.

21. შუაშის მონასტერში. VIII 16 და+18 შა =34 შეპარუნთა.  
22. ვალიცხეში.  
23. გურჯაანში. IX. VIII.  
24. ალფერის მონასტერში. IX.

26. ფლოია მონასტერი.  
27. ფლოია.  
28. სოქოლაქი.  
29. ქელი ხეივანი.  
30. კოტიანთაი.  
31. აბსტრუქტული.

32. კიციო-გლში.  
33. შეპარუნთა.

25. საგარეუოს შეპარუნთა. VII. VIII.

მოგნა ერთმანეთის ნახვა, იქ დავრჩით ლამე. ამერიკულ სკოლაშიც ვადავედით, საიდანაც თინა ჯაფარიძის და თამრო ბაქრაძის ასულნი წამოვიყვანეთ ჩვენთან. დილის 6<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს. დიდ წვიმაში წამოვედით მე და კიდევ რამდენიმე. 7 საათზე დაგვევით კოჯრიდან და თითქმის ნახევარი გზა მე და დიტო ფაველენი შეიღმა სირბილით გავიარეთ. 6<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს. უკვე განის ქუჩაზე ვიყავით. დიდი წვიმა და ტალახი იყო. სულ ერთიანად გავიწუწეთ. დანარჩენები სალამოს 8 საათზე დაბრუნებულან, როდესაც უკვე გამოიდარა. გაფრენთავი გიორგი ნიკოლაძე.

**შენიშვნა:** ზოგი ერთი გაფრენები ნაწილ ნაწილად უკვე მოთავსებული იყო გაზეთებში გასული წლის განმავლობაში და ამისთვის მინდა აქ მათი აღნუსხვა, მაგ. მოთავსებული იყო:

- 1) შევარდენთა გაფრენი კიკეთის ახალშენის მიდამოებში—გაზეთ „სოც.-ფედერალისტ“-ში №№ 115, 116 და 117; 20, 21 და 22, VII.
- 2) შევარდენთა გაფრენი კოჯორ-ქოროღლი-ქობენში—გაზეთ „ტრიბუნა“-ში №№ 12, 14 და 17; 3, 6, და 7. IX.
- 3) შევარდენი კახეთში—გაზეთ „ტრიბუნა“-ში №№ 44 და 48; 12 და 16. X (მხოლოდ პირველი ორი თავი).
- 4) შევარდენთა გაფრენი ტაბახმელოზე გაზეთ „ტრიბუნა“-ში № 89. 4. X.II.

Н. Р. НИКОЛАДЗЕ



IP-90k



საქართველოს  
ხალხური ბიბლიოთეკა

64/53

ბ. ს. ც. № 395. ტირაჟი 1500.